რუსები ქართველებს აფხაზების მოფერებას ურჩევენ, გროზნოში კი კვლავ სიკვდილი თარეშობს A2

საგანგებო ლეგიონს საგანგებო უფლებებს მიანიჭებენ A6

რა ტექნოლოგიები განვითარდება 2003 წელს A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 30 დეკემბერი, 2002 წელი. №211

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ხაჩიშვილის "ქილა ერბო"

*ამ დღეებში რუსეთის დედაქალაქში კიდევ ერთი ფარსი გათამაშდა. მთავარი როლში საქართველოში შექმნილი "დათვი" აღმოჩნდა. ბატონ ხაჩიშვილის "ქილა ერბო" ხომ მოსკოვში ინახება.*

A2

## უცხოეთი

### საუდის არაბეთმა აშშ-ს სამხედრო ბაზები დაუთმო

*დასავლური საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ თუ ერაყთან ომი დაიწყება, საუდის არაბეთი თანახმაა, შეერთებულმა შტატებმა მისი საჰაერო სივრცე და საავიაციო ბაზები გამოიყენოს.*

A4

## სამართალი

### როდის და ვის წინააღმდეგ გამოიყენებენ დღეს გამოუსადეგარ კანონის მუხლს

*გზების გადაკეტვისთვის საქართველოში დღეისათვის არავინ დასჯილა. თუმცა, წარსულის გამოცდილებიდან თუ ვიმსჯელებთ, ღმერთმა უწყის ძლიერნი ამა ქვეყნისანი როდის, და ვის წინააღმდეგ გამოიყენებენ დღეს გამოუყენებელ მუხლს.*

A7

## საზოგადოება

### მერიის ნაძვის ხეს პრობლემები არ ელევა

*მერიის შენობის წინ დიდი ზარზეიმით მორთული ნაძვის ხე გაქურდვას ძლივს გადაურჩა. გუშინწინ, ღამით, ბავშვებმა თანატოლების მიერ დაკიდებული სათამაშოების მოპარვა განიზრახეს, მაგრამ არ დასცალდათ - ნაძვის ხესთან მერიის დაცვის ბიჭები დახვდნენ. თუმცა, შეიძლება, თბილისის სანაქებო ნაძვის ხეს უფრო სერიოზული საფრთხეც დაემუქროს.*

A8

### ნაბიჯი, რომელიც ვერ გადაიდგა

*საქართველოში, სადაც ჩინოვნიკებს ძალიან უყვართ საერთაშორისო დოკუმენტებზე საკუთარი ფაქსიმილეს დატოვება, მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ზარ-ზეიმით აღებული ვალდებულებები, როგორც წესი, ირღვევა.*

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 9 |
| ქუთაისი | 13 |
| ბათუმი | 16 |
| სოხუმი | 11 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 9 |
| ზუგდიდი | 12 |
| გორი | 8 |
| ახმეტა | 9 |
| ჭიათურა | 11 |
| გაგრა | 10 |
| სამტრედია | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1119 |
| ევრო | 2.1928 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3826 |
| რუბლი | 0.0664 |

# პირველი სახელმწიფო მინისტრი, რომელსაც ბიუჯეტი "ჩაუვარდა"





"24 საათის" ფოტოარქივი

*სახელისუფლებო ძალები მოუმზადებლები შეხვდნენ ბიუჯეტის განხილვას.*

ბადრი კოპლატაძე

ავთანდილ ჯორბენაძემ პარლამენტში პირველი სერიოზული მარცხი განიცადა. დღემდე სახელმწიფო მინისტრი, ერთი შეხედვით, უპრობლემოდ ახერხებდა მისთვის არასასურველი პროცესების ნეიტრალიზებას. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიები მისი მოღვაწეობით აშკარა უკმაყოფილებას ამჟღავნებდნენ, ჯორბენაძე ყოველთვის აგროვებდა მისთვის საჭირო გადაწყვეტილებებისთვის აუცილებელ ხმებს. ამის გათვალისწინებით, სულ რაღაც ერთი თვის წინ, სახელმწიფო მინისტრის მდგომარეობა საკმაოდ მყარი ჩანდა. ამიტომაც განსაკუთრებით საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რამ გამოიწვია ჯორბენაძის ასეთი მარცხი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მინისტრი, რომელიც აქტიურ პოლიტიკაში სულ რაღაც ერთი წლის წინ ჩაერთო, საკმარისზე მეტად თვითდაჯერებული იყო. მისთვის, როგორც ჩანს, მხოლოდ ახლა ხდება ნათელი, რომ პოლიტიკაში ყველაზე მდგრადი პოზიციათა ცვალებადობაა. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ის მოუმზადებლობა, რომლითაც კანცელარია საბიუჯეტო დებატებს შეხვდა. მთავრობამ ძალზე დააგვიანა საპარლამენტო ფრაქციებთან კულუარული კონსულტაციების დაწყება და მათთან კონკრეტულ გარიგებებზე წასვლა, რამაც მთავრობის მხარდამჭერ დეპუტატებში საკმაოდ დიდი უკმაყოფილებაც გამოიწვია.

კანცელარიის მხრიდან პასიურობის შედეგი იყო ისიც, რომ ზოგიერთი არასამთავრობო, მაგრამ ბიუჯეტის მხარდამჭერი ფრაქცია დროზე ადრე შეიპყრო ნერვიულობამ, რასაც ოპოზიციური პარტიების შტაბ-ბინებში მათი ვიზიტები მოჰყვა. ამის პარალელურად არ წყდებოდა საუბრები იმ გარჩევებზე, რომლებიც თვითონ სამთავრობო ფრაქციების შიგნით მიმდინარეობდა. დაპირისპირების თემა, როგორც ამბობენ, თანამდებობების გადანაწილება იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პარლამენტი ფინიშის სწორზე

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ამოწურვამდე წელიწადზე ნაკლები დარჩა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2003 წლის მეორე ნახევრიდან აქტიურად გაჩაღდება წინასაარჩევნო კამპანია და კანონშემოქმედებითი საქმიანობისთვის დეპუტატებს საერთოდ აღარ ეცლებათ, გამოდის, რომ სამი წლის განმავლობაში შეჩვეულ და "გაშინაურებულ" პარლამენტარებს მალე "გულთბილად" უნდა გამოვემშვიდობოთ.*

**საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობა და წლის ბოლოსთვის ახალი საარჩევნო კანონის მიღება; ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხის გადაჭრა; მინისტრთა კაბინეტის შემოღება; საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზება; აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლისა და მასზე ზედამხედველობის ფუნქციის შესრულება** - ასეთი იყო ის პროგრამა-მაქსიმუმი, რომელიც პარლამენტმა საშემოდგომო სესიის დაწყების წინ დაისახა.

აღებული "ვალდებულებებიდან", ფაქტობრივად, არაფერი შესრულებულა, თუ არ ჩავთვლით საშემოდგომო სესიის დასასრულს ფინანსთა სამინისტროსთან ჭიდილის, მისთვის ხელების გადაგრეხვის და, ამავდროულად, გარიგების პირობებში მეწარმე-პარლამენტარების ინიციატივით საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს. თუმცა, ძნელია, ეს ცვლილებები მხოლოდ მოქმედი კოდექსის "ლიბერალიზების" ჩარჩოებში განვიხილოთ.

**"კანონმდებლობის "დახვეწა" ზოგიერთი დეპუტატის საკუთრებაში არსებული საწარმოებისთვის შეღავათების დაწესებას ემსახურება და საგრძნობლად აზარალებს ადგილობრივ ბიუჯეტებს"**, - აცხადებს ბორჯომის რაიონის მაჟორიტარი

გაგრძელება A3 გვერდზე

## ჩეჩნებს ეშინიათ ვაჰაბიზმის

უმალთ დუდაევი

IWPR-ის კორესპონდენტი გროზნო

იმ ხალხშიც კი, რომლისთვისაც ძალადობრივი სიკვდილი ჩვეული რამაა, საიდ-ფაშა სალეხოვისა და მისი ვაჟის მკვლელობამ უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია.

სოფელ სტარიე ატაგის მკვიდრი სალეხოვი ყურეიშიდების არაბულ გვარს მიეკუთვნება, რომელიც თავის ისტორიას მოციქულ მუჰამედიდან იწყებს. ჩეჩნეთის რელიგიურ ლიდერებს შორის იგი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

მის მკვლელობას ადგილობრივი მოსახლეობა ვაჰაბიტებს, ისლამის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული სექტის მიმდევრებს აბრალებს, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმის ყველას ეშინია.

მას შემდეგ, რაც მეორე ომი დაიწყო, ჩეჩნეთის პრორუსული შინაგან საქმეთა სამინიტროს მონაცემებით, ვაჰაბიტების ხელით 30-მდე სასულიერო პირი და 200-მდე სახელმწიფო მოხელე დაიღუპა. მკვლელობის მიზეზი ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე იყო: მოკლულნი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით თანამშრომლობდნენ რუსეთის ხელისუფლებასთან.

გაგრძელება A4 გვერდზე

## რუსმა კანონდამცველებმა პირობა შეასრულეს

ინგა ალავიძე

მოსკოვმა პირობა შეასრულა და საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. 1998 წლის 9 თებერვალს ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის მოწყობაში ბრალდებული ვეფხია დურგლიშვილი და სოსო თორია შაბათს, შუადღის 2 საათზე, რუსეთის უშიშროების სპეცსამსახურის თანამშრომლებმა თბილისის აეროპორტში ჩამოიყვანეს.

საქართველოში ექსტრადირებული ქართველი პატიმრები გენერალური პროკურატურის გამომძიებლებმა ჩაიბარეს და იუსტიციის სამინისტროს სპეცბადრაგმა ორთაჭალის ციხეში გადაიყვანა.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ვეფხია დურგლიშვილმა და სოსო თორიამ ტერაქტი ჩეჩნეთში წინასწარ ჩამოყალიბებული ტერორისტული ჯგუფის წევრებთან ერთად დაგეგმეს და 1998 წლის 9 თებერვალს თბილისში განახორციელეს შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს პრეზიდენტზე. ტერაქტის დროს თავდამსხმელების მიერ გამოყენებული იყო ყუმბარმტყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები და ავტომატური იარაღი. შეტაკებისას დაიღუპა პრეზიდენტის დაცვის ორი თანამშრომელი და ერთი ჩეჩენი ტერორისტი. კანონდამცველთა მიერ ტერაქტის ორგანიზატორად გამოცხადებული გოჩა ესებუა ჯიხაშკარში ჩატარებული პოლიციური ოპერაციისას ზურგში ნასროლმა ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

## მის ევროპა 2002



*სვეტლანა კოროლიოვა*

## მართვადი ენერგოქაოსი

მაია ურუშაძე

*ქვეყნის ენერგოსექტორში შექმნილ ვითარებას თამამად შეიძლება ეწოდოს "მართვადი ქაოსი". ეს ხელს აძლევს მათ, ვინც დღემდე წარმატებით ხეირობს და მათაც, ვინც ქვეყნის ეკონომიკის დანგრევისთვის პასუხისმგებლობას ამ "ქაოსის" საბაბით გაურბის. ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი, ვისაც ქაოსი არასოდეს ხელს არ აძლევს, ხალხია.*

მაგალითად, "თბილგაზის" საახალწლო მდგომარეობა კარიკატურულია. ახალ წელს თბილისის გაზმომარაგების სისტემა გაურკვეველი სტატუსით, გაუფორმებელი ხელშეკრულებებით, უსაფრთხოების არამყარი გარანტიებითა და გაზის მიწოდების გაუგრძელებელი ლიცენზიით ხვდება. ნებისმიერი მომხმარებლისათვის სახიფათო გაზის მეურნეობა, დაფხავებული მილები, შემაშფოთებლად დიდი კომერციული და ტექნიკური დანაკარგები – აი, ის არასრული "მზითევი", რაც "თბილგაზს" მერიასა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის "მოგზაურობის" უსასრულო გზაზე თან დააქვს.

სანამ "თბილგაზის" მერიისათვის დაბრუნების პროცედურა არ დასრულდება, ქალაქის გაზის მეურნეობა არალეგალურია. "იტერასთან" პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებამდე არ არსებობს თბილისის უწყვეტი გაზმომარაგების მყარი გარანტიები, "თბილგაზისთვის" ლიცენზიის შეჩერების თაობაზე სემეკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო კი, ახალი წლიდან "თბილგაზის" საქმიანობა, იურიდიულად, უკანონო იქნება.

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## შეიქმნება სამხედრო პროგრამათა პაკეტი

შაბათს ეროვნული უშიშროების საბჭომ სახელმწიფოს სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავებისა და საქართველოს თავდაცვის სისტემაში ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საკითხი განიხილა.

აღნიშნული საკითხი უშიშროების საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტმა, გენერალ-მაიორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა.

გენერალური შტაბის მზადყოფნის და სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების გათვალისწინებით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სისტემაში სახელმწიფო სამხედრო პროგრამათა პაკეტის შექმნის შესახებ.

პაკეტი მოიცავს: ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის შექმნას, საქართველოს ტერიტორიალური დაცვის სისტემას და სახელმწიფოს სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას.

ასევე, მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გენშტაბის აკადემიაში ჩამოყალიბდეს “საქართველოს ნატო-ში ინტეგრირების საინჟინრო პროგრამების სახელმწიფო ცენტრი”.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე გადაწყდა საქართველოს თავდაცვის სამხედრო-საინჟინრო სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომლის მუშაობას უხელმძღვანელებენ სახელმწიფო მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი. კომისიის კოორდინატორად და თავდაცვითი პროგრამების მეცნიერ ხელმძღვანელად ელგუჯა მეძმარიაშვილი დამტკიცდა. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იანვრის მეორე ნახევარში მოსკოვში ვიზიტს გეგმავს. ვიზიტი ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის სერგეი მირონოვის პირადი მიწვევით განხორციელდება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ვალერი ლოშინინი თბილისს იანვრის მეორე ნახევარში ეწვევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვის მთავრობა სოხუმს, ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში, 10 ავტობუსსა და ორ ტროლეიბუსს მომავალი წლის თებერვალში გადასცემს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების გაუქმების საკითხზე თავის გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო ხვალ გამოიტანს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოსა და ლიტვას შორის თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით, ლიტვის რესპუბლიკის მთავრობამ თბილისში გენერალური საკონსულოს გახსნა გადაწყვიტა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კაზაკების საერთაშორისო ასოციაცია - “მშვიდობიანი კავკასიისათვის” პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისადმი მიმართვის გაგზავნას აპირებს. კაზაკები ითხოვენ, რომ რუსეთის, უკრაინისა და ყაზახეთის პრეზიდენტებთან კონსულტაციები გაიმართოს. მათი თქმით, კაზაკთა კორპუსმა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონაში სამშვიდობო ფუნქციები უნდა შეასრულოს ამ რეგიონებიდან რუსული არმიის შენაერთების გაყვანის შემდეგ. **პრაიმ-ნიუსი**




## ხაჩიშვილის "ქილა ერბო"

რუსუდან ნიკურაძე
საკ.კორ. მოსკოვში

ამ დღეებში რუსეთის დედაქალაქში კიდევ ერთი ფარსი გათამაშდა. მთავარი როლში საქართველოში შექმნილი "დათვი" აღმოჩნდა. ბატონ ხაჩიშვილის "ქილა ერბო" ხომ მოსკოვში ინახება.

"24 საათთან" საუბარში რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა, რუსული "დათვის" ერთ-ერთმა სახემ, ქალბატონმა სლისკამ განაცხადა, რომ მათთან ქართული "დათვის" წარმომადგენლები ადრეც რამდენჯერმე ყოფილან და ამჯერადაც მოუთმენლად ელიან. ცოტა არ იყოს, დააგვიანესო, შეწუხებული იყო სლისკა, რომელიც ცუდს არაფერს ხედავს იმაში, რომ თბილისში წამხედურები გამოუჩნდათ.


თემურ ხაჩიშვილი საქართველოში პუტინის ინტერესების დაცვას დაგვპირდა

რუსეთის პარლამენტში აკრედიტებული კორესპონდენტები კი ჩვენთან აზუსტებდნენ ცნობებს ქართული "დათვის" წარმომავლობაზე. ხაჩიშვილთან დაკავშირებულმა, კრიმინალური ელემენტების შემცველმა ინფორმაციამ ჩვენი რუსი კოლეგები არ გააკვირვა. პირიქით, მათი აღფრთოვანებაც კი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ხაჩიშვილი ჯაბა იოსელიანის ყოფილი თანამებრძოლია. საზოგადოების კრიმინალიზება ახალი რუსული ბლოკბასტერების ტყვეობაში მყოფ რუსულ მენტალიტეტს, როგორც ჩანს, პატრიოტული სიამაყით ალავსებს. ბორის გრიზლოვის პარტიელები ყოფილ კოლეგებს პატივს სცემენ.

როცა ახალგამომცხვარი პოლიტიკოსი ბატონი თემურ ხაჩიშვილი რუსეთის პარლამენტში შეღწევაზე ჩალიჩობდა, "ედინაია როსიას" რომელიმე წევრთან შესახვედრად, ამ უდიდესი პარტიის პოლიტიკური საბჭოს მორიგმა სხდომამ, რომელიც ბორის გრიზლოვის მეთაურობით ტარდებოდა, სიხარულით გამოაცხადა, რომ პარტიის რიგებში შესვლის სურვილი გამოთქვეს ახალი პოპულარული რუსული ბოევიკის - "ბრიგადას" მთავარი როლების შემსრულებლებმაც. ასე აირია დღევანდელ რუსეთში მითი და რეალობა. ანეკდოტური სიტუაცია სულ უფრო ემსგავსება სინამდვილეს.

## პირველი სახელმწიფო მინისტრი, რომელსაც ბიუჯეტი "ჩაუვარდა"

პირველი გვერდიდან

ასეთი მდგომარეობა აშკარად მიუთითებდა, რომ სამთავრობო ფრონტზე ყველაფერი რიგზე არ იყო. ამიტომაც ოპოზიციას შეტევაზე გადასვლისთვის საუკეთესო ფონი შეექმნა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა გაერთიანებული დემოკრატების ინიციატივა მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ.

კანონპროექტმა, რომელიც ავტორთათვის საკმაოდ მომგებიანი ფორმით იყო ჩამოყალიბებული, სამთავრობო ძალებში კიდევ უფრო დიდი არეულობა შეიტანა. მთავრობაში დაძაბულობამ კი განსაკუთრებით ედუარდ შევარდნაძის და ზურაბ ჟვანიას შეხვედრის შემდეგ იმატა. ამასთანავე, პოლიტიკურ ბატალიებში ჯორბენაძეზე გამოცდილმა ჟვანიამ მანამდე მისთვის უჩვეულო ტაქტიკას მიმართა და მასებზე ორიენტირებული სამთავრობო შტურმიც წამოიწყო. სახელმწიფო სტრუქტურებმა ამ ინიციატივით გამოწვეულ პროცესებს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. საბიუჯეტო განხილვების წინ მათ ვერც თავისი მომხრეების სრული მობილიზება მოახერხეს. საბოლოო შედეგი ცნობილია - ბიუჯეტის მიღებას სულ სამი ხმა დააკლდა. ამ კენჭისყრით ოპოციურმა ფრაქციებმა სახელმწიფო მინისტრს ნათლად აჩვენეს, რომ პარლამენტში კვლავ სერიოზულ ბერკეტებს ფლობენ.

ახლა, როდესაც ბიუჯეტის ბედი გაირკვა, მთავარი კითხვები მოვლენების შემდგომი განვითარების შესაძლო ვარიანტებს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციამ ამ ეტაპზე სახელმწიფო მინისტრის დამარცხება შეძლო, ზურაბ ჟვანია სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებაზე არ წავიდა და 115-ლარიანი ხელფასის შესახებ ინიციატივა ახალი ბიუჯეტის მომზადებამდე გადადო. ჟვანიას, როგორც ჩანს, კარგად ესმის, რომ მინიმალური ანგარიშით მოპოვებული გამარჯვება საკმაოდ მყიფეა იმისათვის, რომ მთავრობასთან ფართომასშტაბიანი ომის საფუძველი გახდეს. მით უფრო, რომ სამთავრობო ფრაქციები დარწმუნებულნი არიან - მათი დამარცხება მხოლოდ შემთხვევითობამ და რამდენიმე დეპუტატის (როგორც ისინი ამბობენ) ობიექტური მიზეზებით არყოფნამ გამოიწვია. ამიტომაც გაერთიანებულმა დემოკრატებმა სახელმწიფო მინისტრს თანამშრომლობა შესთავაზეს.

აღსანიშნავია აღორძინების პოზიციაც. არც მათი ლიდერი ჯემალ გოგიტიძე გამორიცხავს მთავრობასთან თანამშრომლობას, თუ კანცელარია შემხვედრ ნაბიჯებს გადადგამს. ბუნებრივია, ასეთი შეთავაზებების უკან ყოველთვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური გათვლები დგას. სხვათაშორის, ბიუჯეტის ჩავარდნის შემდეგ პარლამენტში კვლავ გაისმა სიტყვათა წყობა, რომელიც ქართულ პოლიტიკაში მოქალაქეთა კავშირის დაშლის შემდეგ დამკვიდრდა – ახალი პოლიტიკური რეალობა. მაშინ ამ სიტყვებს საპარლამენტო თანამდებობების გადანაწილება მოჰყვა. ამჯერად რა იგულისხმება "ახალ პოლიტიკურ რეალობაში", ალბათ, სულ ცოტა ხანში გამოჩნდება, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შექმნილ სიტუაციაში ეს "ახალი რეალობა" კვლავ თანამდებობებით განისაზღვროს.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მინისტრი, ჯერჯერობით, არ იზიარებს ახალი პოლიტიკური რეალობის თეორიას. მან პირდაპირ განაცხადა რომ ბიუჯეტის რადიკალურ შეცვლას არ აპირებს და ხელახალი კენჭისყრის ჩატარება ახალ წლამდე მოითხოვა, მაგრამ ეს უფრო ცხელ გულზე გაკეთებულ განცხადებას ჰგავდა. ძნელი დასაჯერებელია, ავთანდილ ჯორბენაძეს არ ესმოდეს, რომ ის პირველი სახელმწიფო მინისტრია, რომლის წარდგენილი ბიუჯეტიც ჩავარდა. უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა იმას, შემთხვევითობა იყო ეს, პოლიტიკური თამაშების შედეგი თუ კიდევ სხვა რამ. საბიუჯეტო კენჭისყრის შემდეგ ჯორბენაძის პოზიციები არა მარტო პარლამენტში, არამედ კანცელარიაშიც შესუსტდა. კიდევ ერთი წარუმატებლობის შემთხვევაში სულაც არ არის გამორიცხული, სახელმწიფო მინისტრის სავარძლის შერყევაზე უკვე პრეზიდენტმა შევარდნაძემ იზრუნოს. მით უფრო, რომ შევარდნაძეს კრიტიკულ სიტუაციებში ასეთი მოქმედება ახასიათებს. ამიტომაც ახლა არჩევანი უკვე სახელმწიფო მინისტრზეა – მიიღებს ის ოპოზიციის შეთავაზებას და მათი დახმარებით მოახერხებს ბიუჯეტის გატანას, თუ მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით შეეცდება საწადელის მიღწევას.

თუ ჯორბენაძემ სამოქმედოდ მეორე ვარიანტი აირჩია, მას თავისი საპარლამენტო გუნდის გადახალისება და მუშაობის სხვაგვარ წესზე გადასვლა მოუწევს. შემთხვევით არ გაიხსენა ვახტანგ რჩეულიშვილმა 1992-95 წლების პარლამენტი. უმრავლესობის მობილიზება მაშინ სწორედ ვიცე-სპიკერ რჩეულიშვილს ევალებოდა, რომლის მონდომებას საქმე ზოგჯერ ტრაგიკურიოზებამდეც კი მიჰყავდა. მაგალითად: ერთ-ერთი კენჭისყრის დროს, პარლამენტის ხელმძღვანელობის მოთხოვნით, ერთ-ერთი დეპუტატი იძულებული გახდა, ცოლის დაკრძალვის დღეს პარლამენტში ხმის მისაცემად მისულიყო.

მოქმედების რა გეგმაც უნდა აირჩიოს სახელმწიფო მინისტრმა, ფაქტი ერთია – ჯორბენაძის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში კრიტიკული მომენტი დადგა. ერთმა გაუთვლელმა ნაბიჯმაც კი შეიძლება, ერთბაშად დაანგრიოს ის შენობა, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი მთელი წლის განმავლობაში აშენებდა და მთავრობაში სამედიცინო განათლების მქონეთა რაოდენობაც მინიმუმ ერთით შემცირდება.

P.S საბიუჯეტო დებატების წინ საქართველოს მთავრობამ ფონოგრამების შესახებ კანონპროექტი მოიწონა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრისათვის გაუგებარი დარჩა, რატომ დაინტერესდა ასეთ დროს მთავრობა ფონოგრამებით, უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება მართლაც დროული იყო. საქართველოს ხელისუფლება მთელი წლის განმავლობაში ისე აბრუებდა მოსახლეობას პოლიტიკური ფონოგრამებით, რომ ამის შესახებ არც არავის აფრთხილებდა. საბიუჯეტო დებატებმა კი მთავრობა აიძულა, "ცოცხლად" ემღერა, თუმცა წარუმატებლად.

## რუსები ქართველებს აფხაზების მოფერებას ურჩევენ, გროზნოში კი კვლავ სიკვდილი თარეშობს

გროზნოში ტერაქტის შემდეგ პრეზიდენტი პუტინი ისევე დუმს, როგორც მოსკოვში, დუბროვკაზე ტრაგედიის დღეებში დუმდა. მაშინაც და ახლაც ქვეყანა ამაოდ ელოდა და ელის კრემლის ოფიციალურ პოზიციას - საერთოდ, რა ხდება ჩეჩნეთში? რუსეთის დემოკრატიული ძალები კარგად ხვდებიან, რომ კრემლი მასხადოვთან მოლაპარაკებებს არასოდეს გამართავს, პუტინი ელცინი არ არის და არც გენერალი ლებედია ცოცხალი, მეორე ხასავიურტი რომ ჩააგრიალოს.

იმ დილით, როცა გროზნოში მთავრობის სახლი ააფეთქეს, რუსეთის პარლამენტის ფოიეში რუსი კომუნისტების გაზეთ "ზავტრას" ახალი ნომერი გაავრცელეს. პირველ გვერდზე დაბეჭდილი ოთხსტრიქონიანი ლექსის ავტორი ჩივის, რომ გენერალი ტროშევი გაათავისუფლეს, ჩვენს გენერლებს კი პენტაგონი ახალ პაგონებს ურიგებსო.

მოსკოვის კინოს სახლში ამ დღეებში მორიგი პრესტიჟული პრიზი მიანიჭეს ცნობილი რუსი რეჟისორის ალექსეი ბალაბანოვის ( "ძმა", "ძმა 2") ფილმს "ომი", რომლის მთავარი გმირი – ომგამოვლილი ახალგაზრდა საპყრობილეში აღმოჩნდება და ირონიულად ეუბნება ჟურნალისტს, "ვიჯდები და დაველოდები, პუტინი ტელევიზორში რას იტყვის, მაგალითად, იმაზე, როდის იქნება ქვეყანაში სასამართლო რეფორმა და როდის დამთავრდება ომი".

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ წინასაარჩევნო კარუსელში ჩამსხდარ ხელისუფლებას ნაკლებად აღელვებს საკუთარი გენერლების აღვირახსნილობა. ვერც გროზნოს ტრაგედიის ჭეშმარიტ მიზეზებში გასარკვევად იცლის, რადგანაც უფრო მნიშვნელოვანია მოახლოებული ახალი წლისთვის სამზადისი. ხალხის რჩეულებმა ამ დღეებში მიიღეს "გაზპრომის", "ლუკოილისა" და სხვა ოლიგარქიული მონოპოლიების უხვი საჩუქრები. არავინ თაკილობდა დერეფნებში ძვირფასი ყუთებით წინ და უკან სიარულს. და ეს ხდებოდა ზუსტად იმ დღეს, როცა გროზნოს "თეთრ სახლში" ჩახოცეს საკუთარი უდანაშაულო მოქალაქეები.

ზუსტად იმ დღეს მოსკოველი ქრთველებიც შეშფოთებული უსხდნენ ტელევიზორებს და ელოდნენ, რას იტყოდა ტელევიზორში პუტინი. ზუსტად იმ დღეს მოსკოველი ჩეჩნები მთავარი მოსკოველი ჩეჩნის, დეპუტატ ასლახანოვის პირით საჯაროდ აშავებდნენ ასლან მასხადოვს. ჩვენ ვერ დაგვაჩოქებენ! – იმუქრებოდა კრემლის რჩეული კადიროვი. მილიარდერი მალიქ საიდულაევი ფრთხილ განცხადებებს აკეთებდა ძალით ჩეჩნეთის პრობლემის მოუგვარებლობაზე.

ის ფაქტი, რომ კრემლს დღეს არცერთი კონფლიქტის მოწესრიგების მექანიზმი არ გააჩნია, კარგად გამოჩნდა აფხაზეთის კონფლიქტის ეკონომიკური მეთოდებით "დარეგულირების" მთავარი ინიციატორის, პუტინის ადმინისტრაციის უფროსის ალექსანდრ ვოლოშინის პოზიციიდანაც. გროზნოს ტერაქტამდე ერთი დღით ადრე იგი საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს, თედო ჯაფარიძეს შეხვდა და, რაღა თქმა უნდა, აფხაზეთის პოლიტიკური დარეგულირების გარდა, საქრთველოდან წამოსული საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეზეც ესაუბრა.

კრემლის კარგად ინფორმირებული წყაროს თქმით, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს ვოლოშინმა გახსნილი ტექსტით უკარნახა, როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, აფხაზეთის მთავრობასთან კომპრომისის მისაღწევად: **"ხმარებიდან უნდა ამოიღოთ შემდეგი ფრაზები: "სეპარატისული რეჟიმი", "ე.წ.", "თვითაღიარებული რესპუბლიკა" და მათ ნაცვალდ იხმარეთ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის მთავრობა და ა.შ."**

ვოლოშინის ამ შეგონების რეალობა ბატონმა თედომ ჩვენთან საუბარში დაადასტურა.

## სერგეი შამბას ოცნება

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას **“ყველაზე დიდი პოლიტიკური ოცნება”** 2003 წლისთვის საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაა.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, მომავალი წლისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანად აფხაზური მხარისთვის კვლავ რჩება საქართველოსა და აფხაზეთს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარება.

შამბას მტკიცებით, იგი დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან, **“საქართველოს მოუწევს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება”,** მაგრამ მას სურს, რომ **“საქართველომ პირველმა გამოიჩინოს ინიციატივა და საერთაშორისო საზოგადოებას დამოუკიდებელი აფხაზეთის აღიარების შესახებ ამცნოს”.**

შამბას აზრით, თბილისის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება გარდატეხას შეიტანდა და მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოწესრიგებაში. იგი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობები დათბება და **“ისინი ერთმანეთს მტრებად აღარ ჩათვლიან”.**

შამბას მიაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში ასლან აბაშიძე სოხუმთან პირდაპირი დიალოგისთვის ქართული საზოგადოებრიობის მზადყოფნისათვის ნიადაგს ამზადებს.

შამბა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ასლან აბაშიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს **“საღ და გონივრულ მიდგომად”** აფასებს და არ უკვირს, რომ აჭარის ლიდერი სოხუმთან პირდაპირ დიალოგს, ჯერჯერობით, არ აწარმოებს.

მისი მტკიცებით, აბაშიძის ინიციატივებისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება **“შიდა ქართული პრობლემაა”** და იმის გამო, რომ ქართული საზოგადოებისათვის აბაშიძის მოსაზრებები ჯერჯერობით მიუღებელია, იგი არ ჩქარობს სოხუმთან დიალოგის დაწყებას.

შამბას განმარტებით, სოხუმის ხელისუფლებისათვის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ აბაშიძის წინადადებები იმის გამოა მისაღები, რომ იგი კონფლიქტის მოგვარებას **“ძალის გამოყენების”** გარეშე ვარაუდობს და **“ცდილობს, აფხაზური საზოგადოება დააინტერესოს საქართველოსთან და ქართველ ხალხთან თანაცხოვრებით”.**

მისი შეფასებით, აბაშიძემ შეძლო ემოციებზე მაღლა დადგომა და შეძლო ყოფილიყო უკომპრომისო, რათა მომავალში ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრება შესაძლებელი გახდეს.

*ინტერ-პრესი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პარლამენტი ფინიშის სწორზე

პირველი გვერდიდან

დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი, რომელსაც უკვე გამოუთვლია, რომ საგადასახადო კოდექსის ამგვარი "ლიბერალიზების" შედეგად, მისი რაიონის ბიუჯეტი ყოველწლიურად 300 ათასი ლარით დაზარალდება. "მრეწველებზე" გამწარებულ გრიგალაშვილს ზურაბ ტყემალაძე და მისი საპარლამენტო "კომპანია" ურჩევს, ამიერიდან იმაზე იზრუნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან ბორჯომის რაიონში რაც შეიძლება დიდი ოდენობის ტრანსფერი იქნას მიმართული.

კანონშემოქმედება რომ პარლამენტის "საარსებო პურია", აქსიომას წარმოადგენს. ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტი ვერც ამ კუთხით მოიწონებს თავს. მეტიც: ასეთი "ზარმაცი თაობა" საქართველოს კანონმდებლობის ისტორიას თითქმის არ ახსოვს - 1996 წელს ქვეყნის პარლამენტმა მიიღო 54 კანონი, 1997 წელს -60, 1998 წელს - 57, 1999 წელს -51, 2000 წელს - 20, 2001 წელს - 17, მიმდინარე წელს - 12!

**"ასეთი ჩავარდნა პარლამენტს ჯერ არ ჰქონია"**, - საკანონმდებლო "ბიუჯეტის" სერიოზულ "გარღვევას" ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილიც აღიარებს, რომელიც, სხვათა შორის, თავად კურირებს კანონშემოქმედებით სფეროს.

წლევანდელ საკანონმდებლო "მოუსავლიანობას", თავად დეპუტატები, ძირითადად, იმით ხსნიან, რომ საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის შემდეგ, "კანონმწარმოებელი კონვეიერი" მთლიანად მოიშალა და "პროდუქციას" ველარ უშვებს. გარდა ამისა, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ რაც დრო გავა და საკანონმდებლო პროცესი წინ წავა, მიღებული კანონების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდება, რადგან თანდათანობით გაქრება "თეთრი ლაქები", შესაბამისად - გაიზრდება მოქმედ კანონებში შეტანილი ცვლილებების რიცხვი.

რაც შეეხება პარლამენტის კიდევ ერთ ფუნქციას - მთავრობის საქმიანობის კონტროლს, საშემოდგომო სესიის პერიოდში მასზე თუნდაც ზოგადი მსჯელობაც კი სასაცილო გამოვა. საქმე უფრო უკუპროცესთან გვაქვს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, პარლამენტმა და აღმასრულებელმა ინსტიტუტმა - სახელმწიფო კანცელარიამ "სქესი" შეიცვალეს: პირველი მათგანი მთავრობის მითითებების უსიტყვო აღმსრულებელია (გამონაკლისი იყო 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ჩაგდება), ხოლო პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია საკანონმდებლო ფუნქციებს წარმატებით ითავსებს: თუ პარლამენტის მიერ მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება არ მოეწონება, ედუარდ შევარდნაძე მათზე ვეტოს დადებითაც კი არ იწუხებს თავს, კანონმდებელთა მიერ მოწონებულ დოკუმენტს, უბრალოდ, ხელს არ აწერს, თაროზე შემოდებს და საჭირბოროტო საკითხებს საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს.


საპარლამენტო დებატები

ზაურ გულაშვილის ფოტო

**"ნუ ცდილობთ პარლამენტის გადაქცევას კანცელარიის ფილიალად "**, - ბიუროს ამასწინანდელ სხდომაზე სახელისუფლებო ფრაქციების ხელმძღვანელთა მისამართით ნინო ბურჯანაძის ეს რეპლიკა, ალბათ, უფრო პრეზიდენტის გასაგონად იყო ნათქვამი.

განვლილი საშემოდგომო სესიის დროს რაიმე სერიოზული ცვლილებები არც პარლამენტში არსებულ პარტიულ ინფრასტრუქტურაში მომხდარა. საკანონმდებლო ორგანოში "პარადს" ისევ პროსახელისუფლებო ძალები უძღვებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უფრო ინერციის გამო ხდება, ვიდრე მათი ავტორიტეტისა და გავლენის წყალობით. მითი ამ ძალების უძლეველობის შესახებ 28 დეკემბერს, რიგგარეშე სესიაზე გაქარწყლდა, როდესაც მთავრობამ და მისმა საპარლამენტო დასაყრდენმა, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, 2003 წლის ბიუჯეტის "გათრევა" ვერ მოახერხა. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. ეს უფრო დასასრულის დასაწყისია - რესურსებამოწურული ხელისუფლების სრული კრახი საპარლამენტო არჩევნებშია სავარაუდო, თუ, რა თქმა უნდა, მმართველმა ძალამ ოპოზიციას ხელოვნურად არ შეუქმნა ფორს-მაჟორული სიტუაცია ან, რაიმე საბაბით, არჩევნები არ გადადო.

ბოლო თვეების მანძილზე "მოქალაქეთა კავშირი" და "სოციალისტები", აგრეთვე მათი სატელიტი პოლიტიკური ჯგუფები (ფრაქციები "თანადგომა", "ალიანსი", "აფხაზეთი" და სხვ.) სულაც არ მალავდნენ ხელისუფლების მიმართ საკუთარ სიმპათიებს და მზად იყვნენ, ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში წინამძღოლობა ეკისრათ. უფრო შენიღბულად მოქმედებდნენ "მრეწველები". რომ შეჰკადრო, ხელისუფლების მხარდამჭერი ძალა ხარო, გოგი თოფაძისა და ზურაბ ტყემალაძის თანაგუნდელები აუცილებლად განაწყენდებიან. მაგრამ თუ პარლამენტში ბოლო დროს პრობლემატურ საკითხებზე გამართული კენჭისყრების შედეგებს გადაავლებთ თვალს, "მოულოდნელად" აღმოაჩენთ, რომ "მრეწველთა" ხმები თითქმის ყოველთვის სახელისუფლებო ყულაბაში ხვდებოდა.

საშემოდგომო სესიის პერიოდში პარლამენტში საკმაოდ საინტერესო ტანდემი შექმნეს "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" და "ახალმა მემარჯვენეებმა". ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობის პარალელურად, როგორც ჩანს, მათ უკვე ის ბაზისიც იპოვეს, რომელზეც წინასაარჩევნო პერიოდში ზედნაშენის "აღმართვას" შეეცდებიან. დავით გამყრელიძის გუნდისთვის ასეთი ფუნდამენტური ბაზა იქნება ნატო-ში შესვლაზე ორიენტაციის პროპაგანდა, პლუს რეგიონებში შექმნილ უმძიმეს სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ხელისუფლების დადანაშაულება (2 ივნისის მუნიციპალურ არჩევნებში "ახლებმა" რეგიონებში საკმაო წარმატებას მიაღწიეს და, ამდენად, ამ თვალსაზრით ინფორმაციის მოპოვება ნამდვილად არ გაუჭირდებათ).

კიდევ უფრო ეფექტურ იარაღს მიაგნეს "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" - მინიმალური 115-ლარიანი ხელფასის მოთხოვნა ის ბომბია, რომელზეც ძალიან ადვილად შეიძლება აფეთქდეს დღევანდელი ხელისუფლება. მითუმეტეს, რომ მისმა წარმომადგენლებმა დღემდე ვერ წარმოადგინეს მყარი და დასაბუთებული არგუმენტები იმისა, თუ რატომ არის მიუღებელი და გაუმართლებელი მინიმალური ხელფასის მკვეთრი ზრდა.

ბოლო ხანს სერიოზული პრობლემები შეექმნა პარლამენტში წარმოდგენილ კიდევ ერთ ანგარიშგასაწევ ძალას - ბათუმურ ალიანსს. თავი რომ დავანებოთ აჭარული ბლოკიდან "ტრადიციონალისტებისა" და "სოციალისტების" გასვლას, ასლან აბაშიძის საპარლამენტო გუნდში სხვა პრობლემებმაც იჩინეს თავი. ბლოკის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა - გიორგი თარგამაძე შიდაპარტიულ ინტრიგებს შეეწირა, ბათუმმა იგი სანდრო ბრეგაძის პერსონით ჩაანაცვლა და შედეგად, საშემოდგომო სესიის პერიოდში ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარის აქტიურობამაც საგრძნობლად იკლო. ვინაიდან იგი "უკანა რიგში გადასვეს", ამდენად, მხოლოდ ნომინალურადღა ითვლება ბლოკის ერთ-ერთ ლიდერად.

გიორგი თარგამაძეს 2 ივნისის არჩევნებში "აღორძინების" წარუმატებლობა ბრალდება, თუმცა, ეფექტური ორგანიზაციული და პროპაგანდისტული საქმიანობით ვერც ბლოკის სხვა ხელმძღვანელები დაიკვეხნიან.

შეიძლება, პირი აღტაცებით დააღო და მთქნარებით დახურო, - ეს გამონათქვამი ზუსტად შეესაბამება "აღორძინების" მიერ აგორებულ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესს: ხმაურით და აჟიოტაჟით დაწყებული კამპანია იმით დასრულდა, რომ როდესაც ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე ელენე თევდორაძე იქით ეხვეწებოდა ჯემალ გოგიტიძეს, მომეცი ტექსტი, მზად ვარ, ხელი მოვაწეროო, აღმოჩნდა, რომ ასეთი დოკუმენტი... არ არსებობს.

ოპოზიციური ბანაკის კიდევ ორი წევრი - "ნაციონალები" და "ტრადიციონალისტები" - ამ შემოდგომაზე პარლამენტში რაიმე სერიოზული ინიციატივით არ გამოსულან. მათ უფრო შეეფერებათ ტერმინი "ერთგული ანტისახელისუფლებო მოკავშირეები". ეს ფრაქციები ყოველთვის მზად იყვნენ, მხარი დაეჭირათ თითქმის ყველა იდეისა და ნაბიჯისთვის, რომლებიც მათი მოკავშირეებისგან მოდიოდა და ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ზემოთ ითქვა, რომ განვლილ საშემოდგომო სესიაზე პარლამენტში არსებულ პარტიულ ინფრასტრუქტურაში რაიმე სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა. თვისობრივ სიახლეს, ალბათ, არც საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ დროში უნდა ველოდოთ - ახლა სულაც არ არის საუკეთესო პერიოდი ექსპერიმენტებისთვის.

# ჭადრაკის დედოფლის კორონაციიდან 40 წელიწადი გავიდა

თბილისის საკრებულომ გუშინ მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონის, მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილის გადედოფლების იუბილე აღნიშნა.

40 წლის წინათ, 1962 წლის 17 ოქტომბერს ქალბატონი ნონა პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და შემდეგ, თექვსმეტი წლის განმავლობაში არავის დაუთმო ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი. საბჭოთა პერიოდში 11 ოლიმპიურ თამაშში მონაწილეობისას ნონა გაფრინდაშვილი 10 ოქროსა და ერთი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ლეგენდარულ ქართველ მოჭადრაკეს საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა და მერმა ვანო ზოდელავამ თბილისის პოპულარიზებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საკრებულოს მიერ დაწესებული სპეციალური დიპლომი - “თბილისის სიამაყე” გადასცეს. როგორც სააკაშვილმა გუშინ გამართულ საზეიმო თავყრილობაზე აღნიშნა, ამგვარი დიპლომების გადაცემა ტრადიციად იქცევა.

ქალბატონი ნონა ამჟამად თბილისის საკრებულოს წევრია და ახალ ამპლუაში არანაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობს, ვიდრე ჭადრაკის დაფასთან.

**“რა თქმა უნდა, საკრებულოს წევრობა დიდი პასუხისმგებლობაა. ვეცდებით, ყველანაირად გავამართლოთ თბილისელთა მოლოდინი. იმედი მაქვს, რომ ჩვენი საკრებულოს მუშაობა მომავალ წელს სასიკეთოდ დაეტყობა დედაქალაქს... ძალიან მაწუხებს, როცა ირგვლივ ამდენ გაჭირვებულ ადამიანს ვხედავ. მინდა ყველას ბედნიერება ვუსურვო,”** – ახალი წელი მოგვილოცა ჭადრაკის დედოფალმა.

*"24 საათი"*




დედაქალაქი პატივს მიაგებს "თბილისის სიამაყეს".



# საუდის არაბეთმა აშშ-ს სამხედრო ბაზები დაუთმო

დასავლური საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ თუ ერაყთან ომი დაიწყება, საუდის არაბეთი თანამხაა, შეერთებულმა შტატებმა მისი საჰაერო სივრცე და საავიაციო ბაზები გამოიყენოს.

ამერიკელმა გენერლებმა "ნიუ-იორკ თაიმსს" განუცხადეს, რომ მათ საუდების ოჯახისაგან არაოფიციალური თანხმობა უკვე მიიღეს და ერაყის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში "პრინც სულთნის" საჰაერო ბაზაზე არსებულ მართვის ცენტრს გამოიყენებენ.

სამხედრო მაღალჩინოსნებმა ჟურნალისტთან საუბრისას აღნიშნეს, რომ ისინი ძალზე კმაყოფილები არიან იმით, რომ საბოლოოდ საუდის არაბეთმა უფლება მისცა ამერიკელებს, საჰაერო იერიშები მათი ტერიტორიიდან განახორციელონ, რაც დავის მთავარი საგანი იყო.

"მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ საუდები იმას მოგვცემენ, რაც გვჭირდება და ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ იმაზე მეტს მივიღებთ, ვიდრე მათ ვთხოვეთ", - განაცხადა გენერალმა ჯონ ჯამპერმა, აშშ-ს საჰაერო ძალების სარდალმა.

პენტაგონის წარმომადგენელმა მაიორმა სენდი ტრობერმა საუდის არაბეთის თანხმობა ოფიციალურად არ დაადასტურა. "საუდის არაბეთი შეერთებული შტატების მტკიცე მოკავშირეა და მხარს გვიჭერს ტერორიზმის წინააღმდეგ ომში", - ხაზგასმით აღნიშნა მან.

რაც შეეხება საუდის არაბეთს, ვაშინგტონში მის საელჩოს კომენტარი არ გაუკეთებია.

საუდის არაბეთი 1991 წლის სპარსეთის ყურის ომში აშშ-ს მთავარი დასაყრდენი იყო, როდესაც ამერიკელებმა ქუვეითის წინააღმდეგ ერაყის აგრესია აღკვეთეს.

რეალურად, ვაშინგტონს ერაყის წინააღმდეგ შეტევის განხორციელება საუდის არაბეთის ბაზების გარეშეც შეუძლია, მაგრამ სამხედრო ოპერაციების ჩატარება მათი გამოყენებით, გაცილებით უფრო გართულდება.

ვაშინგტონმა უკანასკნელ დღეებში ჯარისკაცების დამატებითი კონტინგენტი და ავიამზიდები შეიყვანა სპარსეთის ყურეში.

"`ნიუ-იორკ თაიმსის" მიერ გავრცელებული ცნობა რადიკალურად განსხვავდება იმ განცხადებებისაგან, რომელსაც ერთი თვის წინ საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საუდ ალ-ფაისალი აკეთებდა. მაშინ საუდთა საგარეო საქმეთა მინისტრი ამტკიცებდა, რომ გაერო-ს თანხმობის შემთხვევაშიც კი საუდის არაბეთი თავის ბაზებს ვაშინგტონს არ დაუთმობდა.

შეერთებულმა შტატებმა თავის დაზღვევის მიზნით ალტერნატიული სამხედრო ბაზების აგება დაიწყო, რომელსაც ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომში გამოიყენებს. სამხედრო ოპერაციების მართვა კი ყატარში ახლახან აგებული ცენტრიდან განხორციელდება.

## ინფორმაცია

### 40 წლის შემდეგ, კენიაში ოპოზიციამ გაიმარჯვა

კანუს პარტიის 40-წლიანი მმართველობის შემდეგ, კენიაში ჩატარებულ არჩევნებში ოპოზიციურმა "ცისარტყელას კოალიციამ" გაიმარჯვა. ქვეყნის პრეზიდენტი გახდა მვაი კიბეკი, რომელმაც ხმათა 63 პროცენტი მოიპოვა და დიდი უპირატესობით დაამარცხა კანუს პარტიის კანდიდატი. პრეზიდენტის პოსტზე იგი მოის შეცვლის, რომელსაც 24 წელი ეპყრა ხელისუფლება.

პარალელურად გამართულ საპარლამენტო არჩევნებშიც ოპოზიციამ გაიმარჯვა.

კიბეკის ძირითადი წინასაარჩევნო ლოზუნგი კორუფციასთან ბრძოლა იყო. მის გამარჯვებას კენიელთა დიდი ნაწილი ახალი ერის დასაწყისად მიიჩნევს.

ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობისა და ევროკავშირის მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადების თანახმად, არჩევნები თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე იყო.

### "იაბლოკო" და მემარჯვენეები არ ერთიანდებიან

"იაბლოკოს" ლიდერის, გრიგორი იავლინსკის მიერ გაკეთებული განცხადება, ფაქტობრივად, გამორიცხავს მემარჯვენე ძალთა გაერთიანებისა და "იაბლოკოს" მომავალ არჩევნებში ერთიანი ფრონტით გამოსვლას. "იაბლოკოს" ლიდერის თქმით, მას არაფერი აქვს მემარჯვენეთა ლიდერების, ნემცოვისა და ხაკამადას საწინააღმდეგო, მაგრამ ვერ ითანამშრომლებს ისეთ ადამიანებთან, როგორიც არიან გაერთიანებული ენერგოსისტემების შეფი ჩუბაისი და ყოფილი პრემიერი, ამჟამად, ვოლგის ფედერალური ოლქის გუბერნატორი სერგეი კირიენკო.

"იაბლოკოს" საბჭოზე მიღებუი დეკლარაციის თანახმად, პარტია ვერ ითანამშრომლებს იმ ხალხთან, ვინც მხარი დაუჭირა ჩეჩნეთში ომის დაწყებას და განახორციელა დანაშაულებრივი პრივატიზაცია.

### უკრაინის პოლიციამ რადიოაქტიური ნაძვის ხეები აღმოაჩინა

უკრაინული საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ პოლიციამ რადიაციით დასხივებული რამდენიმე ნაძვის ხე დააკავა. პოლიციის განცხადებით, ხეები ჩერნობილის კატასტროფის ახლობლად არის მოჭრილი.

საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასის" ცნობით, საეჭვო ნაძვის ხეები უკრაინის სამხრეთში ერთ-ერთ საშობაო ბაზრობაზე აღმოაჩინეს.

ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ, მიმდებარე არეალში ხეების მოჭრა და მათი საწარმოო მიზნებით გამოყენება სასტიკად აიკრძალა.

ხელისუფლება ამჟამად იმ ხალხის აღმოჩენას ცდილობს, ვინც საშობაოდ დასხივებული ხეები უკვე შეიძინა.

### პუტინი გენერლებს დაერია

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მოხსნა ფედერალური სასაზღვრო ძალების ჩრდილოეთ-კავკასიის მიმართულების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ევგენი ბოლხოვიტინი. ეს უკვე რიგით მეორე რუსი გენერალია, რომელიც პუტინის მიერ ჩეჩნეთში დისლოცირებულ სამხედრო ძალებში დაწყებულ საკადრო წმენდას შეეწირა. გენერალ ბოლხოვიტინის გადაყენების მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია; თუმცა, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ბოლხოვიტინი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა იმსხვერპლა. საუბარია ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრაზე, როდესაც ჩეჩენმა მებრძოლებმა რუსეთის სამხედრო ვერტმფრენის ჩამოგდება შეძლეს.

შეგახსენებთ, გასულ კვირას პრეზიდენტმა პუტინმა ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ძალების დაჯგუფების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი გენადი ტროშევი გადააყენა. ამის მიზეზად იქცა თავად ტროშევის უარი თავდაცვის მინისტრის ბრძანების შესრულებაზე, რომლის თანახადაც, ტროშევი ციმბირში უნდა გადაეყვანათ.

## მოკლედ

**ერევანი.** სომხეთის სახელმწიფო ტელე-რადიო მაუწყებლობის შეფი ტიგრან ნაღდალიანი ერევანში დაქირავებულმა მკვლელებმა მოკლეს. ნაღდალიანი "რადიო თავისუფლების" სომხურ ბიუროს 1994-1997 წლენში ხელმძღვანელობდა.

■ ■ ■

**მოსკოვი.** დღეს თურქული კომპანია "ბოტაში" მიიღებს "ცისფერი ნაკადის" მეშვეობით ექსპორტირებულ რუსულ გაზს. მილსადენი შავი ზღვის გავლით უკავშირდება თურქეთს.

# ჩეჩნებს ეშინიათ ვაჰაბიზმის

პირველი გვერდიდან



ეგზალტირებული ვაჰაბიტები

**"ჩვენ სცილასა და ქარიბდას შორის ვცხოვრობთ,** – აღიარებს ჩეჩნეთის ერთ-ერთი ქალაქის ვიცე-მერი, – **რუსები ჩვენ არ გვენდობიან, რადგან ფიქრობენ, რომ ამბოხებულებთან ვართ შეკრული. მერე მხრივ, ვაჰაბიტები ჩვენზე ნადირობენ. მათთვის ჩვენ ყველანი მოღალატეები, "კაფირები" ვართ".**

ჩეჩნური საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაცემებით, მოსახლეობის დაახლოებით მეათედი მხარს უჭერს ისლამისტ ექსტრემისტებს. მათი გამორჩევა დანარჩენი ხალხისაგან ძალიან რთულია. **"როდესაც მეორე ომი დაიწყო, ბევრმა ვაჰაბიტმა წვერი გაიპარსა, ყალბი დოკუმენტები იყიდა და მშვიდობიან მოსახლეობას შეერია,** – ამბობს მაგომედ ბახაევი, ურუს-მარტანის პოლიციის უფროსის მოადგილე, - **ბევრი მათგანი შევიდა პოლიციაში, ომონში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა სამსახურებში. ჩეჩნეთში არსებობს ვაჰაბიტთა კარგად შენიღბული, ძლიერი ქსელი, რომელსაც რუსების ანტიტერორისტული კამპანია ბევრს ვერაფერს აკლებს".**

ბახაევის თქმით, ვაჰაბიტთა საიდუმლო ქსელი თავის გარშემო იკრებს რადიკალურად განწყობილ ახალგაზრდებს, მათ ჯამაათებში, ისლამურ რაზმებში აგზავნის და გასამრჯელოს აძლევს რუსებისა და ჩეჩენი კოლაბორაციონისტების წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციებისათვის.

**"ისინი ყველგან არიან,** – ამბობს იგი, – **ისინი უთვალთვალებენ ყველა ჩეჩენს, ვინც რუსებთან მუშაობს და ადგენენ მათ სიებს. შემდეგ შარიათის სასამართლო დაუსწრებლად ასამართლებს მათ და სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს. განაჩენი პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში სრულდება".**

ისინი თავს "ისლამის სიწმინდისათვის მებრძოლებს" უწოდებენ და აცხადებენ, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე აპირებენ ბრძოლას.

26 წლის არლუნელი აბდულ ჰამიდი ჯამაათის წევრია. ქალაქში რუსულ ბლოკპოსტზე განხორციელებული შეტევის დროს, იგი ფეხში დაიჭრა და ახლა გროზნოში, ნათესავებთან მკურნალობს.

**"ყურანში ტერმინ ვაჰაბის ხსენებაც კი არ არის,** – ამბობს იგი, – **ეს სიტყვა ისლამის მტრებმა მოიგონეს, რათა შეურაცხყოფა მიეყენებინათ მათთვის, ვინც ჩვენი სარწმუნოების სიწმინდისათვის იბრძვის. ვაჰაბიტებს იმიტომ გვეძახიან, რომ რაღაც კულტად, რადიკალების ბანდად წარმოგვაჩინონ. მაგრამ, ალაჰია მოწმე, მათ არაფერი გამოუვათ. ჩვენ იგივე გვწამს, რაც ადრე, ისლამი ჩვენი რელიგიაა, ყურანი - ჩვენი კონსტიტუცია, ჯიჰადი – ჩვენი მოწოდება. ალაჰისათვის სიკვდილი – უდიდესი ჯილდოა".**

ისლამური ფუნდამენტალიზმი ჩეჩნეთში არაბმა მოხალისეებმა მოიტანეს, რომლებიც აქ პირველ ომში 1994-96წწ. იბრძოდნენ. მაშინ შეიქმნა პირველი ჯამაათები, რომლებიდანაც შემდგომში ვაჰაბიტური რაზმები ჩამოყალიბდა.

ისლამისტი რადიკალების ნაწილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ავღანეთში იბრძოდა და ჩეჩნეთში ამ ომის გაგრძელება სურდა. მათ შორის იყო ფატჰი, იორდანული წარმოშობის ჩეჩენი და საუდის არაბეთის მოქალაქე ხატაბი, რომელიც წინა გაზაფხულზე გაუკრვეველ ვითარებაში დაიღუპა. ხატაბი მისმა მოადგილემ აბუ-ვალიდმა შეცვალა, რომლის შესახებაც ბევრი არაფერია ცნობილი. ზოგი მას იორდანელ ჩეჩნად მიიჩნევს, ზოგის აზრით კი იგი საუდელია.

პირველი ომის შემდეგ ზოგიერთმა ისლამისტმა უზარმაზარი გავლენა მოიპოვა. ძმები ახმადოვები, არბი ბარაევი და აბუ მალიქი ადამიანთა გატაცების ბიზნესით ძალიან გამდიდრდნენ.

განადგურებამ და უმუშევრობამ ჩეჩენი ახალგაზრდობა მასობრივად აქცია ისლამური იდეოლოგიის მსხვერპლად. **"ვაჰაბიტები ახალგაზრდებს ისეთ რაღაცეებს სთავაზობდნენ, რისი შეთავაზებაც მასხადოვის მთავრობას არ შეეძლო. ისინი მათ მუდმივ შემოსავალს აძლევდნენ. ეს ფული, რა თქმა უნდა, სისხლიანი იყო, მაგრამ ეს არავის ენაღვლებოდა,"** – ამბობს მოჰმად უვაისაევი.

**"ვინც ჯამაათში შევიდოდა, მას იარაღს აძლევდნენ და იგი მოჯაჰედი ხდებოდა,** - იხსენებს ყოფილი ისლამისტი ახმედ დალაევი, - **თუ შენთან ერთად სხვებსაც მიიყვანდი, მაშინ ჯიპს და მობილურ ტელეფონს გაძლევდნენ და იარაღს - ყველასთვის. შენ ამირის, ანუ მეთაურის წოდებას იღებდი. ჩვენ თვეში ასიდან სამას დოლარამდე ვაკეთებდით".**

1998 წლის გაზაფხულზე რადიკალურ დაჯგუფებებს ჩეჩნეთის მოსახლეობის უმეტესობა დაუპირისპირდა. კრიმინალიზაცია და შარიათის სასამართლოს შემოღების პერსპექტივა ყველას აწუხებდა.

ჩეჩნების უმრავლესობა სუფიტურ ისლამს ეკუთვნის და მათი რელიგიური წეს-ჩვეულებები გადახლართულია წინაპართა ტრადიციებზე და ჩეჩნურ სამართალზე - "ადათზე". წმინდანებიც კი მათ საკუთარი ჰყავთ – ე.წ. ევლიები, რომელთაც საუკუნეების წინ მთებში ისლამი გაავრცელეს.

ამიტომ, მოსახლეობის უმრავლესობას არაფრად ეპიტნავება ახალმოსულთა სარწმუნოება. ვაჰაბიტებიც, თავის მხრივ, უგულებელყოფენ ძველ ჩეჩნურ ტრადიციებს და მათ ერესად და პოლითეიზმის გამოვლინებად მიიჩნევენ. ძველები კი ახლებს შარიან ხალხად მიიჩნევენ.

**"ვაჰაბების რაზმებში თავიდან ლოთები, ნარკომანები და საეჭვო წარსულის ადამიანები შედიოდნენ,** – ამბობს ზაინდი ჰაჯი, მოლა პერვომაისკოეს რაიონიდან, - **ზოგიერთს მართლა სწამდა, რისთვისაც იბრძოდა, ბევრი კი მათ მხოლოდ ფულის გულისთვის შეუერთდა. თავიანთი მიზნების მისაღწევად ისინი არაფრის წინაშე არ ჩერდებიან. მათ რელიგია გამოიყენეს საიმისოდ, რომ ჩვენი ახალგაზრდობისათვის ტვინი აერიათ და საზოგადოებაში განხეთქილება გამოეწვიათ. ეს დიდი ბოროტებაა, რომელიც არავის ეპატიება".**

1999 წელს, ფაქტობრივად უკვე დაძლეული ვაჰაბიზმი კიდევ ერთხელ აღორძინდა. ახალი ომის დაწყებამ და რუსეთის არმიის მიერ გამოყენებულმა არაადამიანურმა მეთოდებმა ახალგაზრდობა უკან, ჯამაათებში დააბრუნა.

**"ჩვენმა ახალგაზრდებმა დაკარგეს მორალური პრინციპები,** - ამბობს გროზნოს უნივერსიტეტის პროფესორი შარანი ჯამბერკოვი, – **ომმა მათი ზნეობრივი ღირებულებების აღრევა გამოიწვია. აბსოლუტურად ყველა ჩეჩნურმა ოჯახმა ომში ერთი წევრი მაინც დაკარგა. ახალგაზრდებს სურთ მოკლულთა სისხლის აღება. სწორედ ეს უბიძგებს მათ ვაჰაბიტებისაკენ."**

# ამერიკა ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლას ზრდის

რევაზ ბახტაძე

ბუშის ადმინისტრაციამ ჩრდილოეთ კორეაზე ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის გასაზრდელად ახალი სტრატეგია შეიმუშავა, რათა ფხენიანს ბირთვულ შეიარაღებაზე უარი ათქმევინოს.

ახალი პოლიტიკა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მხრიდან ეკონომიკური სანქციების დაწესებასა და ამერიკელი სამხედროების მიერ ჩრდილო კორეის მიერ ბირთვული მასალებით ვაჭრობის აღკვეთას გულისხმობს, რაც ქვეყანას შემოსავლების გარეშე დატოვებს. ჩრდილოეთ კორეის მეზობლები ფხენიანთან ეკონომიკურ ურთიერთობებს ამცირებენ იმის მიუხედავად, რომ ამერიკას მათთვის ეს ოფიციალურად არ უთხოვია.

შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის დავა ოქტომბერში დაიწყო, როდესაც ფხენიანმა განაცხადა, რომ ბირთვული პროგრამების განახლებას აპირებს. ამ განცხადებას ვაშინგტონმა საწვავზე სანქციების დაწესებით უპასუხა.

ფხენიანი ამტკიცებს, რომ მას იონპიონის რეაქტორის ამუშავება სწორედ მზარდი ენერგეტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ესაჭიროება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა საწვავის მიწოდება შეუწყვიტეს.

მართალია, ჩრდილოეთ კორეა ბირთვული შეიარაღების გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან 1993 წელს გამოვიდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბირთვული პროგრამების შეჩერების თაობაზე აშშ-თან შეთანხმებას მოაწერა ხელი და საწვავისა და დახმარების სანაცვლოდ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებს ჩრდილოეთ კორეაში მუშაობის საშუალება მისცა.

ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირთა თქმით, იზოლაციის მუქარა საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ჩრდილოეთ კორეას ბირთვულ ამბიციებზე ხელი აალებინონ. მათივე განცხადებით, შეერთებული შტატები რეჟიმის დამხობას არ ცდილობს. უბრალოდ, თუ ფხენიანი მის მიერ არჩეულ კურსს არ შეცვლის, მაშინ მას ძალიან დიდი ეკონომიკური სიძნელეები შეექმნება და კოლაფსის წინაშე აღმოჩნდება.

ამერიკელები თავიანთ სტრატეგიას ახალი ტიპის შეკავებას უწოდებენ და აცხადებენ, რომ მზად არიან ფხენიანთან მოლაპარაკებები აწარმოონ მხოლოდ იმ პირობით, რომ თავდაპირველად კორეელები ბირთვულ პროგრამებს შეაჩერებენ.

"ეს სავსებით განსხვავებული სტრატეგიაა, რადგან ვითარება ერაყისა და ირანისაგან აბსოლუტურად განსხვავებულია", - აცხადებენ ბუშის ადმინისტრაციაში. "[ახალი სტრატეგია] ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზეწოლას გულისხმობს. ის საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას საჭიროებს".

თუმცა, ბუშის ადმინისტრაციის ახალი შეკავების პოლიტიკა ბირთვული შეიარაღების ექსპერტებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. მათი თქმით, ამერიკა და მისი მოკავშირეები იმ დონის ეკონომიკური ზეწოლის განხორციელებას ვერ შეძლებენ, რომ ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკა დააქციონ. რაც ყველაზე მთავარია, აღნიშნული სტრატეგია აქტიურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს არ ითვალისწინებს.

"ადმინისტრაციის პოლიტიკა იმაზეა გათვლილი, რომ ჩრდილოეთ კორეის მმართველი რეჟიმი მანამ დაანგრიონ, სანამ ის მნიშვნელოვანი ბირთვული არსენალის მოპოვებას შეძლებს და აღმოსავლეთ აზიაში სტაბილურობას დაემუქრება", - აღნიშნა რობერტ ეინჰორნმა, ვაშინგტონში არსებული "საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიის კვლევის" ანალიტიკოსმა, რომელიც კლინტონის ადმინისტრაციის დროს ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

"თავის მოტყუებაა ისიც, რომ ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლისა და იზოლირების პირობებში სამხრეთ კორეასთან ჩვენი სამოკავშირეო ურთიერთობები დიდი ხანი გაგრძელდება", - დასძინა ეინჰორნმა. "ჩრდილოეთ კორეასთან თანამშრომლობას თავისი უარყოფითი მხარეები აქვს, მაგრამ მასთან ღია დაპირისპირების მოსალოდნელი შედეგებიც გულდასმით უნდა აიწონოს".

ზოგიერთების შეფასებით, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ჩრდილოეთ კორეის ბირთვულმა "გამოხდომებმა" ყველაზე სერიოზული კრიზისი შექმნა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში. ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს განცხადებით, მან თავისი ორი ინსპექტორი ჩრდილოეთ კორეიდან უკვე გამოიწვია, რადგან ფხენიანი საერთაშორისო ვალდებულებებს მთლიანად არღვევს.

ამერიკის სადაზვერვო სამსახურების ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეას იმდენი პლუტონიუმი უკვე აქვს, რომ ორი ატომური ბომბი დაამზადოს.

იონპიონის კვლევით რეაქტორში არსებული გადამუშავებული ბირთვული საწვავის გამოყენებით ჩრდილოეთ კორეა ექვს თვეში დამატებით ხუთი ბომბის დამზადებას შეძლებს. მომავალში კი მისი შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიზრდება, - ამტკიცებენ ექსპერტები.

ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ ბუშის ადმინისტრაციის მუქარის (ფხენიანის ეკონომიკური იზოლაცია) გამო, ის დანებებას არ აპირებს.

ამავდროულად, სამხრეთ კორეა ელჩების გაგზავნას აპირებს ჩრდილოეთ კორეის მოკავშირეებთან რუსეთსა და ჩინეთში, რათა ისინი "უმოკლეს ვადებში" ჩაერიონ და დაძაბულობა განმუხტონ.

მიმომხილველების თქმით, ფხენიანი ცდილობს ბუშის ადმინისტრაციაზე ზეწოლა მოახდინოს, რათა ვაშინგტონმა თავდაუსხმელობის პაქტს მოაწეროს ხელი და დახმარების მოცულობა გაზარდოს. ვაშინგტონმა კი ნათლად მიანიშნა ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებას, რომ სანამ ფხენიანი პროგრამებს არ შეაჩერებს, მოლაპარაკებები არ განახლდება.



# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი;
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას;
- გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:
- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**

## ჯეოსელმა დაარსა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდი?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში კომპანია "იტერას" წარმომადგენლის თამაზ პატარიძის განცხადებით, 2002 წელი კომპანიისთვის აქტიური და მნიშვნელოვანი იყო, დამდეგ წელს კი იგი არეალის გაფართოებას და ბუნებრივი აირის მოპოვების გაზრდას გეგმავს.

პატარიძემ წლის განსაკუთრებულ მოვლენად საქართველოში "იტერას" ამერიკული დელეგაციის ვიზიტი და პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან მისი შეხვედრა დაასახელა. მისი შეფასებით, "იტერასთან" ურთიერთობაში საქართველოს ხელისუფლება სწორ პოლიტიკას ატარებს.

"იტერას" წარმომადგენელი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელებს მოუწოდებს, "იტერას" მსგავსი კომპანიები კიდევ შემოიყვანონ საქართველოში და ბიზნეს-გეგმებით დააინტერესონ. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტმა ერთხმად შეიტანა ცვლილებები "საბაჟო კოდექსსა" და "საბაჟო ტარიფის შესახებ" კანონში, რომლითაც თამბაქოს ნედლეულის იმპორტზე შეღავათი და ნავთობპროდუქტების იმპორტზე შეზღუდვები 2004 წლის 1 იანვრამდე გააგრძელა.

ნავთობპროდუქტების იმპორტზე არსებული შეზღუდვებით იმპორტიორებს შემოტანილი საქონლის დასაწყობება ეკრძალებათ. ამასთან, ისინი ვალდებულნი არიან, დეკლარაციები წინასწარ შეავსონ და თანხაც წინასწარ გადაიხადონ. თუ აღნიშნული შეზღუდვის შემოღების პერიოდში საქართველოში თვეში 25 ათასი ტონის იმპორტი ფიქსირდებოდა, დღეს ეს მაჩვენებელი 35 ათას ტონამდეა გაზრდილი.

რაც შეეხება თამბაქოს ნედლეულს, იმპორტიორები მისი შემოტანისას არ იბეგრებიან, რაც სიგარეტის ადგილობრივი წარმოების წახალისებას იწვევს. ამჟამად საქართველოში თამბაქოს 16 ფაბრიკა მუშაობს. სიგარეტის წარმოებიდან ბიუჯეტში წელიწადში 43 მლნ. ლარი შედის, აქედან ადგილობრივი წარმოებიდან - 26 მლნ. ლარი. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წლის გაზაფხულზე ბუნებრივი აირის საფასურის ასანაზღაურებლად თბილისის მერიისათვის გაცემული 7 მლნ. ლარის სესხი ცენტრალურმა ბიუჯეტმა მუნიციპალიტეტს აჩუქა.

მერიას ვალი დეკემბრის ბოლომდე უნდა დაეფარა, თუმცა უსახსრობის გამო ვალის დაფარვას ვერ ახერხებდა. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შეეძლო, მერიის ანგარიშისთვის ვალი ჩამოეჭრა.

პარლამენტმა 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა, რის შედეგადაც თბილისის მერიას ვალის გადახდა აღარ მოუწევს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში 31 მლნ. ლარის გადახარჯვა აქვს. მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს 6,8 ლარით მეტის გადახდა მოუწევს იმ კომერციული ბანკებისათვის, რომლებისგანაც მიმდინარე წლის დასაწყისში, სახაზინო ვალდებულებების სახით, მან კრედიტები აიღო. ამასთან, სამინისტრომ ადგილობრივ ბიუჯეტებს 880 ათასი ლარით მეტი ტრანსფერი გადაურიცხა.

პარლამენტმა 2002 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა და ფინანსთა სამინისტროს მიერ თანხების გადახარჯვა დააკანონა, თუმცა იმ მუხლს, რომელიც კომერციული ბანკებისათვის გასასტუმრებელი 6,8 მლნ. ლარის გადახდას ითვალისწინებს, კენჭი არ უყარა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის ცემენტის ქარხანასა და სს "ჭიათურმანგანუმს" ორშაბათიდან ელექტროენერგიის გათიშვა ემუქრება.

როგორც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ფინანსურმა დირექტორმა, ნიკა გილაურმა განაცხადა, თუ რუსთავის ცემენტის ქარხანა ორშაბათს არ დაფარავს 70 ათასამდე ლარის დავალიანებას, ქარხანაში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდება. მისი თქმით, ასევე გაითიშება "ჭიათურმანგანუმი", რომელსაც 100 ათასზე მეტი ლარის დავალიანება დაუგროვდა.

ნიკა გილაურის განცხადებით, ორშაბათიდან შედგება ურჩი გადამხდელების ახალი სიები. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თერჯოლელ ბიზნესმენებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ საზეიმო საღამო გაუმართა და ოქროს სუვენირებით დააჯილდოვა. წლის საუკეთესო მეწარმედ ღონისძიებაზე ფეროშენადნობთა ქარხნის თერჯოლის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ელგუჯა ჭედია დასახელდა.

ადგილობრივი გამგეობის მონაცემებით, "საზეიმო ღონისძიება სულ რამდენიმე ათასი ლარი დაჯდა". თერჯოლა საქართველოში, ბიუჯეტის შესრულების მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესო რაიონია, რომელმაც წლიური გეგმა ქვეყნის ხაზინას ჯერ კიდევ ოქტომბერში შეუსრულა. **"ინტერ-პრესი"**

**საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი (MBG) წლის საუკეთესო უცხოურ კომპანიად აღიარეს**

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ გამოცემათა სამსახურმა შეაჯამა წლის ტრადიციული კონკურსის "ეროვნული ეკონომიკის მეწინავენი - 2001"-ის შედეგები. ნომინაციაში წლის საუკეთესო უცხოური კომპანია პირველი პრიზი საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა დაიმსახურა.

არსებობის სამი წლის მანძილზე საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი, ემ-ბი-ჯი ქვეყნის ერთ-ერთ უმძლავრეს ბანკად ჩამოყალიბდა. ამას პირველ რიგში განაპირობებს ორიენტაცია მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე, მოსახლეობის იმ კატეგორიაზე, რომლებიც ქმნიან ეროვნული ეკონომიკის საფუძველს.

ემ-ბი-ჯის აქციათა 100%-ის მფლობელები არიან წამყვანი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები და ბანკები, კერძოდ: გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (KfW), გერმანული საერთაშორისო მიკროსაინვესტიციო კომპანია (IMI), გერმანული კომერცბანკი (Commerzbank), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ჰოლანდიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (FMO), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), რაც ბანკის სტაბილურობის უმთავრესი გარანტიაა. ამასთან, ბანკის სააქციო კაპიტალი წლის ბოლოსთვის 20 მლნ. ლარამდე გაიზარდა.

**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 22 - 28 დეკემბრის მდგომარეობით**




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UKJ | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.624 | 0.6499 | 0.0052 |
| US$ | 1.6026 | | 1.0413 | 0.0083 |
| Euro | 1.5389 | 0.9603 | | 0.008 |
| Yen | 192.19 | 119.97 | 124.84 | |

**2002 წლის 28 დეკემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1928 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3826 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5094 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1119 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.2661 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0664 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4316 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3627 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.9593 ლარი |

# მართვადი ენერგოქაოსი

*პირველი გვერდიდან*

ახალი ლიცენზიის სანაცვლოდ სემეკმა "თბილგაზს" სასწრაფოდ მოსთხოვა "მენეჯმენტში კარდინალური ცვლილებების შეტანა", რის შემდეგაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ "თბილგაზის" გენერალურ დირექტორს ვახტანგ ცაავას თანამდებობა დაატოვებინეს. კანონით, სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორს თანამდებობიდან ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ ბურკიაშვილმა კი განაცხადა, რომ **"მსგავსი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა."**

ინფორმაცია ცაავას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სახელმწიფო კანცელარიაშიც უარყვეს. მეტიც: როგორც ირკვევა, "თბილგაზის" გენერალური დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი უახლოეს მომავალშიც არ დადგება დღის წესრიგში. სამაგიეროდ, **"მენეჯმენტის შეცვლა "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს შეცვლასაც გულისხმობს,** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლეიშვილი, - **თუ "თბილგაზი" მერიას გადაეცემა, მაშინ ახალ სამეთვალყურეო საბჭოს თბილისის ქონების მართვის უწყება დანიშნავს, თუ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში დარჩება – ქონების მართვის სამინისტრო."**


*ენერგოკრიზისის მართვისას*

მაგრამ, ვინ არის "თბილგაზის" მართვაზე პასუხისმგებელი დღეს? სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ ბურკიაშვილმა იმ კანონებში ჩახედვა გვირჩია, რომლებიც ახალ-ახალი ურთიერთგამომრიცხავი ნორმატიული აქტებით, მინიმუმ, თვეში ერთხელ იცვლება. მაგალითად, პრეზიდენტის მიერ გამოცემული უკანასკნელი ბრძანებულების მიხედვით, ქალაქის გაზის მეურნეობა მუნიციპალიტეტს უნდა დაექვემდებაროს. თუმცა, მერიისათვის "თბილგაზის" გადაცემის პროცედურა ჯერ არ შემდგარა. **"დღეს "თბილგაზის" მფლობელის ვინაობა ისევ გაურკვეველია,"** – აცხადებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლეიშვილი.

სწორედ ეს გაურკვევლობაა, ალბათ, იმის მიზეზი, რომ "იტერასა" და "თბილგაზს" შორის პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმება სახელმწიფო მინისტრმა, ავთანდილ ჯორბენაძემ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დაავალა. **"ვშიშობ, თუ ეს ხელშეკრულება ახალ წლამდე არ გაფორმდა, პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით,"** – აცხადებს "იტერას" წარმომადგენელი საქართველოში თამაზ პატარიძე.

გაზქაოსს მთავრობა პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად იყენებს. "თბილგაზის" სტატუსის სწრაფად განსაზღვრის სურვილი მხოლოდ ოფიციალური განცხადებებით ამოიწურება. ამასობაში თბილისის გაზმომარაგების სისტემა კვლავ იმ მეწველ ძროხად რჩება, რომელიც "ჰაერში გაპარული გაზის" საშუალებით მრავალ სახელმწიფო მოხელეს კვებავს. გასაკვირი არ იქნება, თუ ამ ქაოსის შედეგად, მომავალი წლისთვის კონტროლის პალატას "თბილგაზი" მრავალ დამატებით თავსატეხს გაუჩენს.

ანალოგიური ვითარებაა ქვეყნის ელექტრომომარაგებაშიც. "ელექტროგადაცემა"-"დისპეტჩერიზაციის" გაერთიანება და "საქართველოს გაერთიანებულ ენერგოსისტემაში" ირლანდიური "ი-ეს-ბი-აის" შემოსვლა დეკემბრამდე იწელებოდა. ჰოდა, ირლანდიური კომპანიაც ამ ზამთარს ქვეყნის უწყვეტ ელექტრომომარაგებაზე პასუხისმგებლობას ვერ იღებს.

ბარიერები ექმნებოდა საბითუმო ბაზარსაც. მართალია, მან იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტს თავისი სატრანსფერო ანგარიშიდან ყადაღა მოახსნევინა და "ეი-ი-ეს მტკვარს" თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკისთვის ბუნებრივი გაზის შესაძენად 600 ათასი ლარი გადაურიცხა, მაგრამ ეს უწყვეტი ელექტრომომარაგების გარანტიებს მაინც არ იძლევა. ვითარებას ართულებს ისიც, რომ "დაუდგენელი პირები" პერმანენტულად ცხრილავენ 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონს", რომლის საშუალებითაც "ეი-ი-ეს თელასმა" და "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ" ელექტროენერგია რუსეთიდან უნდა შემოიტანონ.

ამასობაში ელექტროენერგეტიკაში კვლავ გრძელდება სხვადასხვა სახის ვალების დაგროვება, ამ ერთი თვის წინ მთავარ თემად ქცეული კორუფციული "ენერგოსაქმეების" გამო კი, ჯერჯერობით, არავინ დასჯილა.

ქვეყანაში, სადაც ელექტროგადამცემ ხაზებს ტყეში გავარდნილი აბრაგები აზიანებენ, ხოლო ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა მთავრობას მხოლოდ მაშინ ახსენდება, როდესაც გაყინული ხალხი ქუჩაში გამოსვლას იწყებს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგალითად, სწორედ, საახალწლოდ დაზიანდეს "კავკასიონი, ან გაირკვეს, რომ ბუნებრივი გაზი, რაც მთავრობამ ადრე იყიდა, უკვე დაიხარჯა, "იტერასთვის" გადასახდელი ფული კი, უბრალოდ, აღარ გვაქვს და "აზოტის" ჩუქებაც არ შველის საქმეს. მოულოდნელი არ იქნება, თუ მთავრობა, ტრადიციულად, მხრებს აიჩეჩავს და იტყვის: "ჩვენ შევქმენით კომისია, ვსწავლობთ ამ საკითხს"... აქედან გამომდინარე, არც ის იქნება გასაკვირი, თუ ახალი წლის დღეები გაზისა და ელექტროენერგიის პერიოდული გამორთვების თანხლებით ჩაივლის, ჩვენი პრეზიდენტის საახლობლო-სანათესაო კი გაწამებულ მოსახლეობას ნავთს, გაფუჭებულ ბენზინსა თუ თხევად გაზს ცეცხლის ფასად ნაღდ ფულზე მიჰყიდის და მათ გადასახადებსაც არავინ მოსთხოვს.

# ნავთობის უმსხვილესმა ექსპორტიორმა ვენესუელამ, საწვავის იმპორტი დაიწყო

*თორნიკე შარაშენიძე*

პოლიტიკური კრიზისი ვენესუელაში უკვე საშიშ ზღვარს მიუახლოვდა. ჩავესის ხელისუფლება, ოპოზიციის მიერ ორგანიზებული გაფიცვების გამო, საწვავის იმპორტს შეუდგა სახელმწიფოში, რომელიც მსოფლიოს სიდიდით მეხუთე ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა. იმპორტს ბრაზილიიდან ახორციელებენ. იქაურმა სახელმწიფო ნავთობკომპანიამ "პეტრობასმა" უკვე 52 ათასი ბარელი "შავი ოქრო" გაგზავნა მეზობელ ქვეყანაში.

გარდა ამისა, ჩავესი აპირებს საკვები ნავთობზე გაცვალოს დომინიკის რესპუბლიკასთან. ბრინჯით დატვირთული გემი უკვე მზადაა ოკეანეში გასასვლელად. სანაცვლოდ ვენესუელა დომინიკიდანაც საწვავს მიიღებს.

ვენესუელის ოპოზიციამ დაგმო ბრაზილიის ნაბიჯი და მას "არამეგობრული" უწოდა. ნავთობის მრეწველებმა კი განაცხადეს, რომ გაფიცვა მანამ გაგრძელდება, სანამ ხელისუფლება დათმობებზე არ წავა. ოპოზიციას შემდეგი მოთხოვნები აქვს:

**"გადადგეს უგო ჩავესი;**

**ჩავესსმა დანიშნოს რეფერენდუმი, რომელშიც გაირკვევა, სურს თუ არა მოსახლეობას მისი პოსტზე დარჩენა 2003 წელს;**

**ჩავესმა სამსახურში უნდა აღადგინოს სახელმწიფო ნავთობკომპანიიდან დათხოვნილი თანამშრომლები."**



*უდარდელი უგო ჩავესი "ბედნიერი მომავლის" იმპორტის იმედად*

ოპოზიციის თქმით, ეს არის ვენესუელას ხალხის "ბრძოლა თავისუფლებისათვის" და საერთაშორისო საზოგადოება მას გაგებით უნდა მოეკიდოს, მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვების გამო სანავთობო ბაზარზე პრობლემები იქმნება.

ჩავესი კი თანახმაა, მხოლოდ მომავალი წლის აგვისტოში დანიშნოს რეფერენდუმი – ამ დროისთვის მისი საპრეზიდენტო ვადა სანახევროდ ამოიწურება.

# საგანგებო ლეგიონს საგანგებო უფლებებს მიანიჭებენ

*ნინო ნარჩემაშვილი*

საფინანსო-ეკონომიკურ სექტორში მოქმედი უწყებებიდან, მხოლოდ საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელს მოუვიდა აზრად მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რათა უკვე გასული წლის შედეგებზე და მომავალი წლის გეგმებზე ესაუბრა. თემურ ძიძიგურის განცხადებით, 2002 წელს საგანგებო ლეგიონის სტრუქტურაში მცირე მასშტაბის რეფორმა გატარდა – გაერთიანდა სამმართველოები, შეიქმნა სპეციალურ დავალებათა განყოფილება. ლეგიონი, რეგიონალური სამსახურების ჩათვლით, 400 თანამშრომელს აერთიანებს.

2002 წელს ლეგიონერებს სახელმწიფო ბიუჯეტზე 18 მილიონი ლარი დაურიცხავთ. ხოლო მოკვლეული საქმეებიდან მათ განსაკუთრებით აღნიშნეს ფოთის საბაჟოს უფროსის, ფრიდონ რუხაიას მიერ ქვეყანაში უკანონოდ შემოტანილი 13,5 ტონა თამბაქოს ნაწარმის აღმოჩენა. საბაჟო წესების დარღვევისა და სამსახურებრივი გულგრილობისათვის, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იგივე ზომებია მიღებული "ყაზბეგიგაზის" დირექტორის, იაგო ავსაჯანიშვილის მიმართ და საწარმოდან 916 ათასი ლარია ამოღებული.

საგანგებო ლეგიონს, კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის მოპოვებისა და მოკვლევისათვის ოცდღიანი ვადა აქვს დაწესებული. საქმის შემდგომი მსვლელობა კი, სამართალდამცავ უწყებებში გაურკვეველი ვადით მიმდინარეობს. 2003 წლის მარტისათვის უშიშროების საბჭომ უნდა გადაწყვიტოს საგანგებო ლეგიონში ფინანსური პოლიციის შექმნის საკითხი. ამჟამად, ეს ფუნქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს აკისრია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის მნიშვნელოვან წყაროდ საქართველოს მთავრობას კონტრაბანდასთან ბრძოლა მიაჩნია, საგანგებო ლეგიონს მართლაც მნიშვნელოვანი მისია დაკისრებია.

# როდის და ვის წინააღმდეგ გამოიყენებენ დღეს გამოუსადეგარ კანონის მუხლს

თამარ კაციტაძე

ჩვენს დროში "კარგი ცხოვრებისგან" უკიდურესად გამწარებული თუ მავანთაგან მართული მასისთვის კანონის შეხსენება, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. "პროტესტანტებმა" უკვე კარგად იციან - ხელისუფლების ყურადღება რომ მიიქციონ და საკუთარ მიზანს მიაღწიონ, სწორედ სხვისი უფლებების შელახვაა "აუცილებელი" და არც კი ახსოვთ, რომ ქუჩის გადაკეტვით შევიწროებული მოქალაქეების უფლებებსაც კანონი იცავს.

წინა წლებში პოლიტიკური მიზნისათვის გადაკეტილი ქუჩების შემთხვევას თუ არ გავითვალისწინებთ, რასაც პოლიტპარტიების ლიდერთა დაპატიმრება მოჰყვა, ბოლო წლებში აღნიშნული დანაშაულისთვის, ფაქტობრივად, არავინ დაუსჯიათ. თუმცა, როგორც ჩანს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის სისხლის სამართლის საქმეები მაინც აღიძვრება (ალბათ, სტატისტიკისთვის).



დევნილთა აქცია თავისუფლების მოედანზე

ქუჩების გადაკეტვა, თუ, რა თქმა უნდა, ექსტრემალურ პოლიტიკურ მოთხოვნასთან არ გვაქვს საქმე, ამ ბოლო დროს ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ ნიადაგზე ხდება. ვინაიდან სახელისუფლო შტოების უდიდესი ნაწილი მთაწმინდა-კრწანისის რაიონშია თავმოყრილი, ამიტომ აღნიშნული დანაშაულიც სწორედ ამ რაიონში ჭარბობს.

ბოლო თვეებში კვირა არ გასულა, რომ თავისუფლების მოედანი პენსიონერებს, მეანაბრეებს, მრავალშვილიან დედებს, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს ან სხვა გაჭირვებულ ხალხს არ გადაეკეტა. წლის დასასრულს კი, ამგვარ აქციებს კიდევ უფრო სისტემატური სახე მიეცა.

მიმდინარე წელს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პროკურატურაში ქუჩების გადაკეტვით გამოწვეული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. უკვე რამდენიმე თვეა, გამოძიება დამნაშავეებს მრავალშვილიან დედებში და პენსიონერებში ეძებს, რომლებმაც რამდენიმე საათით მერიის წინ ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეაფერხეს.

ასობით ადამიანის დაპატიმრება რომ შეუძლებელია, რაიონის პროკურორმა თენგიზ მარჯანიშვილმაც კარგად იცის, ამიტომ აქციის ლიდერთა თუ წამქეზებელთა წრის დასადგენად რამდენიმე თვის განმავლობაში ათობით ადამიანი დაკითხეს. პროკურორი ჩვენთან საუბარში იმასაც აღნიშნავს, რომ გაჭირვებული ხალხის უკან ცნობილი პარლამენტარები და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები დგანან, მაგრამ მათი ზუსტი ვინაობის დადგენა, ჯერჯეროობით, რატომღაც, ვერ მოხერხდა.

სხვათა შორის, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული "იმელის" შენობის მიმდებარე ტერიტორიის გადაკეტვისთვისაც. მკითხველს, ალბათ, ახსოვს საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ გამართული აქცია. მარჯანიშვილი აქაც თავს იმართლებს. დეპუტატის წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრა საკმაოდ რთული პროცედურაა, ამ პიროვნებებზე პასუხისმგებლობის დაკისრება სწორედ ამიტომაც ჭიანურდება, – აგვიხსნა პროკურორმა.

ერთი სიტყვით, გზების გადაკეტვისთვის საქართველოში დღეისათვის არავინ დასჯილა. არადა, კანონით გათვალისწინებულ სამწლიან პატიმრობას რომ თავი დავანებოთ, ჯარიმა 120-დან 180 ლარია. მაგრამ, ჯერჯეროობით, კანონის ეს მუხლიც რუდიმენტად არის ქცეული. თუმცა, წარსულის გამოცდილებიდან თუ ვიმსჯელებთ, ღმერთმა უწყის ძლიერნი ამა ქვეყნისანი როდის, და ვის წინააღმდეგ გამოიყენებენ დღეს გამოუყენებელ მუხლს.

# ირაკლი ჯიბლაძის მკვლელობას უდანაშაულო ადამიანს აბრალებენ - ამბობს ადვოკატი

თამარ კაციტაძე

მიმდინარე წელს, იმ უამრავ გახმაურებულ საქმეებს შორის, რომლის გახსნაც ქართველმა სამართალდამცველებმა ვერა და ვერ მოახერხეს, უშიშროების ყოფილი მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძის სიძის - ირაკლი ჯიბლაძის საქმეც არის. თუმცა, ჯიბლაძე ქალაქში საკუთარი "მხედრიონული" წარსულით და ბოლო პერიოდში ბიზნესმენური მოღვაწეობითაც იყო ცნობილი.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში არსებულ მონაცემებს თუ დავიჯერებთ, ჯიბლაძის საქმე მკვლელობიდან რამდენიმე დღეში გაიხსნა, მკვლელის ვინაობაც დადგინდა და ძებნაში მყოფი დამნაშავის დასაკავებლად სასამართლოს შესაბამისი ბრძანებაც გაიცა.

თუმცა, მკვლელობაში ბრალდებულის ადვოკატს ხათუნა თედელაშვილს თუ დავუჯერებთ, ჯიბლაძის მკვლელობა დღემდე გაუხსნელია და გამომძიებელმა ვიღაცის გულის მოსაგებად, სრულიად უდანაშაულო ადამიანს მიაკერა დამნაშავის იარლიყი.

31 ოქტომბერს, დაახლოებით, ღამის 12 საათზე ირაკლი ჯიბლაძემ საკუთარი მანქანა ავტომობილების სადგომზე გააჩერა და სახლისაკენ ფეხით წავიდა. სავარაუდოდ, მკვლელმა მსხვერპლის მარშრუტი იცოდა და მას სიბნელეში უკან გაჰყვა.

ქავთარაძის ქუჩაზე ჯიბლაძე ავტომატური იარაღით ჩაცხრილეს და იგი ადგილზევე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ მიცვალებულს 16 ჭრილობა აღმოუჩინა, თუმცა სხეულიდან მხოლოდ ხუთი ტყვიის გულის ამოღება მოახერხა, დანარჩენი კი გამჭოლი ჭრილობები იყო.

მკვლელობის მეორე დღესვე, განზრახ მკვლელობის მუხლით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დაიკითხნენ ოჯახის წევრები და გარდაცვლილის ახლობლები. როგორც ხათუნა თედელაშვილი ირწმუნება, მარიკა ქუთათელაძემ საკუთარი მეუღლის მკვლელობაში ოჯახის მეგობარი, ნოშრევან ნამორაძე დაადანაშაულა. ნამორაძის ადვოკატის მტკიცებით, გარდაცვლილის მეუღლის ერთადერთი არგუმენტია ის, რომ თითქოს ჯიბლაძეს ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, გარდა ნამორაძისა. აქედან გამომდინარე, სწორედ ნოშრევან ნამორაძეა ჩემი მეუღლის მკვლელიო – აღნიშნულია, თურმე, ქუთათელაძის ჩვენებაში.

არადა, დამცველის მტკიცებით, ჯიბლაძეს და ნამორაძეს ბოლომდე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. როგორც ირკვევა, ქუთათელაძის სიძე სისტემატურად დადიოდა ნამორაძის ოჯახში. აქედან გამომდინარე, მარიკა ქუთათელაძის ამგვარ ჩვენებას მეგობრის ოჯახის წევრები ახსნას ვერ უძებნიან.

ცოტა ხანში გამოძიებამ მკვლელობის მოწმეც იპოვა. უფრო სწორედ, რაც ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს, პოლიციაში მოწმე თავის ფეხით მისულა და ჩვენება მიუცია. **"დეზერტირების ბაზარზე ვმუშაობ. ერთ ქალს ჩემი ვალი ჰქონდა 40 ლარი. იმ ღამეს სწორედ მევალესთან მივდიოდი, მაგრამ სახლში არ დამხვდა. უკან რომ ვბრუნდებოდი, დავინახე - სამი ბიჭი კამათობდა. ერთმა იარაღი ამოიღო და მეორეს ესროლა, რომელიც ადგილზევე დავარდა. მკვლელი და ერთი ბიჭი კი თეთრი ფერის მანქანაში ჩასხდნენ და გაიქცნენ",** - ასეთია ვაჟა-ფშაველას გამზირზე მცხოვრები, ლტოლვილი მაია ბაკარაძის ჩვენება. სხვათა შორის, იმავე ჩვენებაში მკვლელობის თვითმხილველი დამნაშავესაც აღწერს და, მიუხედავად სიბნელისა, ირწმუნება - მისი ამოცნობა შემიძლია როგორც ცხადად, ასევე ფოტოთიო. ბაკარაძისეული აღწერით, მკვლელი 30-35 წლის, საშუალო სიმაღლის არის და თხელი თმა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ირწმუნება, ბაკარაძის მიერ ჩვენებაში აღწერილი პიროვნება აბსოლუტურად არ ჰგავს 26 წლის ნოშრევან ნამორაძის აღწერილობასო, ჯიბლაძეების ოჯახიდან ამოღებულ ფოტოზე, რაც კანონის უხეში დარღვევაა, მოწმემ ნამორაძე ამოიცნო. ყოველ შემთხვევაში, ოქმში ასე ყოფილა დაფიქსირებული.

სწორედ მეუღლის ეჭვი და მოწმის ჩვენება გახდა საკმარისი იმისათვის, რომ ნოშრევან ნამორაძისთვის გამომძიებელ კორნელი პატარქალიშვილს განზრახ მკვლელობის ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა და ძებნაც გამოეცხადებინა.

ხათუნა თედელაშვილის თქმით, კანონმდებლობით, დაზარალებული მეუღლის ეჭვის დონეზე გამოთქმულ ჩვენებას, გამოძიებისთვის მტკიცებულების ძალა ვერ ექნებოდა. ადვოკატისთვის ასევე საეჭვოა მოწმის ჩვენების ჭეშმარიტებაც, რის გამოც გამომძიებლისთვის მასთან დაპირისპირებაც მოუთხოვია, მაგრამ - უშედეგოდ. თუმცა, როგორც ბრალდებულის დამცველი ირწმუნება, გამოძიების მხრიდან ამგვარი წინააღმდეგობა პირველი შემთხვევა არ ყოფილა.

**"მას შემდეგ, რაც გამომძიებელ პატარქალიშვილს ადვოკატის ორდერი წარვუდგინე და ნოშრევან ნამორაძის საქმეში ჩართვა მოვითხოვე, ხან რას იმიზეზებდა და ხან რას, რომ საქმე არ წამეკითხა და როგორმე ხელი შეეშალა. იგი 15 დღის განმავლობაში მემალებოდა და ამ ხნის განმავლობაში მასალები ვერ ვნახე. ზედა ინსტანციაში სამჯერ მოვითხოვე გამომძიებლის აცილება, მაგრამ პატარქალიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ ეს საქმე მას ჰქონდეს. სხვათა შორის, გენერალურმა პროკურატურამ საყვედურიც კი გამოუცხადა და ამის შემდეგ მომცა მასალების ნახვის საშუალება,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ხათუნა თედელაშვილმა.

უკვე რამდენიმე თვეა, ადვოკატი ამტკიცებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი არა თუ მკვლელია, არამედ ჯიბლაძის მკვლელობის დღეს იგი საქართველოში საერთოდ არ იმყოფებოდა.

ირაკლი ჯიბლაძის მკვლელობის საქმეში დევს სახელმწიფო დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საინფორმაციო ანალიზური სამმართველოს განყოფილების უფროსის ბალავაძის წერილი, სადაც ოფიციალურად დაფიქსირებულია, რომ ნოშრევან ნამორაძემ საქართველოს საზღვარი თვითმფრინავით 2002 წლის 18 აპრილს გადაკვეთა და მას შემდეგ საქართველოში აღარ დაბრუნებულა. ადვოკატის ინიციატივით დაიკითხა რამდენიმე მოწმე, რომლებიც ირწმუნებიან, რომ მკვლელობის წინა დღეებში ნამორაძე სტამბულში ნახეს.

**"აღნიშნული მტკიცებულებებით აშკარად დასტურდება, რომ ნამორაძეს მკვლელობასთან შეხება ვერ ექნებოდა. ეს დოკუმენტები ჯიბლაძის საქმეში აგვისტოშივე იყო წარდგენილი, მაგრამ გამომძიებელი საქმის შეწყვეტას აჭიანურებს. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ბევრ ეჭვს ბადებს",** - აღნიშნავს ადვოკატი და სამართლის საძებნელად ხან ქალაქის და ხანაც გენერალურ პროკურატურაში დადის.

რითი დასრულდება ნამორაძის ადვოკატის მცდელობა და ვინ აღმოჩნდება საბოლოოდ ირაკლი ჯიბლაძის მკვლელი, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ჯიბლაძეც და ნამორაძეც თავის თაობაში კარგად ცნობილი პიროვნებები არიან და მტრები არც ერთს და არც მეორეს არ მოაკლდებოდათ.

# რუსმა კანონდამცველებმა პირობა შეასრულეს

პირველი გვერდიდან

მოგვიანებით, სამართალდამცველებმა სინანულით გამოაცხადეს, რომ 9 თებერვლის ტერაქტის ბოლომდე გახსნა ესებუას მკვლელობის გამო ვერ მოხერხდა, რადგან ესებუა იყო ერთადერთი მოწმე, რომელიც დეტალურ ინფორმაციებს ფლობდა ამ ტერაქტის შესახებ.

გუშინწინ თბილისში ჩამოყვანილ სოსო თორიას და ვეფხია დურგლიშვილს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა გუშინ წაუყენეს ბრალი და მათ დაკითხვასაც შეეცადნენ. თუმცა, უშედეგოდ, ტერორიზმში ბრალდებულებმა გამოძიებას ჩვენების მიცემაზე უარი განუცხადეს - დუმილის უფლება გამოიყენეს.

სოსო თორიასა და ვეფხია დურგლიშვილის დაპატიმრების სანქციას, რომელიც 1998 წელს მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა მოაწერა ხელი, ამჯერად, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო დაადასტურებს.

9 თებერვლის ტერაქტის მოწყობისთვის გასამართლებულ 14-კაციან ჯგუფს ამჯერად კიდევ 2 დაემატა. თუმცა, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო აპარატის უფროსის აკაკი ბუდაღაშვილის ინფორმაციით, 9 თებერვლის ტერაქტში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი კვლავ ძებნილია. თუ ვინ არიან ისინი, აკაკი ბუდაღაშვილი ამ ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავს.



9 თებერვლის ტერაქტში ეჭვმიტანილები თბილისში ჩამოიყვანეს

## ინფორმაცია

### საფრანგეთში დაკავებული ტერორისტები წვრთნას პანკისის ხეობაში გადიოდნენ

ფრანგმა კანონდამცველებმა დააკავეს ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი 4 ისლამისტი.

სპეცოპერაცია, რომელიც საფრანგეთის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა ჩაატარეს, "ჩეჩნური საქმის" შემსრულებელთა დაკავებას ისახავდა მიზნად. არსებული ინფორმაციით, დაკავებულები ტერორისტული აქტების მოწყობისთვის ემზადებოდნენ.

საფრანგეთის შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთმა დაკავებულმა ისლამისტმა განაცხადა, რომ მან სამხედრო წვრთნა საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში გაიარა. ხეობაში მათ სისტემატურად ხვდებოდნენ ჩეჩენ ბოევიკთა ცნობილი ლიდერები და "ალ ქაიდას" წამყვანი წევრები.

დაკავებულები ალჟირელები არიან და ალჟირის იატაკქვეშა ტერორისტული ორგანიზაციის წევრები იყვნენ, სავარაუდოდ -"ალ ქაიდასი". გარდა პანკისის ხეობისა, მათ სპეციალური მომზადება გაიარეს, ასევე, ჩეჩნეთსა და ავღანეთში.

საფრანგეთის შშს-ს მონაცემებით, ტერორისტები საფრანგეთში რუსეთის საელჩოს აფეთქებას გეგმავდნენ. "ჩვენ შურს ვიძიებთ ხატაბის მკვლელობისთვის, მისი ძმის ალი მუტანას სიკვდილისთვის და იმ 40 ჩეჩენი ბოევიკის მკვლელობისთვის, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებამ მოსკოვის კულტურის ცენტრში გამოასალმა სიცოცხლეს," – ასეთი ჩვენება მისცეს დაპატიმრებულმა ტერორისტებმა ფრანგ კანონდამცველებს.

დაპატიმრებულთაგან ერთი – მენად ბეშალალი ცნობილი ტერორისტის, მურად ბეშალალის ძმაა. მურად ბეშალალი გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე ჰყავთ ამერიკელ სამხედროებს სხვა თალიბებთან ერთად დატყვევებული. მენად ბეშალალის დაპატიმრებას საფრანგეთის სპეცსამსახურები დიდ წარმატებად მიიჩნევენ. მათი ინფორმაციით, ტერორისტი 2-წლიან სპეციალურ სამხედრო მომზადებას ავღანეთში, "ალ ქაიდას" საწვრთნელ ბაზაზე გადიოდა, ხოლო შემდეგ 1 წელიწადი ჩეჩნეთში ემზადებოდა.

დაკავებული კიდევ ერთი ტერორისტი მერუან ბენხამედიც ავღანეთსა და ჩეჩნეთში გადიოდა სპეცწვრთნას.

საფრანგეთის შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კომენტარი გაუკეთა რუსეთის შსს-მ. **"ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საუბარია, კარგად ორგანიზებულ და, სამხედრო თვალსაზრისით, საუკეთესოდ გაწვრთნილ ბოევიკებზე, რომელთა დიდმა ნაწილმა მომზადება ავღანეთსა და საქართველოში, პანკისის ხეობაში მოწყობილ სამხედრო ბაზებზე გაიარა. მათ გეგმაშია ტერორისტული აქტების მოწყობა, როგორც ჩეჩნეთში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ რუსული წარმოშობის დაწესებულებებში, მათ შორის - საფრანგეთში,"** - აცხადებს რუსეთის შსს.

### სამართალდამცველები გროზნოს ტერაქტის დეტალებს ახმაურებენ

ჩეჩნეთის შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ახმედ დაკაევის განცხადებით, საგამოძიებო-ოპერატიული საქმიანობის საფუძველზე დადგინდა, რომ გროზნოს ტერაქტისას გამოყენებულ "კამაზის" და "უაზის" ტიპის მანქანებს მართავდა სამი ბოევიკ-კამიკაძე. "კამაზის" მარკის ავტომანქანაში იმყოფებოდა ორი ბოევიკი, რომლებსაც რუს სამხედროთა კამუფლიაჟი ეცვათ, მანქანის მძღოლს რიგითი ჯარისკაცის სამხრეები ეკეთა, მეორე ტერორისტს კი - მაიორისა. "უაზს" ლეიტენანტის სამხრეებიანი ბოევიკი მართავდა. ასეთი ჩვენება მისცეს გამოძიებას ტერაქტის დროს მთავრობის სახლთან მყოფმა ჩეჩნეთის ომონის წევრებმა," – განაცხადა დაკაევმა. მისივე ინფორმაციით, სამართალდამცველებს მოეპოვებათ სერიოზული ინფორმაციები ტერაქტის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა თაობაზე, თუმცა, მათი დაპატიმრება გარკვეული მიზეზების გამო ვერ ხერხდება. დაკაევმა ტერორისტთა ვინაობის დაკონკრეტებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

### რუსულად მოსაუბრე ტერორისტი სტოკჰოლმის ვაგზალს აფეთქებდა

11-საათიანი მოლაპარაკების შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა ტერორისტი, რომელიც სტოკჰოლმის ვაგზლის აფეთქებით იმუქრებოდა. ვაგზლის ტერიტორიაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ პუნქტში მან მძევლად აიყვანა რამდენიმე მგზავრი, რომლის გათავისუფლებაც პოლიციის სპეცჯგუფის წევრებმა მოგვიანებით შესძლეს. დაკავებულის გაჩხრეკის შემდეგ ცრუ ტერორისტს ასაფეთქებელი მოწყობილობა თან არ აღმოაჩნდა. დანაღმული არ იყო არც ვაგზლის ტერიტორია.

პოლიციის მიერ დაკავებული დაახლოებით 30 წლის ახალგაზრდა მამაკაცია, ქერა და რუსულ ენაზე მოსაუბრე. მომხდართან დაკავშირებით სხვა დეტალებს პოლიცია, ჯერჯერობით, რატომღაც არ ახმაურებს.

### ერევანში ჟურნალისტი მოკლეს

შაბათს, გვიან ღამით, ერევნის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე თავს დაესხნენ და სიცოცხლეს გამოასალმეს სომხეთის საზოგადოებრივი ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე ტიგრან ნაგდალიანი.

"გარდაცვლილს ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს თავის არეში, იგი ერევნის №3 საავადმყოფოში მიყვანისას უკვე მკვდარი იყო," – ასეთი მოკლე ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა სომხეთის შსს-მ.

ერევნელი ჟურნალისტის მკვლელობას ჯერ შეფასება არ მისცემია, სამართალდამცველებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია მკვლელის ვინაობა და მკვლელობის მიზეზი.

### აშშ-ს შტატი სასიკვდილო განაჩენებით ლიდერობს

ამერიკის საინფორმაციო ცენტრის სტატისტიკური მონაცემების შეკრების შემდეგ დადგინდა, რომ აშშ-ს ერთ-ერთ შტატში – ტეხასში 2002 წელს, სხვა შტატებთან შედარებით, ყველაზე მეტი სასიკვდილო განაჩენია გამოტანილი.

წლის მანძილზე ტეხასში სასიკვდილო განაჩენი არგუნეს 33 ადამიანს. კანონდამცველებმა გამოტანილი უმძიმესი ვერდიქტი 33-ვე შემთხვევაში აღასრულეს.

"ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ სასჯელის მძიმე ფორმას – სიკვდილით დასჯას, ყველაზე მეტად ტეხასში მიმართავენ," – განაცხადა საინფორმაციო ცენტრის უფროსმა რიჩარდ დაიესტერმა.

## მოკლედ

**თბილისი.** "პირობას გაძლევთ, რომ ჩემი პრეზიდენტობის ხანაში ვერავინ გაბედავს საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევას", - ასეთი წინასაახალწლო პირობა დადო საქართველოს პერზიდენტმა და ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ მდგომარეობას უარყოფითი შეფასება მისცა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ელენე თევდორაძეს 2002 წლის ყველაზე სამარცხვინო მოვლენად, კომპანია "აირზენას" ვიცე-პრეზიდენტის კახი ასათიანის მკვლელობა მიაჩნია. .

"სამარცხვინოა, როცა ქვეყანას ასეთ მამულიშვილს მოუკლავენ და მისი მკვლელობის გამოძიების საქმე ადგილიდან არ დაიძვრება," - განაცხადა მან. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, უელსში, ქალაქ კარდიფში ბრიტანელი ბიზნესმენის პიტერ შოუს დაკითხვით უკმაყოფილოა და აცხადებს, რომ პროკურატურის მიერ შედგენილი 80 შეკითხვიდან პიტერ შოუმ თავშეკავებული პასუხი მხოლოდ მცირე ნაწილს გასცა. რადგანაც შოუ ბრიტანეთის მოქალაქეა, ამიტომაც დაკითხვის პროცედურა მესამე პირის - ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლის თანდასწრებით განხორციელდა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 25 დეკემბერს გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში აფხაზ სეპარატისტთა მიერ განხორციელებული ეგზეკუციის დროს დაკავებულთაგან ტყვეობაში ოთხი ქართველი რჩება, მათგან ერთი დაჭრილია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა როზა ოტუნბაევამ განაცხადა, რომ იგი 28 დეკემბრამდე ყველა დაკავებულს გაათავისუფლებინებდა და გალის რაიონიდან სეპარატისტთა 150-კაციან შეიარაღებულ ქვედანაყოფსაც გაიყვანდა. თუმცა, მან პირობის შესრულება ვერ მოახერხა, გალის რაიონში კვლავ იმყოფება 150-კაციანი შეიარაღებული რაზმი და მძიმე ტექნიკა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის როზა ოტუნბაევას განცხადებით, სეპარატისტებმა გაერო-ს მისიასთან შეათანხმეს მხოლოდ ის, რომ საახალწლოდ აპირებდნენ საპასპორტო რეჟიმის შემოწმებას, რადგან ბოლო დროს, გალის რაიონში გამწვავებული ვითარების ფონზე, მათ ჰქონდათ ინფორმაცია მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** წელს თბილისში 3 ათას 804 ხანძარი მოხდა. ხანძრით მიყენებულმა ზარალმა 3 მილიონ 700 ათას ლარს მიაღწია. ხანძრის შედეგად წლეულს 48 ადამიანი დაიღუპა.

კერძო სექტორში ხანძარი 1 536 ობიექტზე მოხდა. სახელმწიფო სექტორში ხანძრისგან 2 ათას 27 უწყების შენობა დაზიანდა. 107 შემთხვევა გაზის სისტემების აფეთქებამ გამოიწვია. მეხანძრეებს 678 ცრუ გამოძახებაზეც მოუწიათ გასვლა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი 2003 წელს თავის უწყებაში რეალური რეფორმების წლად აცხადებს. მისი განცხადებით, მომავალი წელი მისთვის და მისი უწყებისთვის განსაკუთრებით დაძაბული იქნება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მომავალ წელს საპარლამენტო არჩევნები ტარდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** კობა ნარჩემაშვილს მის მიმართ წაყენებული ბრალდება, კონფლიქტის ზონებში მოპარული მანქანების გადაყვანაზე კონტროლის დაუწესებლობის შესახებ, სასაცილოდ მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, მოპარული მანქანის კონტროლი შს მინისტრის ფუნქციას არ წარმოადგენს. „ასეთი რამ არცერთ ქვეყანაში არ ხდება", - აცხადებს იგი.

„მომზადებულია სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც შსს ქვეყანაში კრიმინალური ვითარების გამოსწორებაზე მუშაობს", - განაცხადა შს მინისტრმა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი წლის ყველაზე წარმატებულ ღონისძიებად პანკისის ხეობაში ჩატარებულ ანტიკრიმინალურ და ანტიტერორისტულ ოპერაციას მიიჩნევს. თუმცა, მისი თქმით, პანკისის ხეობის კრიმინალებისგან გაწმენდის შემდეგ ცხინვალის რეგიონში კრიმინოგენული ვითარება გამწვავდა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შს მინისტრის - კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მის უწყებაში ვიცე-სპიკერ ვახტანგ რჩეულიშვილის შესაძლო ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაცია დარეგისტრირდა, შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ოპერატიულ მუშაობას ეწევა.

მინისტრის ინფორმაციით, უახლოეს ხანში შს და უშიშროების სამინისტროთა მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, გენერალური პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს. **მედია-ნიუსი.**

## მემტრედე



მტრედები ქაშვეთის ეკლესიასთან,
რომელსაც მოხუცი ინვალიდი აპურებს.
ღუღუნის ხმა.

აქვე სადღაც, საქართველოს წითელ ჯვართან და ბრიტანელ სამარიტანელებთან ერთად BBC-ის ჟურნალისტები მოძრაობენ, ქალაქს ათვალიერებენ. აუცილებლად გადააწყდებიან და ფოტოზე და ვიდეოზე აღბეჭდავენ ამ კადრს. მერე გაუკეთებენ წარწერას და დაადებენ ტექსტს. დატრიალდება მსოფლიოში და, რომის და მადრიდის მსგავსად, ჩვენც მტრედებიანი ქალაქის იმიჯი შეგვექმნება. ვინ იცის, ტურისტებიც მოგვიმრავლოს, რომლებიც აქეთობისას ჯიბეში მტრედის ჰუმანიტარულ საკენკსაც გამოიყოლებენ.

"პაპა, მტრედები შეჩვეული გყავთ?"

"ჰო, ვაჭმევ ხოლმე"

უცხოელი სამარიტელები აქვე ახლოს დადიან და ბავშვებს საჩუქრებს ურიგებენ.

*"24 საათი"*

## ინფორმაცია

### „03"-ის მომსახურება გაისად გაიაფდება

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრალური სადგურის „03"-ის დირექტორის დავით გველესიანის შეფასებით, გასულმა წელმა სამსახურისთვის ნორმალურად ჩაიარა. უკეთესი იყო დაფინანსება, რომელსაც ცენტრი დედაქალაქის ბიუჯეტიდან იღებდა. გაიზარდა საბიუჯეტო დაფინანსების მოცულობა. მერიამ „03"-ს ოთხი ახალი მანქანა - რეანიმობილი აჩუქა.

ზამთარში, განსაკუთრებით ყინვებისას, 3-4-ჯერ გაიზარდა გამოძახებათა რიცხვი, რის გამოც ზოგჯერ არ ჰყოფნით ავტომანქანები. მცირეა ცენტრის თანამშრომელთა ხელფასებიც. ექიმი თვეში, საშუალოდ, 80 ლარს იღებს, რაც მას ნორმალური არსებობის საშუალებას არ აძლევს.

დავით გველესიანის განცხადებით, ყველა პრობლემა მოგვარდება, თუ მომავალი წლის დედაქალაქის ბიუჯეტში დამტკიცდება სამსახურისთვის 3 მილიონი ლარის გამოყოფა. ამ თანხით შესაძლებელი გახდება ახალი მანქანების, კომპიუტერული ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებების შეძენა, თანამშრომელთა ხელფასების 200 ლარამდე გაზრდა, ხოლო, თუ რეაბილიტაციის პროგრამა განხორციელდება, შესაძლოა, „03"-ის მომსახურება უფასო გახდეს.

გველესიანს იმედი აქვს, რომ თუ „03" გაისად უფასო არ გახდება, მისი მომსახურება 2-3 ლარამდე მაინც შემცირდება. **მედია-ნიუსი**

### უკრაინაში ნამდვილი ერთჯერადი შპრიცი შექმნეს

ყირიმის სპეციალისტებმა შექმნეს ნამდვილი ერთჯერადი შპრიცი, რომლის განმეორებით მოხმარება, მათი მტკიცებით, შეუძლებელია.

ახალი შპრიცი განსხვავდება აქამდე არსებული ერთჯერადი შპრიცებისგან, რომელთაც ზოგიერთები მეორედ და მესამედაც იყენებენ. უკრაინელი მეცნიერების მიერ შექმნილ შპრიცში ინექციის შემდეგ ნემსი ინახება სპეციალურ ხუფებში და მეორადი ინექციისთვის უვარგისია.

ამ პროდუქციის ექსპერიმენტული წარმოება უკვე დაიწყო, მომავალი წლიდან კი დაფუძნდება მსხვილი საწარმო, რომელიც წელიწადში 100 მილიონამდე შპრიცს გამოუშვებს. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ახალ წელს ბავშვთა ან მოხუცებულთა სახლში შეხვდება. სააკაშვილი აცხადებს, რომ ახალი წლის ღამეს იქნება იქ, სადაც უნდა იყოს თბილისის მოსახლეობის მიერ არჩეული საკრებულოს თავმჯდომარე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წლეულს, 23 დეკემბრის ჩათვლით, თბილისში 3.804 ხანძარი გაჩნდა. სახანძრო სამსახურის ინფორმაციით, შარშანდელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. შარშან ამ პერიოდში 5.251 ხანძარი დაფიქსირდა. შესაბამისად, შემცირდა ხანძრით მიყენებული ზარალიც. თუ შარშან ეს მაჩვენებელი 5,4 მილიონ ლარს აჭარბებდა, წლეულს ზარალი 3,7 მილიონ ლარამდეა. ხანძრების შედეგად წლეულს 48, შარშან კი 53 ადამიანი დაიღუპა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასულ კვირას წალკის რაიონში დაფიქსირდა ბოტულიზმის შვიდი ახალი შემთხვევა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, შვიდივე ავადმყოფი ერთი ოჯახის წევრები არიან. დაავადების მიზეზი ოჯახურ პირობებში დამზადებული კონსერვი გახდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანიტარიულ კონტროლს თბილისში 8500 სამეურნეო, სავაჭრო, კომუნალური მომსახურების და სხვა ობიექტი ექვემდებარება. მათი შემოწმება ხორციელდება სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ ახალი კანონის მიხედვით, მხოლოდ სასამართლოს ნებართვის საფუძველზე. ამ ნებართვის მიღება კი სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციისთვის დიდ პრობლემად რჩება. ამიტომაც წლის განმავლობაში მოწმდება 2500-3000 ობიექტი, რომლებიც შემჩნეული არიან სანიტარიული ნორმების უხეშ დარღვევაში და რომლებზეც გაცემულია ნებართვა. დანარჩენი 6 ათასამდე ობიექტი, პრაქტიკულად, უკონტროლოდ მუშაობს. **მედია-ნიუსი**

## მერიის ნაძვის ხეს პრობლემები არ ელევა

ნანა ქადაგიშვილი

*მერიის შენობის წინ დიდი ზარზეიმით მორთული ნაძვის ხე გაქურდვას ძლივს გადაურჩა. გუშინწინ, ღამით, ბავშვებმა თანატოლების მიერ დაკიდებული სათამაშოების მოპარვა განიზრახეს, მაგრამ არ დასცალდათ - ნაძვის ხესთან მერიის დაცვის ბიჭები დახვდნენ. თუმცა, შეიძლება, თბილისის სანაქებო ნაძვის ხეს უფრო სერიოზული საფრთხეც დაემუქროს.*

ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურმა თადარიგი დაიჭირა - პატარების სურვილებით აჭრელებულ სათამაშოებიან და კახა კალაძის მაისურიან ნაძვის ხეს დაცვა დაუყენა. მერიის შენობის წინ აღმართულ, მარადიული ახალგაზრდობის ამ ხელოვნურ სიმბოლოს, თურმე, ყოველ წელიწადს განსაკუთრებულად იცავენ, რადგან ნაძვის ხის გაძარცვა წინა წლებშიც უცდიათ.

"ბავშვებისგან ეს გასაკვირი არ იყო. საახალწლო სათამაშოები ხომ ყველას არა აქვს. დაცვის თანამშრომლებმა პატარა ქურდები დროულად დააკავეს, ნაქურდალი ჩამოართვეს და მერიის შენობაში შეინახეს. გუშინ კი ეს სათამაშოები კვლავ ნაძვის ხეზე ჩამოკიდეს", - განაცხადეს ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურში. მისმა თანამშრომლებმა გაძარცვას გადარჩენილი ნაძვის ხე გუშინ კიდევ უფრო გაალამაზეს, სათამაშოები და წვიმები მიამატეს და ნათურებიც დაკიდეს.

სხვათა შორის, პატარა ქურდების თანატოლებს მათი საქციელი დიდად არ სწყენიათ. "ალბათ, იმ ბავშვებს სათამაშოები არ ჰქონდათ და ნაძვის ხეს იმიტომ ძარცვავდნენ. ეს ცუდი საქციელია, მაგრამ მათი მშობლების ბრალია. ახალ წელს ბავშვს მშობელმა გული არ უნდა დასწყვიტოს. ფილმებში გვინახავს, ამერიკაში შვილებისთვის ისეთ საჩუქრებს ყიდულობენ... ჩვენთან კი ზოგიერთ მშობელს სათამაშოებისა და წვიმების ყიდვაც არ უნდა", - ასე ახსნა ქუჩაში გამვლელი ბავშვების უმრავლესობამ ნაძვის ხის ქურდების საქციელი.



*ქვეყნის მთავარი ნაძვის ხე თავისუფლების მოედანზე*

ასე რომ, ქალაქის წინდახედული ხელმძღვანელობის წყალობით, მერიის შენობის წინა მოედანი 2003 წელს მომზადებული შეხვდება. თუმცა, ნაძვისხესთან დაყენებულ დაცვას, შეიძლება, პატარა მძარცველთა მოგერიების გარდა, უფრო სერიოზული საქმეც გაუჩნდეს.

გუშინწინ ქალაქის მერი მრავალშვილიან დედებს ფულად დახმარებას 29 დეკემბრისთვის შეპირდა. პრეზიდენტმა 100 ათასი ლარი უკვე გადარიცხა და ხვალიდან მარავალშვილიანები რაიონულ გამგეობებში 100-100 ლარს მიიღებენო, - განუცხადა მასმედიას ვანო ზოდელავამ. თუმცა, გუშინ გამგეობებში მსგავსი არაფერი მომხდარა. სადაც დავრეკეთ, ყურმილი ყველგან მორიგემ აიღო და გვითხრა, რომ კვირა დღეს მათ გამგეობის შენობაში არც ხელმძღვანელობა უნახავთ და არც მრავალშვილიანი დედები. ეს უკანასკნელნი მხოლოდ მთაწმინდა-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში გამოჩენილან, მაგრამ მათი ვიზიტის შედეგებზე მორიგემ არაფერი იცოდა. პასუხის გამცემი კი გამგეობაში სხვა არავინ იყო.

თუ ზოდელავა მრავალშვილიანებს პირობას არ შეუსრულებს, გამორიცხული არ არის, მათ მუქარის ასრულება მოინდომონ და მსუბუქ გაძარცვას გადარჩენილი ნაძვის ხე სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.

## ნაბიჯი, რომელიც ვერ გადაიდგა

მაკა ჭაიანი

*საქართველოში, სადაც ჩინოვნიკებს ძალიან უყვართ საერთაშორისო დოკუმენტებზე საკუთარი ფაქსიმილეს დატოვება, მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ზარზეიმით აღებული ვალდებულებები, როგორც წესი, ირღვევა. ჩვენი ქვეყანა მაშინ შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ "ბავშვის უფლებათა კონვენციას", როცა ამერიკის შეერთებული შტატები ამ ნაბიჯის გადადგმაზე ჯერ ისევ ღრმა ფიქრით ფიქრობდა. ამგვარი თავშეკავება იმით არ იყო გამოწვეული, რომ ამერიკაში ბავშვის უფლებები იგნორირებულია. უბრალოდ, ეს დოკუმენტი მის გამზიარებელ ქვეყნებს ბევრ ვალდებულებას აკისრებს და ამერიკელები სწორედ იმას ცდილობდნენ, როგორმე თავი არ შეერცხვინათ. ეტყობა, ჩვენ სხვა ფიქრები გვაწვალებს.*

ყოველ შემთხვევაში, ის, რაც "ბავშვის უფლებათა კონვენციის" განხორციელებისთვის აუცილებელ, "ბავშვთა დახმარების ერთიან ეროვნულ სამოქმედო გეგმას" დაემართა, სხვა არაფერზე მეტყველებს. ამ გეგმას არც იმან უშველა, რომ მისი შემუშავება ორი წლის წინათ, პრეზიდენტმა სპეციალური, №189 განკარგულებით გაამაგრა. არც იმან, რომ მის შესაქმნელად მობილიზებულ სახელმწიფო კომისიას თავად ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა სათავეში, კომისიის შემადგენლობაში კი შევიდნენ ხელისუფლების პირველი პირები - ყველა მინისტრი ან მინისტრის პირველი მოადგილე, საპატრიარქოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. მთელი წლის განმავლობაში ამ უზარმაზარმა წარმონაქმნმა სრული შემადგენლობით შეკრებაც კი ვერ მოახერხა.

ასე იყო თუ ისე, წლეულს კომისიამ ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის ძირითადი კონტურები მოხაზა და პირველ რიგში განსახორციელებელ ღონისძიებათა პაკეტიც დადო. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში აცხადებდნენ, არსებული პრიორიტეტების მიხედვით, შემუშავდა ინდიკატორებიც, რომელზეც



*უფლება დარღვეულები*

ქვეყანამ ორიენტაცია უნდა აიღოს და უახლოეს მომავალში გაუტოლდეს. საკუთრივ გეგმა ხუთი თავისგან შედგება: 1 - ბავშვის ძირითადი უფლებები, თავისუფლებები, ოჯახური გარემო და ალტერნატიული ზრუნვა; 2 - განათლება, კულტურა, დასვენება; 3 - ჯანმრთელობა, ჯანსაღი კვება და უსაფრთხო გარემო; 4 - სოციალური დაცვა და სოციალური პოლიტიკა; 5 - განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები.

გასაგებია - ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა ზემოთ მოყვანილი საკითხებისა და კატეგორიების ირგვლივ მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობს. იგი 2002-2007 წლებზეა გათვლილი, თუმცა, თითოეულ ქვეპროგრამას განხორციელების საკუთარი ფარგლები აქვს. დოკუმენტი შეიცავს მოკლევადიან და გრძელვადიან პროგრამებს. მათი ნაწილის განხორციელება მომავალი წლისთვისაც იყო ნავარაუდევი. ასეთი გახლდათ 31 პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა როგორც ბავშვთა საგანმანათლებლო და სამკურნალო-სარეაბილიტაციო დაწესებულებების ინვენტარიზაციას, ისე მოქმედი სახელმწიფო პროგრამების გაფართოებასა და თვისებრივად ახალი პროგრამების დანერგვას სახელმწიფოში.

ცხადია, ამ ჩამონათვალის ორი უკანასკნელი თავი ერთი წლის განმავლობაში ვერ განხორციელდება. აღმასრულებელთა, ფაქტობრივად, შინაურმა საუბრებმა 2003 წლის ბიუჯეტის შესაძლებლობების შესახებ სახელმწიფო კომისიის წევრები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ არსებული პროგრამების გაფართოებას თუ თვისებრივად ახალი პროგრამების დაფინანსებას სახელმწიფოს ჯიბე მომავალ წელს ვერ გასწვდება. აქედან გამომდინარე, 2003 წლის ბიუჯეტში, ბავშვთა დახმარების თვალსაზრისით, ახალი არაფერია. რა იქნება 2003 წლის ბოლოს, ცალკე საუბრის თემაა. თუ ეს ბიუჯეტიც სეკვესტრის მსხვერპლი გახდა, ბავშვებსა და მათთვის აუცილებელ გარემოებებს მხოლოდ ქაღალდზე შერჩებათ პრიორიტეტულობა.

ასე, ყოველგვარი უხერხულობისა და სინდისის ქენჯნის გარეშე, ჩვენმა ხელისუფლებამ ხელი დაიბანა საერთაშორისო ვალდებულებებისა და, რაც მთავარია, საკუთარი მომავლის წინაშე. სახელმწიფომ კიდევ ერთხელ დაარღვია პირობა და კიდევ ერთი ნაბიჯი არ გადადგა, როგორც მის სათავეებში უყვართ თქმა, გვირაბის ბოლოსკენ, საიდანაც სინათლე იჭყიტება. რით გაამართლებენ ამას - მათივე უმოქმედობით გამოცარიელებული სახელმწიფო ხაზინით თუ სხვა რაიმეთი, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ვიდრე სამშობლოსადმი, ბავშვებისადმი, მოხუცებისადმი ჩვენი სიყვარული სუფრასთან სადღეგრძელოების თქმაში დაიხარჯება, ქართველებს ვერც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი ვერ გააწითლებს.

## რა ტექნოლოგიები განვითარდება 2003 წელს

დასავლეთის პრესაში გამოქვეყნდა 10 ყველაზე პერსპექტიული და საინტერესო ტექნოლოგიის მოკლე დახასიათება.

### ქსელი სადენის გარეშე

მომავალ წელს უხაზო ქსელების პიკი იქნება. Bluetooth-ი ტექნოლოგია კიდევ უფრო განვითარდება და გაიაფდება. შედეგად, ასრულდება 50-იანი წლების მსოფლიოს ოცნება - საცხოვრებელი სახლები მთლიანად ავტომატიზებული იქნება.

### ლოკალური მომსახურება

მომავალ წელს განვითარებულ მსოფლიოში არავინ დაიკარგება. მობილური ტელეფონები და ჯიბის კომპიუტერები მფლობელს თავის ადგილმდებარეობას რამდენიმე მეტრის სიზუსტით შეატყობინებენ. უკვე არსებობს გეგმა იმის შესახებ, რომ კლიენტებს მობილური აპარატებით მიაწოდონ ინფორმაცია უახლოესი მაღაზიის, სასტუმროს, სარეკლამო ოფისისა თუ სავაჭრო ცენტრის ადგილმდებარეობის შესახებ.

### ჰოლოგრაფიკული მახსოვრობა

ჰოლოგრაფიკული მახსოვრობა სამეცნიერო ფანტასტიკას აღარ მიეკუთვნება და დიდი მოთხოვნილების საბაზრო პროდუქტია. მომავალი წლიდან IBM და ინდუსტრიის სხვა გიგანტები მომხმარებელს ჰპირდებიან ინფორმაციის შემნახველ იმაზე უფრო მცირე და კომპაქტურ ხელსაწყოს, ვიდრე ჩვეულებრივი CD-ებია.

### მზის ენერგია

მზის ენერგიის მოპოვებაში ის პრობლემაა, რომ ენერგიის მისაღებად გაწეული ხარჯი უფრო მეტია, ვიდრე თავად მიღებული ენერგიის ღირებულება. ერთ-ერთი პერსპექტიული გამოსავალი პლასტიკური ბატარეების შექმნაა. ამ მიმართულებით არაერთი კომპანია მუშაობს. მათ უკვე წარმოადგინეს პლასტიკური ბატარეების პროტოტიპები. ფიქრობენ, რომ მომავალ წელს უფრო დახვეწილი იდეები წარმოჩნდება.

### რადიაქტიური მტვერი

ამ შემთხვევაში საუბარია რადიოტალღების გადამტან მტვერზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საიდენტიფიკაციო ჩიპები გამოასხივებენ რადიოტალღებს და ინფორმაციას გასცემენ მისი გადამტანის შესახებ. მიკროჩიპი შეიძლება დამაგრდეს ნებისმიერ საგანზე.

### ტელემატიკა

მანქანები უფრო "ჭკვიანები" გახდებიან, ვიდრე მათი მწარმოებლები, რომლებსაც ვერა და ვერ შეუმუშავებიათ ერთნაირი სტანდარტი მანქანების კომპიუტერული ქსელისთვის. ჯერჯერობით, სტანდარტი ბევრია და თითოეული მათგანი ერთი მონაცემით მაინც ჯობს დანარჩენებს.

### რობოტები

რობოტების მწარმოებელი კომპანიები სულ უფრო და უფრო ცდილობენ, ორიგინალური მანქანები შექმნან. ჭკვიანი ძაღლის შემდეგ Sony-მ წარადგინა მორიგი სიახლე - ორფეხა ჰუმანოიდი, რომელსაც შეუძლია სახეების დამახსოვრება, 60000 სიტყვის დაზეპირება და მუსიკის ტაქტის აყოლა. მას კარგი ავტომობილის ფასი აქვს.

### სინათლე

მომავალი წლიდან ჩვეულებრივი ნათურები შეიცვლება მყარი სინათლოიდებით, რომლებიც ორჯერ ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ და გაცილებით მეტ შუქს გამოასხივებენ.

### თამაშები

გასართობ ინდუსტრიას რეალური საფრთხე ემუქრება იმის გამო, რომ სულ უფრო პოპულარული ხდება კომპიუტერული თამაშები, რისი გადატანა მობილურზეც შეიძლება.

გამოკითხვით დადგინდა, რომ ადამიანებს ურჩევნიათ ითამაშონ, ვიდრე ფილმს უყურონ.

### დისფლეი

მთლიანად გამოდის ხმარებიდან ელექტროსხივური მონიტორი, რომელსაც ფერადი დისფლეი ცვლის.

ტოკიოს ბაზარზე სხივურმონიტორიან ტელევიზორს ვეღარ ნახავთ.

www.24hours.ge
24
B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

რამდენიმე დღეში "24 საათის" თავფურცელზე გაზეთის დაარსებიდან პირველად შეიცვლება წელიწადის აღმნიშვნელი რიცხვი. ადამიანი ყოველთვის მისტიური რიდით ეპყრობოდა რიცხვებს და განსაკუთრებით თარიღებს. დროის ულმობელ მდინარებაში წესრიგის შეტანა, ამ ულმობელობაში ნამდვილი, მაგრამ უფრო ხშირად მოჩვენებითი ციკლურობის დანახვა ყოველთვის ნუგეშის მომტანი იყო: ერთმანეთის მსგავს მოვლენათა განმეორება სიკვდილის შიშს აჩლუნგებს. ამის გამო ნებისმიერი რელიგიის წიაღში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კალენდარს, რიცხვითი დამთხვევები კი რაღაც მინიშნების ან იდუმალი უწყების შეგრძნებას აღვიძებს.

მაგალითად, იუდაური ტრადიციის თანახმად, მამაკაცს სინაგოგაში საჯარო ქადაგების უფლება ოცდაათი წლიდან ეძლეოდა. ამიტომაც ემთხვევა ამ ასაკს იესო ქრისტეს ამქვეყნიური მსახურების დასაწყისი. "24 საათის" პრეს-ომბუდსმენის 2002 წლის უკანასკნელი პუბლიკაცია რიგით სწორედ ოცდამეათეა. ეს გარემოება განვლილის შეჯამებისა და მომავლის სულიერი სიმწიფისკენ მოგვიწოდებს...

თავიდან, როცა გაზეთში თანამშრომლობის შემოთავაზება მივიღე, მახსოვს, კარგად არ ყოფილა გააზრებული პრეს-ომბუდსმენის ფუნქცია. ეს, თავისთავად, არაფერს ნიშნავს, რადგანაც მეც და რედაქციაც ამ დანიშნულებას, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებით დატვირთვას ვანიჭებდით, შემოქმედების მიზანი და დანიშნულება კი ვერც იქნება ბოლომდე გააზრებული. აი, მაგალითად, წინამდებარე სტატია შეჯამების განწყობით დავიწყე, მაგრამ წინ კიდევ მისი ჯერ დაუწერელი ცხრა მეათედი მიძევს და არ ვიცი, საით წამიყვანს ქმნადობის პროცესში მყოფი ტექსტის შინაგანი სტრუქტურა: უბედურია ავტორი, ვინც მის ტირანიას ვერ გრძნობს! ეს ბოლო წინადადება კი შეგვიძლია მომავლის პირველ ნიშნად მივიჩნიოთ იმ აზრით, რომ პრეს-ომბუდსმენის ფუნქცია და დანიშნულება საბოლოოდ არც უახლოეს მომავალში დადგინდება, რაც იმის გარანტიაა, რომ მოულოდნელობა შესაძლებელია, ესე იგი, შემოქმედება არ ჩაქრება.

რამდენიმე დღის წინათ, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ რომელიღაც პრეზენტაციაზე რადიო "თავისუფლებაში" მომუშავე ერთმა კოლეგამ მითხრა, დიდი ინტერესით ვკითხულობ თქვენს პუბლიკაციებსო. მე კი ყოველგვარი ინტერესის გარეშე ვწერ-მეთქი, ვუპასუხე და იმწამსვე გავიფიქრე, რომ კურთხეულია ფორმის მომგონის მარჯვენა, რადგან ადამიანები მარტო შინაარსით (ესე იგი გულწრფელად!) რომ საუბრობდნენ, გაცილებით უფრო სწრაფად ამოხოცავდნენ ერთმანეთს. ჩემში ინტერესის ნელ გაქრობაზე ქვემოთ მოგახსენებთ (ყოველი ამგვარი დაპირება მხოლოდ განწირულის მცდელობაა ტექსტის დასამორჩილებლად), ახლა კი ფორმის შესახებ მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა.

თავიდან მხოლოდ ორი დირექტივა მივიღე: უნდა აღმენიშნა კვირის განმავლობაში გამოსულ პუბლიკაციათა ნაკლოვანებები და შემექმნა საკითხავად ვარგისი ტექსტი. უფრო სწორად, მეტა-ტექსტი — იტყოდა ამ საქმის რომელიმე პედანტურად გამოწრთობილი სპეციალისტი და მართალიც იქნებოდა, რადგან ჩემი პროდუქცია სხვა, ადრე გამოქვეყნებული ტექსტების საფუძველზე უნდა შექმნილიყო, ხოლო იდეის მამა, ჩვენი გაზეთის მთავარი რედაქტორი, **მამუკა ფაჩუაშვილი** მღელვარე ზღვის ნაპირზე მდგომ უსაზღვროდ სევდიან კაცს ჰგავდა, რომელმაც, როცა ეგზომი სასოწარკვეთილების მიზეზი ჰკითხეს, უპასუხა: "ლუდის ჩამომსხმელი ვარ და იმაზე ვფიქრობ, რა უაზროდ იკარგება ამდენი ქაფი".

საკვირველია, ღმერთმანი, რას არ მიაგნებინებს ადამიანს პროფესიული გამოცდილება, აი, "ჟილკას" რომ ეძახიან. ჰოდა, მეც დავიწყე დღეთა ქაფის მეთოდური შეგროვება და მისი ყოველკვირეული გაყიდვა ორშაბათის ბაზრობაზე. იმწამსვე თავი იჩინა ჩვენი სინამდვილის რამდენიმე ქრონიკულმა სენმა. თუმცა კი, სენი ერთი იყო, ოღონდ სიმპტომთა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამორჩეული: გარშემო სინამდვილისა და მის გასაცნობიერებლად მისაწვდომი სახსრების შეუსაბამობა ერთმანეთთან. ჯერ შეიძლება ის იფიქროს კაცმა, რომ სინამდვილე ჭარბობს და მის აღსაწერად და გასააზრებლად საკმარისი სიტყვები არ მოგვეპოვება. ასე რომ იყოს, რა გვიჭირს. ასეთი უბედურება ისტორიულ გზაზე უკვე გამოგვივლია. ჭეშმარიტი უბედურების ბუნებას რომ ჩავწვდეთ, 23 დეკემბერს დაბეჭდილ **თამარ სუხიშვილის** პუბლიკაციას მივმართოთ, რომელიც პროფ. **ზურაბ სარჯველაძის** მოსაგონარს წარმოადგენს. აქ მოყვანილია ციტატა ცნობილი ფილოლოგის ერთ-ერთი წინასიტყვაობიდან: "... ერთი ცნობილი გამოთქმა რომ შევაკეთოთ, ქართველთა ენაი უფსკრულ ღრმა არს". გამოთქმა ეფრემ მცირეს ეკუთვნის და მას "შეკეთება" ნამდვილად არ სჭირდება. სინამდვილეში იგი ასე ჟღერს: "ბერძენთა ენაი უფსკრულ ღრმა არს". ქართველი მოღვაწე იმას გადმოგვცემს, რომ თავისი ძალ-ღონე ქართული ენის გამდიდრებასა და მის ბერძნულ იდეალთან დაახლოებას შეალია. "შეკეთების" შედეგად კი თავდაპირველი აზრი დაიკარგა და უზომო თვითკმაყოფილებით გამსჭვალული კიდევ ერთი უსარგებლო რიტორიკული ფიგურა მივიღეთ. საზოგადოდ, ასეა "შეკეთებული" სინამდვილეზე ჩვენი წარმოდგენები და სწორედ ეს გარემოება ცხადყო 2002 წლის "ომბუდსმენურმა" ზაფხულმა.

ზაფხულის შედეგები სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ.

**1. ობიექტური გასაჭირი:** ჩვენი კულტურული სინამდვილე მართლაც მწირია. ერთხელ **მალხაზ ხარბედიამ** ამას სუფრაზე ჩადგმული ნამცეცები უწოდა. სრული სიმართლეა, თუმცა მეტაფორის არჩევაში მაინც იგრძნობა უბედურების მიზეზთა გარეთ გატანის ჩვეული ტენდენცია: ნამცეცები, უნდა ვიგულისხმოთ, ვიღაცამ ჩადგა, თორემ ჩვენ რომ ხაშლამას ვიმსახურებთ, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. მართალია, რომ ჩვენი კულტურული სინამდვილე ვერ დაიკვეხნის მსოფლიო საზომის მიხედვით პირველხარისხოვანი მოვლენებით, მაგრამ ეს როდია მთავარი უბედურება: ტრაგედიის მიზეზი ისაა, რომ ჩვენი სინამდვილე მოულოდნელობებითაა ღარიბი. მასში ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია და დუნედ მიმდინარე კულტურული პროცესის მონაწილეთა ყველა ძალისხმევაც ამ განსაზღვრულობის შენარჩუნებისკენაა მიმართული. ამ სიტუაციას შეიძლება პარადოქსული განსაზღვრება მოვუძებნოთ: გლეხურ-ადმინისტრაციული. ამბობენ, რომ 1836 წლის იანვარში, როცა ერთმა რუსმა მუჟიკმა პუშკინის სიკვდილი გაიგო, იკითხა: "კი მაგრამ ახლა ვისღა დანიშნავენ ლექსების უფროსად?". მუჟიკებს ერთნაირი წარმოდგენა აქვთ ადმინისტრაციასა და კულტურაზე: ორივეგან ყოველ დარგს ერთი უფროსი უნდა ჰყავდეს. ამიტომაც დაგვიდგა ხანა, როცა ერთი ადამიანის სიკვდილს საქართველოში დარგის გაქრობის საშიშროება მოაქვს. აბა, სხვა რომელ ქვეყანაში იმოგზაურებდა პუბლიკაციიდან პუბლიკაციაში შიშნარევი ფრაზა: "წელს პირველად ტარდება... ცოცხალი მონაწილეობის გარეშე", რომელსაც მერე მსუბუქი ამოსუნთქვა მოსდევს: მადლობა ღმერთს, ყველაფერი მაინც ჩატარდა. ჩვენ ვერ აღვზარდეთ ჩვენი მიცვალებულები, ვერ მივაჩვიეთ ისინი სახარების მიერ მათთვის განკუთვნილი მოვალეობის შესრულებას, — "აცადენ მკუდარნი დაფლვად თვისთა მკუდართა" (მათე, 8; 22), — ვერ შევიგნეთ, რომ "არა არს ღმერთი მკუდართაი, არამედ ცხოველთაი" (მათე, 22; 32).

კულტურული სინამდვილის გამდიდრებას კი საქართველოში პავაროტის ან ბენსონის ჩამოსვლა კი არ შეუწყობს ხელს, არამედ, მაგალითად, ქუთაისის უნივერსიტეტში გამოქვეყნებული მოულოდნელი სამეცნიერო სტატია, მაგრამ კულტურასა და ადმინისტრაციაზე იდენტური წარმოდგენისას ამგვარი პერსპექტივა თითქმის არ არსებობს.

**2. დისკურსული უბადრუკობა:** ეს სიძნელე, რომელსაც ზაფხულის განმავლობაში გამოსულ თითქმის ყოველ პუბლიკაციაში ვეხებოდი, უკვე კულტურული რეალობის აღსაწერ რესურსებს შეეხება. ნოემბერში "24 საათის" სადისკუსიო კლუბში მოწვეულმა ჩვენმა სახელოვანმა მომღერალმა, **ნოდარ ანდღულაძემ** თქვა, რომ კულტურა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს უნდა მსჭვალავდეს. ბუნებრივი სურვილი და მეტად საჭირბოროტო იდეაა. გამსჭვალვაზე უკაცრავად, — ნეტა შეინიშნებოდეს მაინც. ასე რომ, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ჯერ-ჯერობით მხოლოდ დისკურსების დეფიციტი და განუვითარებლობა მსჭვალავს. ეს განუვითარებლობა სხვადასხვანაირად გამოიხატება:

ა) *რელიქტური დისკურსები* — მკითხველს ეხსომება სტრიქონები, რომლებიც ჩვენი ხელოვნებათმცოდნეების დისერტაციებიდან გადმოღებულ გაყინულ მეტყველებასა და ზოგიერთი პუბლიკაციის ყალბად მაღალფარდოვან (ახალგაზრდულ ჟარგონზე კი "ზაუმნი") სტილს მივუძღვენი. ამ მოვლენის მიზეზი ყოველ დარგში ერთადერთი მიმართულების გაბატონება და კონკურენციის სრული არარსებობაა, ანუ კვლავაც ჩვენი კულტურის მუჟიკურ-ადმინისტრაციული მოწყობა. შემთხვევით კი არ ეკითხებოდა პროფესორი **ზურაბ კიკნაძე** მხატვარ **გია ბუღაძეს**, საჭიროა თუ არა ხელოვნების ნაწარმოებთა საგაზეთო განხილვისას ტერმინოლოგიური სიზუსტის შენარჩუნება: ესეც სრულიად ბუნებრივი წუხილია, რადგან აქტუალური ტერმინოლოგიის მოძველებულობის გამო აუცილებლად შეგეპარება ეჭვი მის აუცილებლობაში. რელიქტური დისკურსები პოლიტიკაშიცაა გავრცელებული: ჩვენს გარშემო ძალიან ხშირად ისმის XX საუკუნის 70-იან წლებში გამომუშავებული ბიუროკრატიული თუ პროპაგანდისტული ლექსიკა და სინტაქსი.

ბ) *მითოლოგიური დისკურსები* — ეს საკითხი იმდენად მდიდარია მეტასტაზებით, რომ, რაც არ უნდა ვთქვა, მაინც უკმარისობის გრძნობა დამრჩება. პირველისაგან განსხვავებით, მითოლოგიური დისკურსი შეიძლება იყენებდეს სრულიად ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს, — სიძველე მას ყავლგასულ ცნებით აპარატსა და ღირებულებათა სისტემაზე ეტყობა. ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც შეუქიათ გერმანელების "სტუმარ-მასპინძლობა" და დაუკვეხნიათ "გორგასლის ხმლის" ფლობით. მუჟიკურ-ადმინისტრაციული მოდელი არ უშვებს კრიტერიუმთა მრავალფეროვნებას: ჩვენშიც კარგისა და ცუდის ცნებები ტრადიციულისა და არატრადიციულის პარალელურია. ცხოვრება კი სულ სხვას მოითხოვს რეალურად. მის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, თანამედროვე ქალაქის ქუჩებში მოსეირნე რაინდები ფენტეზის ჟანრში გადაღებულ ფილმებს უნდა დავუტოვოთ, ჩვენ კი შევიგნოთ, რომ საქართველო დღეს თამარის სამეფო აღარაა. დღეს ის ქვეყანაა, სადაც საგზაო პოლიცია ორიოდ ლარის გასაკეთებლად განგებ აფუჭებს შუქნიშანს, ან ხის ტოტებში ნიღბავს მას.

გ) *თინეიჯერული დისკურსი* — ამბობენ, თუ როტვეილერის ლეკვმა ერთხელ გიკბინა, აუცილებლად უნდა დასაჯო, მაგრამ თუ ეს განმეორდა, ჯობია მოკლა. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ძაღლების შემთხვევაში, მაგრამ ადამიანებს რაც შეეხებათ, საკმაო შეშფოთებას იწვევს ახალგაზრდებში უვიცობისა და ენერგიულობის სახიფათო შეხამება. ეს არაა დროზე ადრე დაბერებული ადამიანის წუწუნი: დროზე ადრე დაბერებულნი დღეს უფრო ხშირად ცუნდრუკობენ და კულტურის სფეროში გავრცელებულ თინეიჯერულ სულისკვეთებას ეტმასნებიან. არა მგონია, რეტროგრადი ვიყო: მაგალითად, ვერ გამიგია, რატომ უნდა აღვფრთოვანდე ძველი თბილისის იტალიურ ეზოებში გამეფებული განუმეორებელი ატმოსფეროთი. მგონია, რომ ადამიანის შეყვარება მაშინაც შეიძლება, თუ ყოველ დილას საკუთარი ფანჯრიდან არ დაინახავ, ჩქარი ნაბიჯით როგორ მიძუნძულებს იგი ჩეჩმისკენ. მაგრამ რატომ უნდა მომეწონოს მოდერნის სტილის ჩამონგრეულ კედელთან აყუდებული ლაითბოქსი? ახლისა და ძველის პრობლემა მწვავედ და ნიჭიერად დასვა **ანა კორძაია-სამადაშვილმა** 11 დეკემბერს თავის სვეტში, "ბარბაროსთა მოლოდინში". რა ვქნა, არც მე მაქვს მყარი საყრდენი: "ინტელიგენციის" გადაშენება არ მადარდებს, ინგლისურად მოჭიკჭიკე და "ჰიუმან რაითს"-ით თავგამოტენილი თაობისა კი მეშინია. შეზღუდულობა ყოველთვის საძაგელია, ბებრული იქნება თუ ახალგაზრდული. ეს უკანასკნელი კიდევ ინტერნეტსაიტებიდან ამოფხეკილი ლათინური შრიფტით შეესია ჩვენი გაზეთის ფურცლებს. რას გვაძლევს "მოდერნიზაციის" ასეთი გზა? — არაფერს. "განა შენ არ ყოფილხარ ოცდასამი წლის?" — მკითხეს ერთხელ. დიახ, ვყოფილვარ, მაგრამ ქედმაღლური დუმილით არასოდეს ამივლია გვერდი ადამიანებისათვის, რომელთაგან რაიმეს სწავლა შემეძლო. რელიქტურ დისკურსს რომ შევუერთდეთ და კომპარტიის ყრილობებზე მიღებული ჟარგონი რომ გავიხსენოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მუჟიკურ-ადმინისტრაციულ ტრადიციას, თუმც კი ლპობადია, ჯერ კიდევ საკმაო რესურსები აქვს თავის შესანარჩუნებლად. უფრო მეტიც, რეგენერაციისათვისაც და შეიძლება სულ მალე ვიხილოთ მამების კვალზე დამდგარ ახალგაზრდათა გუნდები.

დიახ, როგორც ვხედავთ, სინამდვილე არც თავის თავში შეიცავს რაიმე მიმზიდველს და არც მის შესამკობად გააჩნია რაიმე ღირებული. ყოველივე ამას კი ჩვენს მიერ აღწერილი სნეულების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სიმპტომი უკავშირდება.

**3. არაპროფესიონალი რეგულატორი:** გასულ ორშაბათს უკვე მოვიხსენიე თავისუფლების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პრესის კანონის პროექტი. "რეგულატორის", ანუ სამაუწყებლო მედიის მოქმედი ელემენტის პროფესიონალიზმი სწორედ ამ პროექტით მოითხოვება. ოქტომბრის თვეში "24 საათის" სადისკუსიო კლუბში სამოქალაქო საზოგადოების მესვეურები მოვიწვიე. მახსოვს, **ზურაბ ჭიაბერაშვილმა** თქვა, რომ კულტურაზე არ უნდა წერდეს ადამიანი, რომელიც საყმაწვილო ასაკს არ გასცილებია. არაპროფესიონალიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების სწორედ ამ დარგშია ყველაზე თვალშისაცემი. 2002 წელს გაზეთმა დაკარგა **დათო ბუხრიკიძე**. მე არ შევუდგები ამ მოვლენის უფრო დაწვრილებით განხილვას (არც ვიცი და არც იმდენი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რატომ და როგორ მოხდა ეს), მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ამგვარი ადამიანის შენარჩუნება თბილისის ქუჩებში ლამაზი გოგოების მოძიებაზე გაცილებით უფრო მეტ ძალისხმევას იმსახურებს. "24 საათში" გამოქვეყნებული მასალების მიხედვით კულტურის დარგში პროფესიონალიზმისა და ნიჭიერების ნომინაციაში პირველობას **გოგი გვახარიას** მივანიჭებდი. ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც ჩვენი გაზეთი სათანადო ყურადღებას დაუთმობს ყველასათვის საყვარელ ამ ავტორს.

პროფესიონალიზმის განვითარების მხრივ კვლავაც კულტურის ბლოკს ვანიჭებს უპირველეს მნიშვნელობას. არა მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკას, ეკონომიკასა და სამართალს "24 საათი" საკმაო სიზუსტითა და სისრულით აშუქებს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი სადისკუსიო კლუბის დეკემბრის სტუმრებს ვეთანხმები: მათგან, მგონი, **ელენე ნოდიამ** თქვა, რომ საქართველოს კულტურული ცხოვრება გაზეთის უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს, რადგან პოლიტიკური სფეროს პირველობა უბრალოდ ჩვენი სინამდვილის ანომალურობის მაჩვენებელია. საქართველოში არიან ადამიანები, რომლებსაც წერა და ლაპარაკი ეხერხებათ და რომელთა ნააზრევი საჯარო გაჟღერებას იმსახურებს. იმედია, მომავალში მათ უფრო ხშირად შევხვდებით B-ბლოკის ფურცლებზე. ხარისხიან ავტორთა ძიება საგაზეთო მარკეტინგის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი უნდა გახდეს.

ესეც ასე, არა მგონია, რომ სრულად გადმოვეცი ზაფხულის შედეგები, მაგრამ პროცესი მხოლოდ დაიწყო, და როგორც თორნტონ უაილდერმა ათქმევინა იულიუს კეისარს, მარტის იდები დადგა, მაგრამ არ გასულა. მე კი სექტემბრიდან A-ბლოკიც ჩამაბარეს...

აქ სულ სხვანაირად წავიდა საქმე. ომბუდსმენი, განსაზღვრის თანახმად, მკითხველის ინტერესებს უნდა იცავდეს. ადრე ამის გადაწყვეტა უფრო ადვილი იყო: თითქმის რედაქტორული სამუშაო კმაროდა, რომელსაც აქა-იქ რაღაც მხატვრულ ფორმას შემოახვევდი, ოდნავ ლირიკას დაამატებდი, ცოტა იუმორს მოაყრიდი და თავიც ქუდში გქონდა. ახლა კი ჩემს წინაშე უფრო სერიოზული პრობლემა დადგა.

ამ ორიოდე კვირის წინ, ჩემს გასულ პუბლიკაციაში აღწერილ სემინარზე ჟურნალისტმა, **მათე კირვალიძემ** მკითხა, რა კრიტერიუმების თანახმად ვახდენდი განსახილველი მასალების შეფასებას. სრულიად გულწრფელად ვუპასუხე, რომ ერთადერთი კრიტერიუმი ჩემი პირადი გამოცდილება იყო. კულტურის სფეროში თუ უფრო იმედიანად ვგრძნობდი თავს, პოლიტიკასთან, ეკონომიკასთან და სამართალთან შეხვედრა ცხოვრებაში პირველად მიწევდა. მეორე სიძნელე კი ის იყო, რომ A-ბლოკს გამოცდილ რეპორტიორთა და გონიერ მიმომხილველთა საკმაო რაოდენობა ემსახურება. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მხრიდან და მკითხველის პოზიციიდან მათი კრიტიკა ყოველთვის შეუძლებელია, მაგრამ კვირაში ერთ გვერდს ნამდვილად ვერ გავავსებდი. მიმომხილველთა დუბლირებას კი მიზანშეწონილად ვერ მივიჩნევდი.

ამიტომაც სხვა მიდგომა ავირჩიე: სინამდვილე ტექსტის სახით შემოდის ჩვენს ცნობიერებაში, და თუ ადრე ტექსტებში არსებულ მანკიერებას ვარიდებდი მკითხველს, ახლა ტექსტებში დაფარულ მეორე საზრისის გახსნას ვცდილობ. ორივე შემთხვევაში იმას ვესწრაფვი, რომ მკითხველი მოტყუებული არ დარჩეს, მაგრამ თუ ადრე ჩემი უმთავრესი მოვალეობა სიტყვათა ქაფის მოხდა იყო, ახლა უკვე დღეთა ქაფის მოხდით ვარ დაკავებული.

ახლა კი მივუახლოვდით დასაწყისში მოყვანილ ჩემს პასუხს ერთი კოლეგის შეკითხვაზე. უნდა შევასრულო დაპირება და ავხსნა, თუ რატომ ვწერ სტატიებს ყოველგვარი ინტერესის გარეშე.

პასუხი მარტივია: ადამიანური სახე რომ არ დაკარგო, ქართულ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენები იმწამსვე უნდა დაივიწყო. სულაც არ ვამტკიცებ, რომ ვინც პოლიტიკაში ერკვევა, ის იმთავითვე ურჩხულია. არც იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს სახელმწიფოში განვითარებული რეალობა პირწმინდად მოკლებულია კეთილ ნებასა და მართალ გულს. ჩემი მარტივი პასუხის მიღმა მრავალსაფეხურიანი მსჯელობა იმალება.

იმას, რაც ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას შეიძლება გამოსწურო ტექსტის სახით, მხოლოდ უაზრო უსასრულობად თუ განსაზღვრავ. ეს ტერმინი (дурная бесконечность) ხშირად გამოიყენება XX საუკუნის რუს ღვთისმეტყველთა შრომებში ბუდისტურ რელიგიაში მიღებულ რეინკარნაციათა გაუთავებელი ჯაჭვის დასახასიათებლად. ერთი გარდასახვა მეორეს მოსდევს, მაგრამ ამას არავითარი ბოლო არ უჩანს და ნირვანაში მხოლოდ ერთეულები ხვდებიან.

ნებისმიერი პოლიტიკოსის ან სახელმწიფო ფუნქციონერის გამონათქვამის, პოლიტიკურ სფეროში მომხდარი ყოველი სულ მცირე მოვლენის კომენტირებისას არ მტოვებდა მსგავსი უაზრო უსასრულობის შეგრძნება. ამიტომაც ქართული სახელმწიფოს ყოველი ახალი ნაბიჯი, პოლიტიკურ ძალთა ყოველი გაფაჩუნება ჩემთვის რომელიღაც უცნობი სულის მხოლოდ მორიგი ინკარნაციაა, რომელიც არანაირად არ გვაახლოვებს სანუკვარ...

კინაღამ დავწერე მიზანთანმეთქი. აი, ასე მიმიყვანა ტექსტის დამოუკიდებელმა სტრუქტურამ მთავარ სათქმელთან: მიზანი კი სადაა? — ნატო-ში შესვლა? ნავთობსადენის აშენება? აფხაზეთის დაბრუნება? კიდევ რამდენი რა შეგვიძლია მივუმატოთ ამ მიზანს თუ მიზნებს? არც ყოველი მათგანი სათითაოდ, არც მათი არითმეტიკული ჯამი არ გვაძლევს ღირსეულ მიზანს, რომელიც ეკადრება ადამიანთა ერთობლიობას, რომელიც საკუთარ თავს ერს უწოდებს. ამ მიზნის შეგნებაც არ მიიღწევა უაზრო უსასრულობის რაც გინდა კარგი გაშუქებითა და განხილვით. მიზანი შეიძლება გამოჩნდეს რეალობის მხოლოდ იმ ნაწილის გააზრებით, რომელიც მოვლენათა ყოველდღიური ფენის მიღმა, სიღრმეში მდებარეობს. ამიტომაა, რომ დღესაც ვამტკიცებ: **ჭეშმარიტ და ღირსეულ სამსახურს ყოველდღიური გაზეთი ქართველ ერს მხოლოდ იმით გაუწევს, თუ თავის პირდაპირ დანიშნულებასთან ერთად რეალური ქართული კულტურის, ჩვენი ჭეშმარიტი მენტალობის წარმოსაჩენ მიკროსკოპად გადაიქცევა**.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ჩვენი მოკრძალებული წვლილის შეტანას ჩვენი საერთო და ღირსეული მიზნის გარკვევაში. თვით ეს გარკვევა ხანგრძლივი პროცესია. ყველას გისურვებთ, ახალი 2003 წელი პირველი ნაბიჯი ყოფილიყოს ამ გზაზე.



სინემა

## კინოთეატრები "რუსთაველი" და "ელისო"

## „ლილო და სტიჩი„

აშშ. 2002 წელი



პროდიუსერი: **კლარკ სპენსერი**
სცენარის ავტორი და რეჟისორი: **კრის სანდერსი და დინ დაბლოი**

როგორც იქნა ასრულდა "უოლტ დისნეი ფიქჩერზის" დამაარსებლის, უოლტ დისნეის ოცნება. კომპანია ყოველწლიურად რამდენიმე სრულმეტრაჟიან ანიმაციურ ფილმს იღებს და თანაც ეს ფილმები მაყურებელში დიდი წარმატებითაც სარგებლობს. "ლილო და სტიჩი" ამ კომპანიის მორიგი ნაწარმოებია.

უკვე მთელი მსოფლიოს ბავშვებმა შეიყვარეს პატრა, მახინჯი და ამავე დროს, ძალიან სიმპათიური უცხოპლანეტელი – სტიჩი, რომელიც ერთმა გენიოსმა მეცნიერმა კოსმოსურ ლაბორატორიაში შექმნა, როგორც ყველაზე მძვინვარე და დამანგრეველი არსება. პარადოქსია, მაგრამ სტიჩს დანგრევასა და მოსპობაზე უფრო მეგობრობა და სიყვარული უნდა. ამიტომაც სულ არ არის გასაკვირი, დედამიწაზე მოხვედრის შემდეგ ერთ პატარა გოგოს – ლილოს რომ დაუახლოვდება. რასაკვირველია, ფილმის მსვლელობისას მათ მრავალი თავგადასავალი გადახდებათ, მაგრამ როგორც ჰოლივუდშია მიღებული, საბოლოოდ, ყველაფერი კარგად მთავრდება.

ეს ფილმი თავისის შინაარსით ძალიან გვაგონებს ორ გახმაურებულ ფილმს – სტივენ სპილბერგის "უცხოპლანეტელს" და ბოლო წლების უპირობო ჰიტს – "ადამიანები შავებში". შეიძლება ითქვას, რომ "ლილო და სტიჩში" ზემოთ ნახსენები ორი ფილმის სინთეზირება მოხდა და საკმაოდ წარმატებულადაც.

კიდევ ერთი ფაქტია საყურადღებო. ამ ანიმაციურ ფილმში, ბოლო წლების სხვადასხვა კინოპროდუქციისგან განსხვავებით, საერთოდ არ გვხვდება სასტიკი და სისხლიანი სცენები. სურათში თავიდან ბოლომდე დადებითი ატმოსფეროა შენარჩუნებული. თვით ყველაზე ბოროტი და ავი უცხოპლანეტელებიც კი, საბოლოოდ კეთილი გულის მქონენი აღმოჩნდებიან. როგორც ჩანს, ამერიკელი მაყურებელიც დაიღალა კინოეკრანებზე გაჩაღებული ბათქაბუთქით და გაუთავებელი სისხლისღვრით.

ფილმი ქართულადაა თარგმნილი, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით, იმდენად უხარისხოდ, რომ ხმის განთქმული სისტემის "დოლბი საუნდისთვის" დამახასიათებელი სპეცეფექტები მთლიანად იკარგება. თუკი საქართველოში ფილმების წესიერად გახმოვანების საშუალება არ არის, იქნებ სჯობდეს, საზღვარგარეთ განხორციელდეს ეს პროცესი?! ან სულაც მაყურებელს მაღალი ხარისხის რუსული თარგმანი მივაწოდოთ!

*არჩილ მელიქიშვილი*

## "მაკნატუნა" თბილისელი მაყურებლისთვის

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საშობაო სპექტაკლის, ჩაიკოვსკის ბალეტ "მაკნატუნას" წარმოდგენა გრძელდება. მაყურებელი "მაკნატუნას" 3, 5 და 6 იანვარსაც ნახავს.

პეტრე ჩაიკოვსკის "მაკნატუნა" თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე 1999 წლის ზაფხულში ცნობილმა რუსმა ქორეოგრაფმა იური გრიგაროვიჩმა დადგა. ქორეოგრაფმა ბალეტში გამოჩენილი სცენოგრაფის სოლიკო ვირსალაძის მიერ სპეციალურად "მაკანატუნასათვის" შექმნილი კოსტიუმები და დეკორაცია გამოიყენა. პრემიერაზე მთავარი პარტიები მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტებმა ნატალია არხიპოვამ და ნიკა ცისკარიძემ შეასრულეს. ამჟამად ოპერაში დაგეგმილ სპექტაკლებში მთავარ პარტიებს ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ასრულებენ. 6 იანვრის სპექტაკლზე კი თეატრში თურქეთში მოღვაწე ირაკლი ბახტაძეს ელიან. **(კავკას-პრესი)**

კალენდარი

## 30 დეკემბერი



"კიპლინგის შმაგი ინტერესი ადამიანების, მათი საქმიანობის, ენისა და საქმის მიმართ ყველა მისი ნაწარმოების ხიბლის საიდუმლოა", - ამბობს ინგლისელი მწერალი და კრიტიკოსი ენგუს უილსონი. ელიოტის აზრით, კიპლინგი ყველაზე პოპულარული და გასართობი მწერალია, რადგანაც მისი ნაწარმოებები მკითხველისთვის სწორედ ასეთია.

ჯოზეფ რედიარდ კიპლინგი, ინგლისელი პოეტი, პროზაიკოსი და ნოველისტი ბომბეიში, ბომბეის ხელოვნების სკოლის პროფესორის ჯონ ლოკვუდ კიპლინგის ოჯახში დაიბადა. 6 წლის რედიარდი, ინგლისური ოჯახების ტრადიციების შესაბამისად, უმცროს დასთან ერთად სასწავლებლად ინგლისში გააგზავნეს. ცხოვრობდნენ კერძო პანსიონატში, არდადეგებზე კი დედის ნათესავებთან, პრერაფაელიტული სკოლის მხატვრის ედუარდ ბერნ-ჯონსის ოჯახში დადიოდნენ.

პანსიონატის მკაცრი დიასახლისის გამო გადატანილი ბავშვის განცდები მწერალმა ნოველებში ("შავი ცხვარი", "სინათლე ჩაქრა") და ავტობიოგრაფიაში გადაიტანა. 1878 წელს კიპლინგი დევონის სასწავლებელში აგრძელებს სწავლას და ემზადება პრესტიჟულ სამხედრო აკადემიაში ჩასაბარებლად. რამდენადაც სასწავლებელი არ იძლეოდა დიპლომებს ოქსფორდის ან კემბრიჯის უნივერსიტეტებში ჩასაბარებლად, ხოლო სამხედრო კარიერა დიდად არ ახარებდა, ამით იქვე კიპლინგის განათლება ამოიწურა. როდესაც მამა რედიარდის ნაწერებს გაეცნო, გადაწყვიტა სამსახური ეშოვა შვილისთვის ინგლისურენოვან "სამოქალაქო და სამხედრო გაზეთში", რომელიც ქალაქ ლაჰორში გამოდიოდა. ასე რომ, თერთმეტი წლის შემდეგ კიპლინგი კვლავ ინდოეთში ჩადის. მუშაობაში დიდად ეხმარება ენა, რომელიც ინგლისში ყოფნისას არ დავიწყნია და ასევე იმ ინგლისურ-ინდურ საზოგადოებასთან კონტაქტები, რომელიც მკითხველისთვის კიპლინგის ლიტერატურული მემკვიდრეობიდანაა ცნობილი. გაზეთისთვის იგი რეგულარულად წერდა მოთხრობებსა და ლექსებს. კიპლინგის ლექსების პირველ კრებულს "დეპარტამენტის სიმღერები", 1886 წელს ისეთი წარმატება ხვდა წილად, რომ იმავე წელს ხელმეორედ გამოსცეს. ორი წლის შემდეგ გამოვიდა მისი ნოველების კრებულიც. 1887-1889 წლებში კიპლინგმა სერიისთვის "ინდოეთის სარკინიგზო ბიბლიოთეკა" ექვსი კრებული დაწერა, რაც ძირითადად მოგზაურთათვის იყო გათვალისწინებული. სწორედ ამ ნამუშევრებმა მოუტანეს აღიარება როგორც ინდოეთში, ისე მთელს ბრიტანულ იმპერიაში. საუკეთესო ნაწარმოებად კიპლინგის რომანს "კიმს" მიიჩნევენ. ინდოელი კრიტიკოსი ნირადუ კ. ჩაუდხურის აზრით, "კიმის" ავტორმა შექმნა არა მხოლოდ საუკეთესო რომანი ინდოეთის შესახებ ინგლისურ ენაზე, არამედ ზოგადად ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისური რომანი".

1889 წლის ოქტომბერში მწერალი იაპონიისა და ჩრდილო ამერიკის გავლით ლონდონში დაბრუნდა. ამ დროისათვის მან მოასწრო ყოფილიყო პოპულარული - ინგლისში იგი დიკენსის შთამომავლადაც შერაცხეს. ხოლო ინგლისში გამოცემული "ინდოეთის სარკინიგზო ბიბლიოთეკა" კრიტიკოსებმა აღფრთოვანებით მიიღეს. 1936 წელს კიპლინგს ნობელის პრემიაც მიანიჭეს.

დიდი ინგლისელი ლიტერატორი **რედიარდ კიპლინგი** ბომბეიში 1865 წლის **30 დეკემბერს** დაიბადა.

# ახალი წელი ევროპულად

"რუსთავი 2"-ის ახალი გრანდიოზული ტრადიცია

ვერა ნეფარიძე

უამრავი ვარსკვლავი, ბევრი სიურპრიზი, გრანდიოზული, ლამაზი სანახაობა და ახალი ტრადიცია – შევხვდეთ ახალ წელს ქუჩაში. ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ყველაზე მასობრივი საახალწლო პროექტი 31 დეკემბერს რესპუბლიკის მოედანზე 2003 წლის დადგომამდე ნახევარი საათით ადრე დაიწყება.

კონცერტი, რომელშიც ყველა ერთადაა - ალბათ ასეთი იყო ორგანიზატორთა იდეა, როდესაც პროექტში მონაწილეობა შესთავაზეს ყველას: პოლიტიკის, სპორტისა და შოუ-ბიზნესის სფეროდან. ყველა მათგანი დღემდე ინარჩუნებს ერთსულოვნებას, არ გათქვას არც-ერთი საიდუმლო, რომელიც კონცერტზე მიმსვლელთათვის სასიამოვნო მოულოდნელობადაა გათვალისწინებული.

ღამის თორმეტის ნახევარზე კონცერტს ფონოგრამა გახსნის. ახალი წლის დადგომისთანავე ფოიერვერკებითა და ნიკა მემანიშვილის მუსიკით (რომლის თემადაც კომპოზიტორმა იაკობ ბობოხიძის სიმღერა "გამოდით, გამოდით" შეარჩია) სანახაობა ახალ ფაზაში შევა და სწორედ ამ დროიდან დაიწყება ალბათ მისი ძირითადი ნაწილიც (კონცერტის ხანგრძლივობა სავარაუდოდ, ორი საათი იქნება). თუმცა, წინასაახალწლო განწყობა რესპუბლიკის მოედანზე ახალი წლის დადგომამდე, პირველივე მუსიკალური ნომრიდანვე შეიქმნება. ამაზე კონცერტის წამყვანები, მსახიობები ეკა ჩხეიძე და დუტა სხირტლაძე იზრუნებენ. თუ როგორ გაახალისებენ ისინი სტუმრებს, ეს საორგანიზაციო საიდუმლოებაა.

კონცერტს რამდენიმე ორგანიზატორი ჰყავს. სხვაგვარად წარმოუდგენელია გრანდიოზული საახალწლო სანახაობის ორგანიზება. მხატვრული მხარე, რეჟისურა და გაფორმება დათო დოიაშვილსა და თამრიკო ფოცხიშვილს მიანდეს; მუსიკალური კი ნიკა მემანიშვილსა და მანანა მორჩილაძეს. საბოლოოდ თუ როგორი გამოვა მათი ერთობლივი ნამუშევარი, მხოლოდ 31 დეკემბრიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მანამდე კი პროექტის რამდენიმე დეტალს გაგაცნობთ.



*წინასაახალწლო მზადება რესპუბლიკის მოედანზე*

გოგიტა ბახაიძის ფოტო

პირველ რიგში, აღსანიშნავია შემსრულებელთა მრავალფეროვნება. მათი მონაწილეობა ყველა გემოვნების მსმენელის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ალბათ აუცილებელი იყო. გამომსველთა შორის იქნებიან როგორც თანამედროვე ესტრადის, ე.წ. "პოპსას", ფონოგრამული შესრულებით ცნობილი მომღერლები, ისე ცოცხალი მუსიკის ულალატო გმირები. მათთან ერთად კი ნანი ბრეგვაძის გამოჩენა უდაოდ, კონცერტის გარკვეულ ღირსებაზე მეტყველებს. მითუმეტეს, რომ ქ-6 ნანის საკონცერტო ნომერს ორგანიზატორები სიურპრიზად ინახავენ. ჩვენის მხრივ, მხოლოდ იმას გავამხელთ, რომ იგი სცენაზე მარტო არ იქნება და შეასრულებს ნიკა მემანიშვილის ახალ ნომერს, რომელიც საგანგებოდ ხვალინდელი კონცერტისთვის შეიქმნა.

კონცერტისთვის საგანგებო ჰიმნი პოპულარულმა კომპოზიტორმა რუსუდან მორჩილაძემ დაწერა, მისი სიტყვები კი ირინე სანიკიძეს ეკუთვნის. ჰიმნს მოწვეულ მუსიკოს-შემსრულებლებთან და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად პოლიტიკოსები და სპორტსმენებიც ასრულებენ. 31-ში საკუთარ ვოკალურ შესაძლებლობებს წარმოადგენენ: ელდარ კურტანიძე, გიორგი თარგამაძე, მაია ნადირაძე, ბასა ფოცხიშვილი, ლეილა მესხი, ნინო სალუქვაძე, გიორგი ასანიძე, მერაბ ნინიძე და კიდევ ბევრი სხვა, საზოგადებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანი. ცალკეული საკონცერტო გამოსვლებით კონცერტზე მიწვეულები არიან: ირაკლი ჩარკვიანი, "ინსაითი", "ქუჩის ბიჭები", ლელა წურწუმია, ნანი ბრეგვაძე, თბილისის ბიგ-ბენდი, მერაბ სეფაშვილი და ა.შ. – თითქმის ყველა, ვისაც თბილისში უსმენენ. თითქმის ყველა მათგანს მსმენელისთვის ორიგინალური სიურპრიზი აქვს მომზადებული, რომლის გამხელაზეც კონცერტამდე თავს იკავებენ. ჩვენც აღარ ჩავეძიეთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვერ გადავათქმევინებდით და მეორეც – ნამდვილად არ გვინდოდა მათი სიურპრიზებისთვის ხიბლი დაგვეკარგა. დანარჩენში ხვალ თავად დარწმუნდებით. როგორც ორგანიზატორები გვპირდებიან, არ ღირს სიცივის შიშის გამო სახლში დარჩენა – სტუმრების გასათბობად ორგანიზატორებმა რამდენიმეგვარი საშუალება გაითვალისწინეს.

# ჩარლზ დიკენსის „კინო-ევოლუცია"

როდესაც გთხოვენ, გაიხსენო რა აკავშირებს ჩარლზ დიკენსსა და თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნებას, ბუნებრივია, "საშობაო ზღაპარი" გაგახსენდება – ნაწარმოები, რომელიც საახალწლო დღესასწაულების განუყოფელი, ტრადიციული ნაწილი გახდა. ის მოსკოვის, მინეაპოლისის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს და კიდევ მრავალი სხვა ქალაქის სცენაზე დღემდე წარმატებით იდგმება.

თუმცა, დიკენსისა და თანამედროვე ხელოვნების კავშირი ამით არ ამოიწურება. ახლახან, მისი კიდევ ერთი რომანი ამჯერად უკვე დიდ ეკრანზე გააცოცხლეს. "ნიკოლას ნიკლბის" პრემიერა ამერიკაში პარასკევს გაიმართა და, ამგავარად, დიკენსის კინოეკრანიზაციების რიცხვიც 167-მდე გაიზარდა.

ანუ, როგორც ირკვევა, დიკენსს ჩვენს თანამედროვეობასთან "საშობაო ზღაპრის" გარდა კიდევ უამრავი პროექტი აკავშირებს. მეტიც მას ჰოლივუდში პოპულარობით მხოლოდ შექსპირი უსწრებს (თუ ინტერნეტის კინო-ბაზაში აღირიცხება დიკენსის მიხედვით შექმნილი 167 ფილმი, იქვეა ის 494 კინოპროექტიც, რომლებიც შექსპირზე დაყრდნობით გახლავთ გადაღებული). როგორც ხედავთ, როდესაც საქმე ჰოლივუდელი რეჟისორების გემოვნებაზე მიდგება, ეს ორი ავტორი კონკურს გარეშეა.

არადა, საინტერესოა, რა იტაცებთ ამერიკელებს დიკენსის ვრცელ, ხშირად 800-900 გვერდზე გადაჭიმულ რომანებში; ან გადაღებების დაძაბული განრიგებისა და მკაცრად განსაზღვრული ბიუჯეტების ფონზე სად პოულობენ დიკენსის ადაპტირებისთვის საჭირო ნერვებსა და ფინანსებს. შესაძლოა, "დიკენსომანია" ამერიკულ კინოში, უბრალოდ, ძველი დროიდანვე კარგად დაცდილი ტრადიცია იყოს. ჯერ კიდევ 1890-იანი წლებში ხომ მოკლემეტრაჟიან, მუნჯ ფილმებს "ოლივერ ტვისტის" მიხედვით იღებდნენ. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ დიკენსი კინემატოგრაფმა დაბადების პირველივე ხანებშივე "აღმოაჩინა". 1940-იან წლებში კი უკვე შეიქმნა "დიდი იმედებისა" და "ოლივერ ტვისტის" კლასიკური კინოვერსიები; შემდეგ – მიუზიკლი "ოლივერიც", რომელმაც, როგორც საუკეთესო ფილმმა, 1968 წელს "ოსკარი" დაიმსახურა. ბუნებრივია, ჰოლივუდელმა სცენარისტებმა გულგრილად ვერც "დევიდ კოპერფილდი", "ორი ქალაქის ზღაპარი" და "პიკვიკის ქაღალდები" წაიკითხეს.



*ახალი "ნიკოლას ნიკლბი"*

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ "საშობაო ზღაპარს", ის არა მხოლოდ თეატრის სცენებზე იდგმებოდა. კინოსა და დიკენსის მოყვარულები ახლაც დიდი სიამოვნებით უყურებენ ალასტეირ სიმის 1951 წლის ფილმს, ალბერტ ფინის 1970 წლის მიუზიკლ "სკრუჯს", ბილ მურეის 1988 წლის კომედიას, ვანესა ვილიამსის ტელე-სერიებს და ა.შ.

"ნიკოლას ნიკლბის" რეჟისორი დუგლას მაქგრათი კი დიკენსის პოპულარობას ასე ხსნის: "შეიძლება ისიც კი ვამტკიცოთ, რომ ჩარლზ დიკენსი მსოფლიოში საუკეთესო მთხრობელია. მისი დიალოგები შეუდარებელია. ნათელი, მეტყველი, რომანტიკული – რაც კი მოგესურვებათ, ყველაფერი დიკენსშია. მას ყველაზე მეტი მკაფიოდ გამოძერწილი პერსონაჟი ჰყავს შექმნილი. მხოლოდ "ნიკლბიში" 15-18 გმირია – მთავარიც და მეორეხარისხოვანიც ისეთი გამოკვეთილი სახეა, რომ არაფრით დაგავიწყდება".

სანამ მაქგრათს დიკენსის შემოქმედება გაიტაცებდა, "ნიკოლას ნიკლბის" კინოფილმად გადაქცევა 1947 წელს ბრიტანელებმა მოასწრეს. ბრიტანელებამდე კი, მუნჯი კინოს ეპოქაში, "ნიკლბის" მიხედვით მოკლემეტრაჟიან ფილმებს იღებდნენ. 1982 წელს "ნიკლბის" ცხრასაათიანი სატელევიზიო ფილმიც გააკეთეს, ახლახან კი შექსპირის სამეფო თეატრის წარმოდგენის ციფრული ვიდეო-დისკიც გამოუშვეს.

მაქგრათმა მოახერხა, დიკენსის ვრცელი რომანი და ნიკლბის თავგადასავალი სულ ორ საათში ჩაეტია. ამისთვის მან შეკვეცა ნაწარმოები, გამოაკლო მეორეხარისხოვანი გმირები და ყურადღების ცენტრში მთლიანად ნიკოლასი მოაქცია. ნიკლბის როლს ჩარლი ჰანემი ასრულებს, ფილმში ასევე მონაწილეობენ: კრისტოფერ პლამერი, ჯიმ ბორდბენტი, ნათან ლეინი, ჯეიმი ბელი და ენი ჰეთუეი.

და ბოლოს, ცნობილი ჰოლივუდელი სცენარისტი ჯონ ლოგანი ("გლადიატორისა" და Star Trek: Nemesis-ის თანაავტორი), რომელიც დიკენსის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია, ამტკიცებს: "დიკენსი რეჟისორებისათვის მიმზიდველი წყაროა იმიტომ, რომ წერდა მასებისთვის და არა ლიტერატურული ელიტისთვის. შექსპირთან ერთად, დიკენსი იმიტომ უძლებს დროს, რომ აუდიტორიას პირდაპირ ესაუბრება. ისინი არც მკითხველის ზემოთ დგანან, არც ქვემოთ, არამედ ხალხს თვალს თვალში უსწორებენ და ისე უყვებიან ამბავს".

კითხვარი

# გადავედით უკულტურო ერის მდგომარეობაში

გიორგი მარგველაშვილი

რეჟისორი

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**



**1.** საჭიროა დაფინანსება, იმისათვის, რომ არსებობდეს ეს ყველაფერი. უნდა იყოს გარკვეული სახელმწიფო პროგრამა და იდეოლოგია ამასთან დაკავშირებით. იმ ხალხთან, რომელსაც არ გააჩნია იდეოლოგია, არანაირ აქტივობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. თუ იქნება აქტივობა, იქნება სხვისი კულტურის აქტივობა, რისი მომსწრენიც ვართ ამ სახელმწიფოში. რაც შეეხება საზოგადოებას, იგი ვერაფერს ვერ იზამს, რადგანაც ქვეყანაში, სადაც არ არსებობს გამოკვეთილი იდეოლოგია, ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მოქმედების გამოკვეთილი პროგრამა, იქ საზოგადოება დაშლილია, არაორგანიზებულია და არაორგანიზებულ საზოგადოებას არ შეუძლია არანაირი მიზანმიმართული ქმედება ჩაიდინოს. კულტურა, საერთოდ ფართო ცნებაა, ჩვენთან ძალიან ბევრი ურევს ერთმანეთში კულტურასა და ცივილიზაციას, ეს სხვადასხვა რამაა. თუმცა, ამის მიუხედავად, კულტურის აქტივობა გაჩერებული არ არის, უბრალოდ თვითდინებაზეა მიშვებული და როგორც რუსები ამბობენ - спасение утопающих, дело рук самых утопающих. ამ სიტუაციაში, როდესაც თეატრები იქნება ეს, გუნდები თუ ანსამბლები, წყალში არიან გადავარდნილები, გემი ჩაიძირა, ან იძირება - საშველი არ არის. ყველაფერი უკვე დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ ვინ იცის ცურვა, ვინ შეეგუება იმ ყინვას, ვინ უკეთ გაუმკლავდება ზვიგენებს და ა.შ. ყველა ცალ-ცალკე იბრძვის. კულტურისთვის, მისი დაფინანსებისთვის; შესაბამისად სახელმწიფო პროგრამების, პოლიტიკის შემუშავებისთვის, ამ ქვეყანას არ სცალია, რამდენად ძვირად დაუჯდება ეს მომავალში, ამას უკვე მომავალი გვაჩვენებს.

**2.** შეიცვალა ის, რომ ჩვენ მეტ-ნაკლებად კულტურული ერიდან, მსუბუქად რომ ვთქვათ, მზარდი ტემპებით, უკულტურო ერის მდგომარეობაში გადავდივართ და ეს ყველაფერში გვეტყობა, საზოგადოებრივი ცხოვრების პარქტიკულად ყველა ასპექტში.

რაც შეეხება უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას, ძალიან ძნელია ამის განსაზღვრა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დღეს ქართულ კულტურაში ხდება, არის ის, რომ ჩვენ, აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობიდან, გადავედით სრულიად სხვა მდგომარეობაში, ჩვენ ჯერ არ ვიცით ამ სიტუაციაში როგორ მოვიქცეთ, არსებულ რეალობას, ნელ-ნელა ვეგუებით, ვეძებთ გამოსავალ გზებს, ჯერ-ჯერობით ადაპტაციის პერიოდია.

**3.** ვკითხულობ ზღაპრებს და ვუსმენ ფოლკლორულ მუსიკას. სპექტაკლებს პროფესიიდან გამომდინარე, ვინ რას აკეთებს და როგორ აკეთებს, სისტემეტურად ვნახულობ. რაც შეეხება ფილმებს, ამ ბოლო დროს ბევრს ვნახულობ, ამის საშუალება დღეს პრაქტიკულად ყველას მიეცა. ქართული ტელეარხები იმის დეფიციტს არ განიცდიან, რომ ფილმები აჩვენონ. რომ გითხრათ, ბოლო წლებში ისეთი რამ შეიქმნა ქართულ თეატრალურ, ან კინოხელოვნებაში რაც მკვეთრად ამოვარდნილი იქნება საერთო კონსტექსტიდან, ცოტა რთულია, რადგანაც ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც გააჩნია. თუმცა ჯერ-ჯერობით მთავარი მოვლენა საქართველოში, ალბათ კიდევ გარკვეულ ხანს ასე იქნება - სტურუას სპექტაკლებია, შეიძლება ყველა არა, მაგრამ...

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# "რეალისა" და "მანჩესტერის" საიდუმლო გარიგება - ბექჰემი "რეალშია"!

"საიდუმლო სერობა" თვეების მანძილზე გრძელდებოდა

აკა ტონია

ფეხბურთის ისტორიას უამრავი მოულოდნელი, მრავალმილიონიანი ტრანსფერი ახსოვს, მაგრამ ყოველი მათგანის შესახებ ინფორმაცია მაინც ჟონავდა და, მოლაპარაკებების დასრულებამდე, ტრანსფერის შესახებ ყველაფერი ცნობილი იყო.

ასეთი რამ პირველად ხდება: ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. თავად სახელგანთქმული "Marca"-ს ჟურნელისტებმა გუშინაც კი არ იცოდნენ მომხდარის შესახებ. 2002-მა წელმა თავისი, ალბათ, უკანასკნელი დიდი სენსაცია გვაჩუქა.

## საიდუმლოს თვეების მანძილზე ინახავდნენ

"უახლოეს დღეებში, "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი "რეალში" გადავა", - ეს ინფორმაცია გუშინწინ, გვიან ღამით, ტელეკომპანია "BBC"-მ, შემდეგ კი სხვა ტელე-კომპანიებმაც გაავრცელეს. ცნობილმა ესპანურმა სპორტულმა გაზეთებმა "Marca"-მ, "as"-მა და "Mundo Depotivo"-მ ამის შესახებ გუშინაც კი არაფერი იცოდნენ. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. თითქოს ყველა დიდი გარიგება უკვე განხორციელებული იყო. მოსალოდნელი იყო უხმაურო სატრანსფერო ზამთარი, რომელიც სიურპრიზებს აღარ შემოგვთავაზებდა. "მილანის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ძვირად ღირებული ფეხბურთელების შეძენას აღარ აპირებს, "რეალმა" კი უკვე იყიდა სამი სუპერვარსკვლავი და ვეღარავინ წარმოიდგენდა, რომ ახლო მომავალში კვლავ გაგვაოცებდა მომავალი სუპერკონტრაქტით. აღმოჩნდა, რომ ვცდებოდით.

"რეალის" პრეზიდენტს ფლორენტინო პერესსა და "მანჩესტერის" პრეზიდენტს როლანდ სმიტს შორის მოლაპარაკებები სრულიად საიდუმლოდ, რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარეობდა. სახელდება რეკორდული სატრანსფერო თანხა - 60 მილიონი ევრო, რომელსაც "რეალი" 4 წლის განმავლობაში გადაუხდის "მანჩესტერს". ბექჰემის კონტრაქტიც სწორედ 4-წლიანია. საბოლოო მოლაპარაკება ორი კლუბის პრეზიდენტებს შორის მადრიდის ერთ-ერთ სასტუმროში გაიმართა.

ამბობენ, რომ ბექჰემს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს უნდოდა "მანჩესტერიდან" წასვლა. ადგილობრივი მაფია მას შვილის მოტაცებით ემუქრებოდა. ბექჰემი და მისი მეუღლე განსაკუთრებით განიცდიან ყვითელი პრესის დევნას. სწორედ ეს გახდა ფეხბურთელის გადაწყვეტილების მიზეზი.

ცნობილია, რომ, "რეალის" გარდა, ბექჰემის შეძენა იტალიურ "ინტერსაც" სურდა, მაგრამ თავად ნახევარმცველმა მადრიდი არჩია,



ფლორენტინო პერესმა ბექჰემიც იყიდა

რადგან ყოველთვის სურდა, რომ "რეალში" ეთამაშა. ბექჰემის აზრით, მადრიდში მას ნაკლებად შეავიწროებს პრესა, რადგან, ფიგუს, ზიდანის, რონალდოს, რობერტო კარლოსისა და რაულის სახით, მის გარდა, ამ ქალაქში საკმარისზე მეტი სუპერვარსკვლავი თამაშობს.

ვარაუდობენ, რომ ბექჰემი თებერვალში მოირგებს "რეალის" მაისურას, რადგან ინგლისში საქმეები აქვს მოსაგვარებელი. "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ წამოაყენა პირობა, რომლის თანახმადაც, ბექჰემმა უნდა გამართოს დიდი პრესკონფერენცია ინგლისელი ჟურნალისტებისთვის, რომელზეც განაცხადებს, რომ მისი წასვლის მიზეზი არამც და არამც არ ყოფილა კლუბის ხელმძღვანელობის სურვილი და რომ ეს მისი, საკუთარი გადაწყვეტილებით ხდება.

"მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ კარგად იცის, რომ დევიდ ბექჰემის წასვლა გულშემატკივართა მწვავე ვნებათაღელვას გამოიწვევს, მით უმეტეს, რომ ეს გარიგება ელვის სისწრაფით მოხდა.

სპეციალისტთა აზრით, ეს ტრანსფერი ფლორენტინო პერესის ისედაც უდიდეს პოპულარობას კიდევ უფრო გაზრდის. "რეალის" პრეზიდენტებს შორის, კლუბის ამჟამინდელი თავკაცი მადრიდელთა ყველაზე საყვარელი პრეზიდენტია ლეგენდარული სანტიაგო ბერნაბეუს შემდეგ.

## სად იქნება ბექჰემის ადგილი?

"სამეფო კლუბს" შემტევი ფეხბურთელებით გაძლიერება ნამდვილად არ სჭირდება. "რეალის" შემტევი ნახევარდაცვა და თავდასხმა გადატვირთულიც კია სუპერვარსკვლავებით. გუნდის მთავარი პრობლემაა დაცვის რგოლი, რომელსაც აშკარად მოუხდება ახალი სისხლი. ამის მიუხედავად, ფლორენტინო პერესი შემტევ ნახევარმცველს ყიდულობს. ხშირად ისმის კითხვა: როგორ უნდა მოუნახოს ადგილი "რეალმა" ამდენ ვარსკვლავს? ამ კითხვას სვამდნენ მაშინ, როდესაც ზიდანი გადადიოდა მადრიდში, მაშინაც, როცა "სამეფო კლუბი" რონალდოს ყიდულობდა. ეს კითხვა, ალბათ, ახლაც დაისმება. სავარაუდოდ, დელ ბოსკე ბექჰემს თავის ჩვეულ ადგილას - ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე ათამაშებს, ლუიშ ფიგუ კი მარცხნივ გადაინაცვლებს. საგულისხმოა, რომ უკანასკნელ მატჩებში ფიგუ ხშირად იცვლიდა ფლანგებს. ასე მოხდა "მილანთან" მატჩშიც, როდესაც პორტუგალიელს კახა კალაძე მეურვეობდა. ფიგუ კარგად თამაშობს ორივე მხარეს, ფლანგის შეცვლა მისთვის პრობლემა არ არის. ბექჰემის დამატებით, "რეალმა" ასეთი მონახაზით უნდა ითამაშოს: მარცხენა ნახევარდაცვა - ფიგუ, ცენტრალური ნახევარდაცვა - ზიდანი, მარჯვენა ნახევარდაცვა - ბექჰემი, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე კი - ელგერა, მაკელელე, კამბიასო ან, სულაც, ფლავიო კონსეისაო. თავდასხმის ხაზი შეუცვლელი დარჩება: რონალდო - რაული.



ინგლისელი "რეალის" მაისურს მოირგებს

დაგვრჩა დაცვა, რომელიც, ასეთი ტაქტიკური მონახაზის შემთხვევაში, კიდევ უფრო დასუსტდება, რადგან ბექჰემი მხოლოდ მეორე საყრდენი ნახევარმცველის ხარჯზე ჩაჯდება შემადგენლობაში. თუ "რეალი" აქამდე ორი უკანა ნახევარმცველით თამაშობდა (კამბიასო-მაკელელე, ელგერა-მაკელელე ან კამბიასო-კონსეისაო და ა.შ.), ახლა ამ ფუნქციას მხოლოდ ერთი მათგანი შეითავსებს, რაც რთული ამოცანაა. ადრე ამას რედონდო ახერხებდა, მისი წასვლის შემდეგ კი ამ დავალებას, როგორც წესი, ორი ფეხბურთელი ასრულებს. ძნელი სათქმელია, გაართმევს თუ არა თავს საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს მხოლოდ მაკელელე, მხოლოდ კამბიასო ან მხოლოდ ელგერა.

არის მეორე ვარიანტიც: დელ ბოსკეს შეუძლია, გუნდი, კვლავინდებურად, ორი საყრდენი ნახევარმცველით ათამაშოს, მაგრამ ეს მხოლოდ დაცვის ხაზის შესუსტების ხარჯზე თუ მოხდება - ამ შემთხვევაში "რეალმა" მხოლოდ სამი მცველით უნდა ითამაშოს, რაც მეტად დიდი რისკი იქნება: მადრიდელთა დაცვას, ხშირად ოთხი კაცის შემადგენლობითაც, დიდი პრობლემები აქვს. აღარც ისე ახალგაზრდაა ფერნანდო იერო, თანაც, ხშირად აქვს ტრავმები. მის ნაცვლად ახალგაზრდა პავონს ათამაშებენ, ის კი ჯერ კიდევ გამოუცდელია. დაცვის ცენტრში დელ ბოსკეს რომელიმე ნომინალური ნახევარმცველის, ელგერას ან კონსეისაოს დაყენებაც შეუძლია, თუმცა, უშეცდომო არც ერთი მათგანი არის. ეგეც არ იყოს, ეს მათი ამპლუა არ არის. შეუძლებელი იქნება სამკაციანი დაცვის ფუნქციონირება, თუ განაპირა მცველებად რობერტო კარლოსი და მიჩელ სალგადო დარჩებიან, ისინი კი შეუცვლელები არიან. კარლოსი და სალგადო გუნდის თითქმის ყველა შეტევაში ერთვებიან, მათი დაზღვევა კი ერთი კაცით, პრაქტიკულად, შეუძლებელია. სამი კაცით თამაშის შემთხვევაში, კარლოსმა და სალგადომ უარი უნდა თქვან შეტევაში თამაშზე და მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იზრუნონ. ეს კი საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია.

"რეალის" შემადგენლობა ისედაც დაუბალანსებელი იყო, ბექჰემის შეძენით კი შეტევისა და დაცვით ხაზებს შორის ძალების შეფარდება კიდევ უფრო არაპროპორციული გახდება. "სამეფო კლუბს" აუცილებლად დასჭირდება რედონდოს მსგავსი საყრდენი ნახევარმცველი, რომელიც დაკისრებულ ფუნქციებს მარტო შეასრულებს. ასეთები არიან, მაგრამ ცოტა და, თანაც, ძალიან "ძვირად". ასე რომ, "რეალის" მონაწილეობით კიდევ უნდა ველოდოთ ხმაურიან გარიგებებს.

## და მაინც, ეს ყველაფერი უცნაურია

უცნაურია, რომ ამ ბურუსით მოცული ტრანსფერის შესახებ, მისი "კონსპირაციულობის" მიუხედავად, ჟურნალისტებმა ვერაფერი შეიტყვეს. სულ ცოტა ხნის წინათ ერთი კვირით ვიყავი მადრიდში. მოულოდნელ გარიგებაზე სიტყვაც კი არ წამოსცდენია არც ერთ გაზეთსა თუ ჟურნალს. გაზეთი "Marca" "ბარსელონაში" რომარიოს დაბრუნებაზეც კი საუბრობდა. ესპანური პრესისთვის არ არსებობს აბსურდული ინფორმაციები, ჟურნალისტები იქ ყველაფერს დასაშვებად მიიჩნევენ. ბექჰემის შესახებ კი ვარაუდიც არ ყოფილა.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ ესპანელები ამის შესახებ არც გუშინ არაფერს იუწყებოდნენ. მსგავსი ინფორმაცია არ არის არც "რეალისა" და არც "მანჩესტერის" ვებ-გვერდებზე. სამაგიეროდ, ამის შესახებ წაიკითხავთ ნებისმიერ რუსულ საიტზე. ბექჰემის ტრანსფერის დეტალებს სააგენტო РИА "Новости" ახმაურებს. ინფორმაცია ზოგიერთმა ქართულმა ტელეკომპანიამაც გადმოსცა.

ასე რომ, ინფორმაცია ბექჰემის "რეალში" გადასვლა-არგადასვლაზე ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს ბოლომდე დაზუსტებულად. ბურუსით მოცულ ამბავს უახლოეს დღეებში აუცილებლად აეხდება ფარდა.

მოკლედ

**ლონდონის** "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა, კლაუდიო რანიერიმ, ინგლისის ჩემპიონატის შაბათის მატჩში განცდილ მარცხში მთავარ დამნაშავედ საკუთარი თავი მიიჩნია. "ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად შვიდი ფეხბურთელი შევცვალე. ახლა ვხვდები, რომ მართალი არ ვიყავი. ჩემს გუნდში 18 ფეხბურთელია და ყველა ჩინებულ სპორტულ ფორმაშია. ვიფიქრე, რომ 11 ფეხბურთელი სამ დღეში ორ მატჩს მაღალ დონეზე ვერ ჩაატარებდა. როგორც ჩანს, შევცდი და, შედეგად, ორ თამაშში, ექვსი შესაძლებლიდან, მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ", - განაცხადა იტალიელმა მწვრთნელმა. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორ მატჩში "ჩელსიმ" ჯერ საკუთარ მოედანზე ფრედ (0:0) ითამაშა "საუთჰემპტონთან", ხოლო შემდეგ "ლიდსთან" დამარცხდა - 0:2.

■ ■ ■

**საფრანგეთის** "რენის" მთავარი მწვრთნელი, ვაჰიდ ხალილხოჯიჩი, მომავალი სეზონიდან დედაქალაქის "პარი სენ-ჟერმენს" გაწვრთნის. ხალილხოჯიჩმა სახელი გაითქვა ფრანგულ "ლილში" მუშაობით - გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონიდან ჯერ უმაღლესში გადაიყვანა, ხოლო საუკეთესოთა კამპანიაში ყოფნის პირველივე წელს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა და ამ ტურნირის ჯგუფურ ეტაპზეც გაიყვანა. ამჟამად "პსჟ"-ს წვრთნის წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ლუის ფერნანდესი, ვის სახელთანაც არის დაკავშირებული პარიზული კლუბის ერთადერთი ევროპული ჯილდო - თასების მფლობელთა თასი. მიმდინარე სეზონში "პსჟ" წარუმატებლად ასპარეზობს, რის გამოც დადგა მწვრთნელის შეცვლის საკითხი.

■ ■ ■

**ბრაზილიელი** მსოფლიო ჩემპიონი, როკე ჟუნიორი, "მილანს" აღარ სჭირდება და იგი, იჯარის წესით, შეიძლება, სხვა გუნდში გადავიდეს. სეზონის სტარტზე როკე ჟუნიორმა ტრავმა მიიღო, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბრაზილიელი მცველი სასტარტო შემადგენლობიდან ვერ ამოაგდებდა პაოლო მალდინისა და ალესანდრო ნესტას, რომლებიც სამაგალითო სეზონს ატარებენ. ფეხბურთელის აგენტი კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა და გაირკვა, რომ ჟუნიორისთვის საუკეთესო გამოსავალი იჯარით სხვა კლუბში გადასვლა იქნებოდა.

■ ■ ■

**ესპანურ** "ვალენსიასა" და ინგლისურ "ფულჰემთან" ერთად, არგენტინელი ვეტერანის გაბრიელ ბატისტუტას შეძენა ახლა უკვე არაბთა გაერთიანებული საემიროების კლუბ "ალვახდასაც" სურს. არადა, "ვალენსიამ", "ფულჰემმა" და იაპონურმა "კასიმა ანტლერსმა" ბატისტუტას კონტრაქტი უკვე შესთავაზეს. ბატისტუტას წარმომადგენლებმა არაბული ვარიანტიც განიხილეს. იმასაც ამბობენ, რომ არგენტინელს შესთავაზეს ერთწლიანი კონტრაქტი, რომლის ღირებულება 2,7 მილიონი დოლარია.

■ ■ ■

**ხოსეპ გვარდიოლამ**, რომელიც ბოლო ათწლეულის ესპანეთის ყველაზე ნიჭიერ ნახევარმცველად ითვლებოდა, განაცხადა, რომ "რომადან" სხვა კლუბში გადასვლა სურს.

ამის ძირითად მიზეზად გვარდიოლა ასახელებს ფაბიო კაპელოსთან უთანხმოებას, რაც გუნდის ძირითად შემადგენლობაში მის დაყენებას ეხება. შეგახსენებთ, რომ ხოსეპ გვარდიოლა აპენინებზე 2001 წელს გადაბარგდა - ჯერ "ბრეშას", შემდეგ კი "რომას" რიგებში, სადაც ვერაფრით მოიკიდა ფეხი. ესპანელი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. ამიტომ მისი ბოლო განცხადება სრულიად გასაგებია.

"მე კლუბის ხელმძღვანელობასთან განვიხილავ ამ პრობლემას და გამოსავალს ერთად ვიპოვით. ალბათ, სხვა კლუბში გადასვლა მომიწევს. იქნება თუ არა ჩემი ახალი კლუბი იტალიური, ამის თქმა ნამდვილად მიჭირს, მაგრამ მოწვევა სხვა ქვეყნის გუნდებიდანაც მაქვს", - განაცხადა გვარდიოლამ.

■ ■ ■

**ახალგაზრდა** ბრაზილიელი ტალანტის, რობინიოს პერსონით ევროპის სუპერკლუბები დაინტერესდნენ. გერმანული მასმედია იუწყება, რომ 18 წლის ფეხბურთელით, რომელიც ამჟამად ბრაზილიის "სანტოსის" ღირსებას იცავს ("სანტოსი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა), სერიოზული დაინტრესება გამოხატა მიუნხენის "ბაიერნმა". მიუნხენელები იმან მოხიბლა, რომ, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, რობინიომ წლევანდელ სეზონში შთამბეჭდავად ითამაშა და ევროპელი სკაუტების ყურადღებაც დაიმსახურა.

"ბაიერნამდე" რობინიოსთან ესპანურმა "ბარსელონამაც" დაიჭირა საქმე. კატალონიელებმა ფეხბურთელის სანაცვლოდ კონკრეტული თანხაც კი დაასახელეს - 25 მილიონი დოლარი. თვითონ ფეხბურთელი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა:

"ჯერ ოჯახს მოველაპარაკები და გადაწყვეტილებას შემდეგ მივიღებ. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ "ბარსელონაში" თამაში ყოველთვის მინდოდა. მიმაჩნია, რომ ის ჩემი გუნდია", - ამბობს რობინიო.

კალათბურთი

# ქართველებით შეგვიძლია ვიამაყოთ

## NBA-ის რეგულარული ჩემპიონატი

**პარასკევი:** *მაიამი - ბოსტონ სელტიკსი 90:70, კლივლენდი - ინდიანა 89:113, ატლანტა - სან-ანტონიო 81:79, ნიუ-ჯერსი - მილუოკი 110:90, მემფისი - ორლანდო 99:86, ჰიუსტონი - ნიუ-იორკი 83:99, ჩიკაგო - მინესოტა 100:113, ფინიქსი - კლიპერსი 108:95, გოლდენ სტეიტი - ტორონტო 101:96, პორტლენდი - იუტა 103:98.*

**შაბათი:** *დენვერი - ლეიკერსი 93:112, ვაშინგტონი - ატლანტა 84:76, ინდიანა - ჰორნეთსი 91:84, ორლანდო - ბოსტონ სელტიკსი 101:95, დეტროიტი - მინესოტა 106:82, მილუოკი - ნიუ-ჯერსი 96:104, ჩიკაგო - სან-ანტონიო 95:109, დალასი - ნიუ-იორკი 107:82, იუტა - ფილადელფია 98:69, საკრამენტო - პორტლენდი 113:119, კლიპერსი - გოლდენ სტეიტი 92:99.*

NBA-ის ქართველი ლეგიონერები ვლადიმერ სტეფანია და ნიკა ცქიტიშვილი სულ უფრო გაუშინაურდნენ ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციას და თამაშიდან თამაშამდე აუმჯობესებენ შედეგს. მათი თამაში სულ უფრო ხშირად ხვდება სპეციალისტთა მხედველობის არეალში და ქართველი კალათბურთელებიც თანდათან იმკვიდრებენ ადგილს თავიანთი გუნდების შემადგენლობაში.

გასულ უქმეებზე, უფრო სწორად პარასკევს, ვლადიმერ სტეფანიას "მაიამი ჰიტმა" უაღრესად შთამბეჭდავი თამაში აჩვენა და დაამარცხა ერთ დროს ლეგენდარული "ბოსტონ სელტიკსი" - 90:70. მატჩის შემდეგ "ჰიტის" მწვრთნელი პატ რაილი დამშვიდებული ჩანდა. როგორც იქნა, მსაჯებთან ნერვულმა დავამ სასურველი შედეგი გამოიღო: იმის მიუხედავად, რომ მაიამელთა მწვრთნელი მსაჯების მიმართ ბრალდებების გამო დააჯარიმეს, არბიტრებმა "ჰიტისადმი" დამოკიდებულება უკეთესობისკენ შეცვალეს. ყოველ შემთხვევაში, თავის გუნდზე საუბრისას პატ რაილი მსაჯებზე აპელირებას აღარ ახდენს და უფრო მოთამაშეების ავკარგიანობაზე საუბრობს.



სტეფანიამ თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა

REUTERS

"სელტიკსის" განადგურების შემდეგ პატ რაილიმ კომპლიმენტები ქართველ ლეგიონერსაც მიუძღვნა. მისი თქმით, "ჰიტს" შეუძლია იამაყოს, რომ ქართველი ლეგიონერის სახით ასეთი შენაძენი გააკეთა. სტეფანია სულ უფრო შედეგიანად ათამაშდა და ეს პატ რაილის სიხარულის საფუძველს აძლევს. "გუნდი, როგორც იქნა დამშვიდდა და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ "მაიამი" ამ სეზონში კიდევ ბევრ გამარჯვებას მოიპოვებს" - ეს ვარაუდი პატ რაილის ეკუთვნის.

ბოლოდროინდელი გამარჯვებების ფონზე "მაიამი ჰიტმა" სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესა და აღმოსავლეთ კონფერენციაში ორი საფეხურით დაწინაურდა. ვლადიმერ სტეფანიამ კი "სელტიკსთან" სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ამით, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავს საახალწლო საჩუქარი მიუძღვნა. ქართველმა ლეგიონერმა მოედანზე 28 წუთი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში საკუთარ ანგარიშზე 14 ქულა, 14 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. ამ მაჩვენებლით ვლადიმერ სტეფანია ერთ-ერთი საუკეთესო იყო მაიამელთა რიგებში.

ნიკა ცქიტიშვილის "დენვერმა" შაბათს ითამაშა და საკუთარ კედლებში NBA-ის ბოლო სამი წლის ტრიუმფატორ "ლოს-ანჯელეს ლეიკერსს" უმასპინძლა. ქართველმა კალათბურთელმა 30 წუთში 12 წულის, 3 მოხსნისა და 4 შედეგიანი გადაცემის გაკეთება კი შესძლო, მაგრამ "ლეიკერსის" დასამარცხებლად მისი გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა. დენვერელებმა ვერაფერი მოუხერხეს შეუდარებლად მოთამაშე კობი ბრაიანტსა (39) და შაკილ ო`ნილს (22 ქულა +13 მოხსნა).

შაბათის შეხვედრებიდან აღსანიშნავია ლიტველი არვიდას საბონისის "პორტლენდის" ზედიზედ მე-7 გამარჯვება. "პორტლენდმა" ამჯერად ოვერ-ტაიმში საკრამენტოელ "მეფეებს" სძლია - 119:113. "პორტლენდმა" ბოლო 12 შეხვედრაში მე-10 გამარჯვება მოიპოვა.

წლის მოვლენები

# 2002 წლის სპორტული სიკაშკაშე

გიგა გურასაშვილი

*რით იყო საინტერესო 2002 წელი ქართული სპორტისთვის? ალბათ, იმით, რომ, ჩვენი გაჭირვებული ყოფის მიუხედავად, ევროპისა და მსოფლიოს მნიშვნელოვან ასპარეზობებზე უშედეგოდ არ დავრჩენილვართ. 2002 წლის სეზონი იყო ისეთი, რომელზეც ყურადღების გამახვილება ნამდვილად ღირს. იყო დიდი სიხარული, იყო იმედგაცრუებაც, თუმცა, სპორტი ამის გარეშე წარმოუდგენელია...*

წლევანდელ სპორტულ მონაგარს თავიდან ბოლომდე რომ გადავავლოთ თვალი, ერთი საგაზეთო გვერდიც არ გვეყოფა. ამიტომ, ჯობს, 2002 წელი ზოგადად მიმოვიხილოთ. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის გახსენება საინტერესოა. მივყვეთ თანმიმდევრობით.

პირველი, ვინც წლევანდელ წარმატებებს დაუდო სათავე, ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძეა. შესაძლოა, სალუქვაძე შორს არის ძველი ფორმისგან, მაგრამ სეზონს ისე არ დაასრულებს, ერთი-ორჯერ მიზანში არ გაარტყას. წლეულსაც ასე იყო. გაზაფხულზე ჩინეთში, შანხაიში გათამაშებულ მსოფლიო თასზე ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს გუნდის ერთ-ერთმა იმედმა "ტყვია ტყვიაში ჩააჯინა" და შინ მსოფლიო თასით დაბრუნდა. ამასთან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მან პირველმა შეძლო 2004 წლის საოლიმპიადო ლიცენზიის მოპოვება. თუმცა, ქართველი ტყვიის მსროლელი მარტო მსოფლიო თასით არ შემოფარგლულა. მსოფლიო ჩემპიონატზე, ფინეთში, ლახტიში, სალუქვაძე კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა.

სალუქვაძისგან ესტაფეტა მოჭიდავეებმა ჩაიბარეს. თავდაპირველად ევროპულ სარბიელზე "ბერძენ-რომაელები" გავიდნენ. ჩემპიონი გახდა ბადრი ხასაია, ვიცე-ჩემპიონი კი - მანუჩარ კვირკველია. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მათი მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობაა.

მოსკოვის უმთავრეს ხალიჩაზეც, ქართველთაგან ყველაზე უკეთ, ისევ ხასაიამ და კვირკველიამ იჭიდავეს. ერთმა მსოფლიო ჩემპიონატის "ვერცხლი" მოიპოვა, მეორემ კი - "ბრინჯაო". მართალია, ხარისხობრივი მაჩვენებლით მოსკოვური მედლები ისეთი ბზინვარე არ არის, მაგრამ, ფაქტია: მსოფლიო ჩემპიონატის კვარცხლბეკის ნებისმიერ საფეხურზე ასვლა ბევრად საპატიოა. ეგეც არ იყოს, პირველად, ამგვარი ასპარეზობების ისტორიაში, გუნდური მეორე ადგილი დავიკავეთ და, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ექვსეულში მოხვედრილმა გუნდმა, მომავალი წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში ასპარეზობის უფლებაც მოვიპოვეთ.

**საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია**: "მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ვთქვი კიდეც, რომ საქართველოს გუნდი ერთ-ერთი ფავორიტი იქნებოდა. ასეც მოხდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დავიკავეთ."

2002 წელი "ბერძენ-რომაელთა" თანამოძმეებისთვისაც უხვმოსავლიანი გამოდგა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან ევროპის ჩემპიონატზე მედლები სამმა სპორტსმენმა დაიმსახურა. ბრინჯაოს მედალი რევაზ მინდორაშვილმა აიღო, ხოლო ჩემპიონობამდე თითო ნაბიჯი დააკლდათ დავით ოთიაშვილსა და ელდარ კურტანიძეს. ორივე მათგანი ევროპის ჩემპიონატიდან ვერცხლის მედლით დაბრუნდა. ყველაზე დიდი მოულოდნელობა კი, ალბათ, კურტანიძის ფინალური მარცხი იყო, თუმცა, ქართველმა ფალავანმა შეცდომა ორმაგად გამოასწორა. თეირანის მსოფლიო ჩემპიონატზე, ოლიმპიური სახეობის წარმომადგენელთაგან ერთადერთმა, შეძლო, გამარჯვებულის მანტია მოესხა. კურტანიძის წარმატებები უყურადღებოდ არ დარჩენიათ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და სპორტულ მედიას. კურტანიძე, ორივეგან, 2002 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.


საქართველოს მორაგბეთა ნაკრები - წლის საუკეთესო გუნდი


საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები - წლის საუკეთესო გუნდი


ელდარ კურტანიძე - წლის საუკეთესო სპორტსმენი


გიორგი კანდელაკი - მსოფლიოს ჩემპიონი პროფესიონალთა შორის



გიორგი ასანიძე - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი

გამორჩეული სეზონი ჰქონდათ ჩვენს ძიუდოისტებსაც. ჯერ იყო და, ევროპის თასს ახლო არავინ გავაკარეთ, შემდეგ კი მსოფლიო თასზეც ვისახელეთ თავი.

ბაზელში, ძიუდოისტთა მსოფლიო თასის დაწყებამდე, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანზორ მარტყოფლიშვილმა განაცხადა, რომ ქართველი ძიუდოისტები ყველას უჩვენებდნენ საკუთარ სიძლიერეს. იმის მიუხედავად, რომ ამ სახის შეჯიბრებაში აქამდე არასდროს გამოვსულვართ, სამეულში მოხვედრა გვქონდა განზრახული. ქართველმა ძიუდოისტებმა კი, იაპონიის შემდეგ, მეორე უძლიერესი გუნდის სახელი მოიპოვეს. ძიუდოისტთა წარმატებები ღირსეულად დაფასდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციულ რეფერენდუმშიც. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები 2002 წლის საუკეთესო გუნდად დასახელდა, თუმცა, აქ ისინი მარტო არ ყოფილან. ალბათ, სიმბოლურიც არის, რომ, ძიუდოისტებთან ერთად, იგივე პატივი ხვდა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს. საერთოდ კი, ბორჯღალოსნები ცალკე საუბრის თემაა.

1981 წლის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც თბილისის "დინამო" თასების მფლობელთა თასს დაეპატრონა, თბილისის ქუჩებში სპორტის გულშემატკივართა ალტკინებული მასა აღარ გვინახავს. წლეულს ეს სიხარული მოგვიტანეს ქართველმა მორაგბეებმა, როდესაც ეროვნულ სტადიონზე მსოფლიო თასზე გასასვლელი საგზური რუსებს ხელიდან გამოგლიჯეს.

ქართველ სპორტსმენთაგან თუ ვინმეს შევყურებდით იმედით, მათ შორის ერთ-ერთი პირველი ძალოსანი გიორგი ასანიძეა. ასანიძეში რომ არ შევმცდარვართ, მან ეს კონტინენტის პირველობაზეც და მსოფლიო ჩემპიონატზეც დაამტკიცა. ევროპულ ფიცარნაგზე ასანიძემ უძლიერესის სახელი მოიპოვა. იგივეს ველოდით მსოფლიო ჩემპიონატზეც, მით უმეტეს, რომ მას ტიტულიც დასაცავი ჰქონდა.

23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, გიორგი ასანიძე, მართლაც, ჩემპიონი გახდა. ოღონდ ეგ არის, რომ ქართველმა ძალოსანმა მხოლოდ აკვრაში მიაღწია ჩემპიონობას. ორჭიდის ჯამში კი ასანიძემ შარშანდელი "ოქრო" "ვერცხლში" გადაცვალა. თუმცა, მისი მხრიდან, ესეც გმირობის ტოლფასი იყო. მოგეხსენებათ, შეჯიბრებისას, მან მხარი იტკინა. ტრავმირებულმა კი, ასპარეზობაზე უარი მაინც არ თქვა.

2002 წელი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე აღნიშნა. ამასთან, სეოკ-ის ახალი ფასადიც გაიხსნა.

არაოლიმპიურ სახეობათაგან, არ შეიძლება, არ აღინიშნოს ვაჟ მოჭადრაკეთა წინსვლა. ქართული საჭადრაკო სკოლის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ვაჟი მოჭადრაკეები საჭადრაკო ოლიმპიადის მეოთხე ადგილზე აღზევდნენ.

აღსანიშნავია სამბოში მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედალიც. პანამის მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა სამბისტებმა სამი ბრინჯაოს და ერთი ოქროს მედლით გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. ჩემპიონად კი ვარიანელი აკაკი ხანიშვილი დაგვიბრუნდა.

მეორე ვარიანელი, ვინც წლევანდელ სეზონს წერტილი დაუსვა, ეს პროფესიონალი მოკრივე გიორგი კანდელაკია. მან სანკტ-პეტერბურგში WBU-ს (კავშირის) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში მასპინძელს, ალექსანდრ ვასილიევს სძლია და სარტყელსაც დაეუფლა.

რაგბი

## შეხვედრა სკოლაში


მორაგბეები სტუმრად 53-ე სკოლაში

თბილისის 53-ე სკოლის ხელმძღვანელობამ შეხვედრა მოუწყო წლის წარჩინებულებს. გუშინ სკოლას ესტუმრნენ ჯუმბერ ლეჟავა და საქართველოს მორაგბეთა ნაკრები იყვნენ. მათზე უფრო მეტად წლეულს ვერავინ გაგვახარაო, - ითქვა შეხვედრაზე. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, სტუმარ-მასპინძელმა საქებარი სიტყვები არ დაიშურეს და ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცეს.

ჭადრაკი

## კასპაროვი გეგმის მიხედვით ემზადება

გარი კასპაროვი 2003 წლის 22 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით ნიუ-იორკში კომპიუტერულ პროგრამა "დიპ ჯუნიორს" გაეჯიბრება. ამ შეჯიბრებამდე, 7-9 იანვარს, იერუსალიმში ორი "მოთელვითი" ტიპის პარტია გაიმართება. ამ პარტიების შედეგს ძირითად ტურნირში არ გაითვალისწინებენ. ამის შესახებ ინფორმაცია ლოზანაში მდებარე ფიდეს შტაბბინიდან გაავრცელეს.

შეგახსენებთ, რომ, პირველი ვერსიით, ეს მატჩი დეკემბერში, იერუსალიმში უნდა გამართულიყო, მაგრამ ისრაელში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო, FIDE-მ გადაწყვიტა, შეჯიბრება სხვა ქალაქში გადაეტანა. რამდენიმე სავარაუდო კანდიდატიდან FIDE-ს ხელმძღვანელობამ ნიუ-იორკი აირჩია. პარტიები გათამაშდება 23, 25, 27, 29, 31 იანვარსა და 2 თებერვალს. გაიმართება 7 კლასიკური პარტია და თითო პარტიაზე მეტოქეებს 7 საათი ექნებათ. საპრიზო ფონდი ერთი მილიონი ამერიკული დოლარია. ნახევარს კასპაროვი პირდაპირ მიიღებს, ხოლო მეორე ნახევრიდან გამარჯვებულს 300 ათასი ეკუთვნის, ხოლო დამარცხებულს - 200 ათასი. ფრეს შემთხვევაში საპრიზო თანხა თანაბრად განაწილდება.

ფორმულა 1

## შუმახერს წარსული გაუხსენეს

ტრადიციულად, ყოველი წლის დასასრულს, ყველა ქვეყანაში, ამა თუ იმ სფეროში, წლის გამოჩენილ ადამიანებს ასახელებენ. ასეა სპორტშიც. დღეს საუბარია გერმანიაზე, სადაც გუშინ სპორტულმა მედიამ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები დაასახელა.

ვისთვის გასაოცრად, ვისთვის კი - არა, გერმანელებმა თავიანთ რჩეულად ტრამპლინიდან მხტომელი სვენ ჰანევოლდი დაასახელეს. გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ, არცთუ დიდი ხნის წინათ, გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი ევროპის 2002 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. წლეულს ის მეხუთედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. აქედან გამომდინარე, ის გერმანიაშიც საუკეთესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ... მათი არგუმენტი, ვინც ასე არ განსაჯა, იყო მიხაელის თავს გადახდენილი ამბავი, რომელმაც სპორტულ საზოგადოებაში, რბილად რომ ვთქვათ, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს - საქმე ეხება ავსტრიის გრან-პრის გათამაშებას. მაშინ შუმახერის პარტნიორმა, ბრაზილიელმა რუბენს ბარიკელომ, პირველობა დაუთმო გერმანელ პილოტს, რადგან ასე ისურვეს გუნდის ხელმძღვანელებმა. მართალია, შემდგომ შუმახერმა ვალი დაუბრუნა ბრაზილიელს, მაგრამ მაშინ მომხდარზე დღესაც ბევრს საუბრობენ.

როგორც ჩანს, სხვა ქვეყნის ჟურნალისტებისგან განსხვავებით, გერმანელებმა თავიანთ თანამემამულეს არ აპატიეს ნამოქმედარი. სწორედ ამიტომაც შუმახერი გერმანიაში მხოლოდ მესამე სპორტსმენად აღიარეს. პირველობა, როგორც ვთქვით, ჰანევოლდს ხვდა წილად. მეორე ადგილი დაიკავა კალათბურთელმა დირკ ნოვიცკიმ, რომელმაც, თავისი თამაშით, გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტი გახადა.

სათხილამურო სპორტი

## ევროპის ტრასებზე ნამდვილი ქაოსია

სამთო-სათხილამურო სპორტის საერთაშორისო კალენდარს ნამდვილი ქაოსი ელის. დათბობის გამო მსოფლიო თასის ეტაპები ერთიმეორის მიყოლებით გადაიდო. ასე, მაგალითად, გუშინ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მომავალ კვირაში დაგეგმილი შეჯიბრებები არ გაიმართება. ეს არის ქალთა ეტაპები სლალომსა და გიგანტურ სლალომში, რომელიც 4-5 იანვარს ავსტრიის ქალაქ ბერხტესტჰადენში უნდა გამართულიყო.

მიზეზი ჰაერის მაღალი ტემპერატურაა, რომელმაც წყლად აქცია საგანგებოდ ამ შეჯიბრებისთვის მომზადებული შესანიშნავი ტრასები. უფრო მეტიც, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლის, ურტ ხოხის თქმით, ჩაშლის საფრთხის წინაშეა ინსბრუკის ტურნირიც, სადაც უახლოეს რამდენიმე კვირაში ქალთა შეჯიბრება უნდა დაწყებულიყო.

საინტერესოა, რომ ასეთი მდგომარეობა მარტო ავსტრიაში არ არის. შაბათს ვარჯიში გადაიდო იტალიაში. აქ მამაკაცები ემზადებოდნენ ტურნირისთვის სწრაფდაშვებაში, რომელიც გუშინ უნდა დაწყებულიყო. ჯერჯერობით ძალაში რჩება მხოლოდ სლოვენიის კრანსკა-გორეს ვაჟთა ტურნირის განრიგი (სლალომსა და გიგანტურ სლალომში), თუმცა, სლოვენიაშიც კარგა გვარიანად წვიმს. ფრანგული შამონის ინსპექტირებას კი, სადაც მომავალ კვირაში ვაჟთა ტურნირი უნდა გაიმართოს, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია დღეს გეგმავს. შეგახსენებთ, რომ სამთო-სათხილამურო სპორტის კალენდარი კომპაქტურად არის შედგენილი და შეჯიბრებების გადადება დიდ პრობლემებს შექმნის.

მოკლედ

**სათხილამურო სპორტი.** იტალიურ ბორმიოში გაიმართა მსოფლიო თასის ეტაპი სწრაფდაშვებაში. შეჯიბრება ამერიკელი დერონ რალვზის სრული ტრიუმფით დასრულდა. რალვზმა მთელი ავსტრიული არმადა ჩამოიტოვა. არმადის მთავარმა ლიდერმა, შტეფან ებერჰარტერმა კი, ფინიშამდე ვერ მიაღწია.

■ ■ ■

**უნივერსიადა.** საერთაშორისო უნივერსიადების საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, იტალიის ქალაქ ტრევიზოში 16-დან 26 იანვრამდე გაიმართება ზამთრის მსოფლიო უნივერსიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა - 49. წინა უნივერსიადაზე, რომელიც სამხრეთ კორეაში 1997 წელს გაიმართა, 48 ქვეყანა მონაწილეობდა. ტრევიზოში 50 ქვეყნის დელეგაციას ელოდნენ, მაგრამ, რატომღაც, ისრაელის აკადემიურმა სპორტულმა ასოციაციამ, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ტრევიზოში თავისი დელეგაციის გაგზავნაზე უარი განაცხადა.

■ ■ ■

**ტანვარჯიში.** უნგრეთის 2002 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს ტანმოვარჯიშე სილვესტერ ჩოლანი. ასეთია გადაწყვეტილება სპორტული ჟურნალისტებისა, რომლებმაც ტრადიციული წინასაახალწლო გამოკითხვა ჩაატარეს. სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულთა ნუსხაში დიდხანს არ იყო ერთადერთი - მსოფლიო ჩემპიონის ხარისხი. ეს დეფიციტი სპორტსმენმა ნოემბერში, უნგრეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე შეავსო. გულშემატკივართათვის საამაყოდ, ჩოლანიმ, თავის საყვარელ დისციპლინაში, რგოლებზე ვარჯიშში, უპრობლემოდ დაამარცხა ყველა კონკურენტი და უნგრეთის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენის სახელი მოიხვეჭა.

ჩოგბურთი

# ახალი სეზონი ავსტრალიაში იწყება

ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დაწყებამდე მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები მწვანე კონტინენტზე სხვადასხვა ტურნირში თამაშობენ. გუშინ ქალაქ პერტში სტარტი აიღო მსოფლიოს გუნდურმა ჩემპიონატმა შერეულთა თანრიგში. აქ რვა უძლიერესმა გუნდმა მოიყარა თავი. ისინი ორ ჯგუფად დაიყვნენ. A ჯგუფში იასპარეზებენ აშშ-ის, ბელგიის, ესპანეთისა და უზბეკეთის გუნდები, B ჯგუფში კი - ავსტრალიის, ჩეხეთის, სლოვაკეთისა და იტალიის ნაკრებები.

ტურნირში მონაწილეობენ მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავები: პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგის პირველი ნომრები, ამერიკელი სერენა უილიამსი და ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი, ბელგიელი კიმ კლიისტერსი, ჩეხები ირჟი ნოვაკი და დეია ბედანოვა, სლოვაკები დომინიკ ჰრბატი და დანიელა ჰანტუხოვა.

შერეულთა თანრიგში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთში მეთხუთმეტედ ტარდება. ტურნირის ახლანდელი ჩემპიონია ესპანეთის ნაკრები, რომელმაც შარშან, ტომი რობრედოსა და არანტა სანჩეს-ვიკარიოს ძალისხმევით, მთავარი პრიზი მოიგო.

შეჯიბრების ფინალში, რომელიც 2003 წლის 4 იანვარს გაიმართება, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ჯგუფის გამარჯვებულები.



REUTERS
ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი და ამერიკელი სერენა უილიამსი ამჯერად გუნდურ პირველობასაც ეცდებიან




## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
საქართველოს სახალხო კამერული ორკესტრის კონცერტი
სოლოსტი ლიანა ისაკაძე, დირიჟორი გიორგი ჟორდანია
პროგრამაშია; ბიზე-შჩედრინის, ბერნსტაინის ნაწარმოებები
დას: 19:00 სთ; ფასი 5,6,8,10 ლარი

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
საშობაო გამოფენა
**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი
დას: 10:30; 13:30; 16:30; 19:30 სთ; ფასი 5,8 ლარი
"24 საათი", როლებში; შერლი სტერონი, კევინ ბეიკონი
დას: 22:30 სთ; ფასი 8 ლარი
**„რუსთაველი„**
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი 2"
დას: 13:30 სთ
"ლილო და სტიჩი"
დას: 15:00; 16:30 სთ.
**„ელისო„**
"ლილო და სტიჩი"
დას: 13:30: 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი 2"
დას: 15:00; 16:30 სთ; ფასი 5 ლარი

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ერთოთახიანი ბინა მეტრო სარაჯიშვილთან 8(8), ბ/აირით, ტელეფონით, რემონტით, მუდმივი წყლით, აივნით. ფასი 4000 $. 68 02 35

იყიდება ოთხოთახიანი ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან 6(16), გარემონტებული, ტელეფონით. 100 კვ.მ. 32 26 24

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, მიწის ნაკვეთით. 75 53 55

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის 118-ში, 38-30-62, 899 55-04-48.

სასწრაფოდ, იყიდება 3+2 გაერთიანებული გადაკეთებული ბინა წერეთლის 55 ნომერში, ა/ფარეხით, მე-4 სართულზე. ს/ფასი 56 000. 899 51-58-54.

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, ბირაო

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## მანქანები

იყიდება BAS 2106, 1983 წლის. ლურჯი. კარგ მდგომარეობაში. ხიდი ოდნავ ხმაურობს. საწყისი ფასი 650 $. 68 02 35

შევიძენ მუხლუხა ამწე-კრანს-PDK-ს, ბულდოზერს - DT 130-ს, ბეტონის კვანძს ჟბ-145-ს ან ჟბ-90-ს. 25 34 34, 39 78 24, 8(99) 24 77 99

## სწავლება

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

## სხვადასხვა

**იყიდება** დოგის, აღმოსავლეთ ევროპული და გერმანული ნაგაზის ლეკვები აცრით და საბუთებით.
- ვწვრთნი ძაღლებს (სტაჟიანი კინოლოგი) და დავიტოვებ ძაღლებს შენახვით.
897 575116 ხვიჩა.

ვარ 40 წლის, გამოცდილი ბუღალტერი საერთაშორისო ბუღალტერიისა და კომპიუტერის ცოდნით. ვეძებ სამსახურს. 58 83 51

იყიდება წისქვილი „მოგილევუ“, უკრაინის. წარმადობა 15 ტონა დღეში. ფასი 5800 $. 33 50 91 (საღამოს 7 სთ-დან), 8(99) 91 87 73 ნათია

იყიდება ასაწყობი პავილიონი 40 კვ.მ. ფართობის. 8(93) 21 29 22

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55

- შეგაწუხათ მარტოობამ, სევდამ, სტრესმა ზამთრის ღამეებში? გინდა იპოვო გამოსავალი
**დაგვირეკეთ ტ: 822-009-555**
24-საათიანი სატელეფონო ფსიქოლოგიური კონსულტაციები.
1 წთ - 50 თეთრი
ანონიმურობა დაცულია

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

## სკანდინავიური კროსვორდი



**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**
**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.



















# ქართველიშვილები

ბიძინა მაყაშვილი

## სამსახური

მე გიორგი ქართველიშვილი ვარ და წელს 25 წლის გავხდი. უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ატლანტადან დავბრუნდი. მე უკვე ინჟინერი ვარ და ვმუშაობ ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ კვლევით ინსტიტუტში. საიდუმლო კი ის არის, რომ არც ერთმა თანამშრომელმა არ იცის რაში მდგომარეობს საიდუმლო. ერთი საიდუმლო მეც მაქვს, მაგრამ არავის ვეუბნები, იმიტომ, რომ საიდუმლოა. თანაც, ეს საიდუმლო ყველამ იცის, უბრალოდ არ იციან, რომ საიდუმლოა. მეც არ ვეუბნები, რომ საიდუმლო იციან, იმიტომ რომ, ეს ჩემი საიდუმლოა და რომ ვუთხრა, აღარ მექნება. სამსახური ცხრაზე გვეწყება, მაგრამ რადგან საიდუმლოა, ცხრის ნახევარზე მივდივართ. ასევე ნახევარი საათით ადრე ვამთავრებთ. ცხადია, შესვენებაც ნახევარი საათით არის გადაადგილებული. მაგრამ, სამსახურის საიდუმლო რომ არავინ გაიგოს, ყველაფერი პირიქით გვაქვს: შესვენებისას ვმუშაობთ; მუშაობისას ვისვენებთ; წასვლისას მოვდივართ და მოსვლისას მივდივართ. ოღონდ ეს ყველაფერი ნახევარი საათით არის წანაცვლებული. სამსახურში რამდენიმე ადამიანი მუშაობს. მათგან ზოგი ქალია და ზოგი კაცი. მაგრამ, რომ არ გაიგონ ვინ ქალია და ვინ კაცი, ქალების ტუალეტს **M** აწერია, კაცებისას კი **Ж**. შენობა გარედან ხუთსართულიანია, შიგნიდან კი სამი. ოთახი, რომელშიც მე ვმუშაობ შიგნიდანაც და გარედანაც მეორე სართულზეა. დირექტორის ოთახი კი პირიქით. სასადილოს სართული არ აქვს, რადგან სარდაფშია. იქ ძალიან მრავალფეროვანი მენიუა: მაკარონი უყველოდ, მაკარონი უარაჟნოდ, მაკარონი უკეტჩუპოდ, მაკარონი უმურაბოდ, მაკარონი უხორცოდ, მაკარონი უგარნიროდ, მაკარონი მაკარონის გარნირით, მაკარონი სუფთა სახით და სხვა. სასმელებიც ბევრი გვაქვს: ცივი, თბილი და ადუღებული წყალი და მაკარონის წვენი. დესერტად, ძირითადად მაკარონის კომპოტი და მაკარონის ნახარშის ნაყინი გვაქვს ხოლმე. ჩემთან ერთად ოთახში სამი თანამშრომელი მუშაობს. ყველას დაშიფრული სახელი გვქვია: მე ინჟინერი ვარ და პენტიუმ-2 მქვია; უფროს ინჟინერს ალფა ცენტავრი-17 ჰქვია, უმცროს მეცნიერ მუშაკს - მატრიცა-3, ხოლო უფროს მეცნიერ მუშაკს - თერმინატორი-18C. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში ოთხნი ვართ, იქ შვიდი მაგიდა დგას, ვერავინ რომ ვერაფერს ვერ მიხვდეს. ჩვენ ვხმარობთ ყველაზე თანამედროვე აპარატურას: ჩვეულებრივ და ლოგარითმულ სახაზავს, "ჩოთქს" და ოთხმოქმედებიან კალკულატორს. კალკულატორის ხმარება, მარტო თერმინატორ-18C-მ იცის. მის გაკეთებულ გამოთვლებს მატრიცა-3 "ჩოთქით" ამოწმებს ხოლმე. მე ჩვეულებრივი სახაზავით ვმუშაობ. ოთახში ყველას თავისი ჰობი აქვს. უფროსი ინჟინერი როგორც კი თავისუფალ დროს ნახავს, სამსახურის ლიფტით სეირნობს, რადგან ბავშვობაში ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა. უფროს მეცნიერ მუშაკს სუნთქვის შეკავება უყვარს. ის სუნთქვას იკრავს და წამზომით დროს ინიშნავს ხოლმე - თავისი პირადი რეკორდის გაუმჯობესებას ცდილობს. ერთხელ კინაღამ თავის ჰობის გადაჰყვა: სუნთქვაშეკრულს ამოსუნთქვა დაავიწყდა და სასწრაფო რომ არ მოსულიყო დროზე, გაიგუდებოდა. უმცროსი მეცნიერ მუშაკი, როცა დრო აქვს, ფანჯრიდან ქუჩაში იყურება და გამვლელი მანქანის ნომრებს ერთმანეთს უმატებს. მერე ყოველი დღის ჯამებს ერთმანეთს ადარებს. მეც ჩემი სისუსტე მაქვს: თვლა მიყვარს. ბავშვობიდან ვითვლი - როგორც კი თვლა ვისწავლე, მას შემდეგ ვითვლი. როცა სხვა საქმეს არ ვაკეთებ, სულ ვითვლი. უკვე 7 მილიონ 450 ათას 813-ზე ვარ მისული. როცა არ ვითვლი, ატლანტაზე ვფიქრობ. არა, კი არ მენატრება, უბრალოდ აქ მომბეზრდა ძალიან.

*გაზეთის ხვალინდელ ნომერში გამოქვეყნდება ქართველიშვილების თავგადასავალი ახალ წელს.*




# ცოცხალი მუსიკა თბილისის ქუჩებში

"საღამო მშვიდობისა. ცოტა ცივა, მაგრამ არა უშავს, ერთად გავხურდეთ. "მაკდონალდსი" და "ზუმბა" თქვენთანაა", - მოულოდნელად გაისმა ასეთი უცნაური მისალმება და ჰაერი ცოცხალმა მუსიკამ გააპო. პიკის საათის დროს, ბინდ-ბუნდში ზემელზე უამრავმა მოფუსფუსე თბილისელმა დროებით შეწყვიტა წინასაახალწლო საქმეებზე და პრობლემებზე ფიქრი და ზევით აიხედა. იქით, საიდანაც მუსიკის ხმა მოდიოდა: "ეკონომიკა-პრობლემ, პოლიტიკა-პრობლემ", - მღეროდა "ზუმბა" თავის ცნობილ ჰიტს "მაკდონალდსის" ზედა აივანზე თითქმის სახურავთან ახლოს განათებული პატარა სცენიდან. ხმის პულტთან ამ საქმის დიდოსტატი, გენა მამედოვი იდგა და შესაბამისად, "ზუმბას" რეპერტუარი მთელ ვერასა და ზემელზე ისმოდა.

"ეს "ზუმბასა" და "მაკდონალდსის" ერთობლივი წინასაახალწლო პროექტია", - ამიხსნა მოგვიანებით ჯგუფის სოლისტმა ზაზა კორინთელმა. და შემდეგ დასძინა: "დღეიდან 2002 წელს ვაცილებთ, რომელმაც ალბომი "ევრორემონტი" და მუსიკალური ფილმი "ფერხული" შეგვაქმნევინა. მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალი მუსიკა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, წელს ჯგუფს ცოცხალი კონცერტებიც არ აკლდა. დღეს კი 29 წლის გავხდი".

პარალელურად, მარჯანიშვილის მოედანზე "მაკდონალდსთან" გამვლელ-გამომვლელს ზუსტად იგივე რეაქცია ჰქონდა, როგორიც ზემელზე. ოღონდ, აქ მათ მყუდროებას ჯგუფი "33ა" და ნიაზ დიასამიძე არღვევდა.



# მის ევროპა-2002

შაბათს, გვიან საღამოს გამართულ ფინალში ევროპამ ულამაზესი ქალი აირჩია. კონკურსის წინა საარჩევნო ტურებში ევროპის 45-მა ულამაზესმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. საზეიმო ცერემონიალი ბეირუთიდან მსოფლიოს 30-მა საერთაშორისო ტელეარხმა გადასცა.

ევროპის ულამაზესი ქალი რუსეთიდან ყოფილა. ჟიურიმ ის 35 ევროპელ კანდიდატს შორის ამოარჩია. წითელ კაბაში გამოწყობილ 19 წლის სტუდენტს, პეტროზავოდსკელ სვეტლანა კოროლიოვას, რომლის სიმაღლეც 1.77 მეტრია, გვირგვინი შარშანდელმა გამარჯვებულმა, ფრანგმა ელოდი გოსინმა გადასცა. "დიდი მადლობა. სხვა არაფრის თქმა შემიძლია", - მართლაც ძალიან ღელავდა კოროლიოვა.

ბუნებრივია, ეს პრესტიჟული ტიტული რუს ლამაზმანს დიდ სამოდელო პერსპექტივებს უსახავს. თუმცა, როგორც ჩანს, მისი უმთავრესი მიზანი "ოჯახის შექმნაა" და სხვა არაფერი. კოროლიოვა ასევე აცხადებს, რომ აუცილებელია, ყველა ქალმა თავისი უფლებების დასაცავად და მსოფლიოში კუთვნილი ადგილის დასაკავებლად იბრძოლოს.

ევროპის სამ ულამაზეს ქალს შორის რუს კოროლიოვასთან ერთად 21 წლის გერმანელი ნატაშა ბორგერი და 22 წლის თურქი ესრა ერონიც მოხვდნენ – ამ უკანასკნელმა "მის ელეგანტურობის" წოდებაც მოიპოვა. მეოთხე ადგილზე "მის ჰოლანდია", 20 წლის კიმ კოტერი გავიდა, მეხუთეზე კი – "მის რუმინეთი", 18 წლის ადინა დუმიტრუ. საგანგებო ჯილდო ფოტოგენურობისთვის ესპანელმა ჯემა რუისმა მიიღო.

საგულისხმოა, რომ პირველად "მის ევროპა" 1948 წელს საფრანგეთში აირჩიეს. თუმცა, უკვე კარგა ხანია, კონკურსის ორგანიზატორები საერთაშორისო პოლიტიკის ტენდენციებს უწევენ ანგარიშს და სწორედ პოლიტიკური მიზნებით "მის ევროპის" ცერემონიალს ევროპის ფარგლებს გარეთ ატარებენ, უფრო კონკრეტულად კი, ლიბიის დედაქალაქ ბეირუთში. მათი განმარტებით, კონკურსი ქვეყნების დაახლოებასა და უნივერსალური ღირებულებების გაცვლას ემსახურება. ამ მიზნის მისაღწევად კი ბეირუთი სწორედ რომ ზედგამოჭრილი ადგილია.

თუმცა, ლიბიაში "მის ევროპის" არჩევის იდეას კრიტიკოსებიც ბლომად ჰყავს. მათ შორის გახლავთ "მის საფრანგეთი" კაროლინ შამორანი. ეს ლამაზმანი თავის ქვეყანას ძალიან ღირსეულად წარმოადგენდა 7 დეკემბერს, ლონდონში გამართულ "მის მსოფლიოს" ცერემონიალზე, მაგრამ ბეირუთში ჩასვლაზე კი უარი განაცხადა. მისი ბოიკოტის მთავარი მოტივი ასეთი გახლავთ: "ევროპის ულამაზესი ქალი ევროპის რომელიმე ქვეყანაში უნდა აირჩიონ და არა სადმე სხვაგან. როგორ ფიქრობთ, ამერიკელები "მის აშშ"-ს კორეაში გამართავდნენ?"

"მის საფრანგეთის" პროტესტის გამო, შაბათს, "მის ევროპის" ცერემონიალზე საფრანგეთს 21 წლის მოდელი, ლუიზ პრიეტო წარმოადგენდა.




REUTERS

სვეტლანა კოროლიოვა

# მინი 40 წლისაა

ანა კორძაია-სამადაშვილი

*არის ხოლმე ბედნიერი შემთხვევები, როცა ვიღაცა, სწორედ შესაბამისი მონაცემებით, სწორედ შესაბამის დროსა და ადგილას იბადება. მოდის სამყაროში ასეთები შანელი, დიორი და მერი კვანტი არიან. სწორედ მერი კვანტს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს ქალებს ფეხები უჩანთ.*

რა მოხდა, რატომ "ახტა" კაბა მოკრძალებული ორმოცდაათიანი წლების შემდეგ ასეთ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე? რა იყო ეს – ბუნებრივი განვითარების შედეგი თუ რევოლუცია? როგორ მოახერხა ერთ დროს შოკირებადმა მინიკაბამ სულ რამდენიმე წელიწადში სრულიად ნორმალურ მოვლენად გადაქცევა? საოცარი ამბავია: მოდისა და მისი ფუნქციის შესახებ თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, მინიკაბისა კი დანამდვილებით არავის არაფერი გაეგება...

1962 წელს მერი კვანტმა ნამდვილი რევოლუცია მოახდინა: დიდი ბრიტანეთის სამეფოს მკვიდრს ეყო იმის გამბედაობა, რომ მოდა იმ დროისთვის სრულიად მიუღებელი, ლამის გიჟური მიმართულებით წარემართა. ამის შედეგად მერიმ 1966 წელს ბრიტანეთის სამეფოს ორდენი მიიღო, რომლის გადაცემაზეც, ბუკინგემის სასახლეში, რასაკვირველია, მინიკაბით მივიდა. ცხადია, ეს მხოლოდ მერის დამსახურება არ ყოფილა, დრო იყო ასეთი, ლეგენდარული 60-იანები, მაგრამ მაინც!

მერის მიაჩნდა, რომ 50-იანი წლების მოდა საძაგელი რამ იყო. მისი თქმით, ამ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალები საკუთარ ბებიებს ჰგავდნენ. არადა, თავის გარშემო სიჭრელის, მხიარულების, ახალგაზრდების დანახვა უნდოდა – რატომაც არა? მოგვიანებით მერი კვანტი ამით ხსნიდა, რომ 50-იანების მიწურულს საკუთარი მოდის შექმნაზე დაიწყო ფიქრი. მისი "შემოქმედების შედეგები" დღესაც გვაცვია: მოკლე კაბები, რომლებშიც ყველა პატარა გოგოს ჰგავს, აჭიმებიანი ქვედაბოლოები, ვიწრო პერანგები და პულოვერები. ცხადია, მერის გადამკიდე, ქალების დიდ ნაწილს სასტიკი დიეტის დაცვა უწევდა, მაგრამ სილამაზე, მოგეხსენებათ, მსხვერპლს მოითხოვს...

მრავალი დაუდგენელი მიზეზიდან ერთი მაინც ცნობილია: ახალი მოდა ასე უცებ იმიტომ აიტაცეს, რომ იაფიც გახლდათ. მერის ახალგაზრდული მოდა ძალიან დემოკრატიული იყო და სხვა გამოჩენილი მოდელიორებისაგან განსხვავებით, მისი ტანსაცმლის შეძენა მხოლოდ პრივილეგირებულთა ხვედრი არ ყოფილა. ასე იქცა მოკლე კაბები იმ დროის სიმბოლოდ: სწორი, მარტივად გამოჭრილი, ჭრელი, ხშირად გეომეტრიული ნახატებით დაფარული, სინთეტური ქსოვილისგან შეკერილი კაბები ქალის სხეულის ფორმას ხაზს უსვამდა, ფეხებს აჩენდა და, რაც ძირითადი მიზანი იყო, ნებისმიერს პატარა გოგოს ამსგავსებდა. ამ ბავშვურ-მიამიტურ სურათს მაკიაჟი აგვირგვინებდა - ფართოდ გახელილი, მუდამ გაოცებული, შავად მოხაზული თვალები სახის დომინანტა გახდა.

სილამაზის იდეალები კარდინალურად შეიცვალა. ყველამ ფეხები გამოაჩინა, ისეთიც კი, მანამდე რომ გულმოდგინედ მალავდნენ. ტვიგის, პენელოპა თრისა და ბრიჯიტ ბარდოს დანარჩენი ქალებიც აყვნენ და 60-იანი წლების შუა რიცხვებში "პატარა გოგოებმა" მთელი მსოფლიო დაიპყრეს.

თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, ბარძაყის გაშიშვლებას არავითარი ეროტიკული დატვირთვა არ ჰქონია. ცნობილია, და თუ არ გჯერათ, ნებისმიერ მამაკაცს ჰკითხეთ, ისიც გიპასუხებთ, რომ სიშიშვლე ამგვარ განცდებს ნაკლებად აღძრავს, და არც ყველა ქალსა აქვს ისეთი ფეხები, რომ მათ ცქერას არაფერი სჯობდეს.



ტვიგი - 60-იან წლებში

# როგორ შეხვდა ჩინეთი თოვლს





თოვლისა და ყინულის ფესტივალი ჩრდილოეთ ჩინეთის ქალაქ ჰარბინში პირველად 1985 წელს გაიმართა. დროთა განმავლობაში ფესტივალი საერთაშორისო დონის მოვლენად იქცა, რომელიც ტურისტებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან იზიდავს. ის, თავისი მასშტაბურობით, თოვლის სხვა ფესტივალებს შორის უკვე მეოთხე ადგილზე დგას.

გარდა თოვლთან დაკავშირებული ღონისძიებებისა, ჩინელების ფესტივალი კულტურულ, სპორტულ, სამეცნიერო და სავაჭრო ფუნქციებსაც ითავსებს: მაგალითად, შარშან ჰარბინში, პარალელურად, გაიმართა წიგნის ბაზრობაც, რომელშიც მონაწილეობა ასზე მეტმა საგამომცემლო სახლმა მიიღო. მოეწყო "ფუჯის" ფოტოკონკურსი, კინო-ფესტივალი, მოთხილამურეთა შეჯიბრი, ულამაზესი კარნავალი და ჩრდილების შოუ. ეს უკანასკნელი მართლაც შთამბეჭდავი სანახაობა აღმოჩნდა - თოვლსა და ყინულზე სხვადასხვა ფერის შუქების ელვარება და შუქ-ჩრდილების თამში. გაიმართა სპორტული შეჯიბრებები, საერთაშორისო გასტრონომიული და ავეჯის გამოფენები, ციგაობა, გუნდაობა. მოკლედ, ხალხი გაერთო...

წელს კი ტურისტების ყურადღების ცენტრში უშუალოდ თოვლისგან შექმნილი სკულპტურები მოექცა. ყინულოვანი ხელოვნების სამყარო ჩინელებმა ამჯერად 400.000 კუბურ მეტრზე გადაჭიმეს. ორი ათასამდე სხვადასხვა ქანდაკების შესაქმნელად მათ 150.000 კუბური მეტრი ყინული და 120.000 კუბური მეტრი თოვლი გამოიყენეს. ამ გრანდიოზული ქანდაკებების ქალაქში მოხვედრილი ტურისტები აღტაცებას ვერც გუშინ მალავდნენ. მით უფრო, რომ ქანდაკებების ავტორები თოვლის სითეთრეს, ლაზერული განათებების წყალობით, ათას ფერად "ღებავდნენ" და ჰარბინი გიგანტური თოვლის სკულპტურების, ყინულისგან დამზადებული მზეებისა და ვარსკვლავების ქალაქს ჰგავდა.

## ცრუმორწმუნე ესპანელები

ახალი წლის ღამეს ესპანელები ფრიად უჩვეულო გზით ცდილობენ გაბედნიერებას: შუაღამისას, საათის თორმეტი დაკვრის სინქრონულად, თორმეტ მარცვალ ყურძენს ყლაპავენ. ეს ტრადიცია ხილით მოვაჭრეებმა სათავისოდ გამოიყენეს: თორმეტ-თორმეტ ყურძნის მარცვალს, გაწმენდილსა და კოხტად შეფუთულს, ყველა ყიდულობს, ვისაც ზედმეტად ხელის განძრევა ეზარება – ასეთები კი ბევრნი არიან.

საახალწლოდ თეთრეულის წარმოებაც არანაკლებ ხეირობს: თურმე, ამ ჯადოსნურ ღამეს თუ ახალი წითელი საცვალი გაცვია, მთელი წელი ბედნიერი და შეყვარებული იქნები. მოკლედ, ესპანეთში ნაძვის ხეები, ტკბილეულობა, შამპანური, ყურძენი და წითელი ტრუსები დეკემბრის ბოლოს თანაბარი წარმატებით იყიდება.

## ინტერნეტით გაყიდული ქალაქი

კალიფორნიაში ქალაქი გაიყიდა. სულ პატარა ქალაქია ჩრდილო კალიფორნიაში, ბრიჯვილი ჰქვია. მასში 10 საცხოვრებელი შენობა და ოთხი ფარდული დგას, გარდა ამისა, საფოსტო განყოფილებაც არსებობს, მოკლედ, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულია. ყველაფერი ეს 82 აკრზეა განლაგებული. ბრიჯვილე და-ძმას, ელიზაბეტ და ედვარდ ლეპლეებს დედისგან მემკვიდრეობით ერგოთ.

აუქციონი ქალაქ სან-ხოსეში ინტერნეტის სისტემით იყო ორგანიზებული. მასში 500-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის კანადელებმა და ევროპელებმაც. საწყისი ფასი 775 ათასი დოლარი იყო, საბოლოოდ კი ქალაქი 1.777.877 ამერიკულ დოლარად შეიძინა ვინმე ბილმა დასავლეთ შტატებიდან. მეტი ამ კაცის შესახებ არაფერია ცნობილი.


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

# საგაზეთო ქაღალდი
ფასდაკლებით

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი –580$-მდე

ტელ: 38 86 79   53 76 30   899 50 92 99

# DERTOUR-ი გთავაზობთ

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge





# TV პროგრამა 30 დეკემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 პაწაწინა ონავრები
08.00 დილა მშვიდობისა
09.20 მულტფილმი „კონკია" 1-ლი სერია
10.30 რუსული ფილმი „გუსარული ბალადა"
12.00, 15.00 კურიერი
12.20 მხ. ფილმი „შრეკი"
14.10 „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი" 1-ლი ნაწილი
15.20 „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი" მე-2 ნაწილი
16.00 მხ. ფილმი „ოპერაცია „ი" და შურიკას სხვა თავგადასავლები"
17.35 ქართ. მხ. ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე" 1-ლი ნაწილი
18.00, 21.00 კურიერი
18.20 ქართ. მხ. ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე" მე-2 ნაწილი
19.20 მხ. ფილმი „მამაკაცები შავებში 2"
22.00 მხ. ფილმი „ლონდრე"
23.25 მხ. ფილმი „შესანიშნავი შვიდეული"
01.40 კონცერტი - ჯორჯ ბენსონი

### პირველი არხი

30.12 07.30 ალიონი
09.45 დრო და ფული
10.00 მხ. ფილმი „ლამაზმანები"
11.30 მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 „ოქროს მართვე"
14.30 „საქართველო და გარესამყარო"
15.15 მხ. ფილმი „შპუნცი"
16.35 პალიტრა
16.55 რამპა
17.05 50-50
17.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
18.00 ვესტნიკი
18.20 გასტი-გუგუ
18.40 „მრავალჟამიერ"
19.05 ვიდეოპატრული
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.55 ტელესერიალი „რვაფეხა"
21.50 „დრო და ფული"
22.00 ზაურ ბოლქვაძე და მისი მეგობრები
23.35 სერიალი „ძილის წინ"
23.55 მხ. ფილმი „მენავთობე ქალები"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
10.00 გან. ინფორმატორი
11.00 გან. მუსათეული
11.45 პაუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 ფილმი კომედია „ზოროს ნიღაბი"
19.00 გან. ინფორმატორი
19.30 ვიდეორადიო
21.00 გან. რუსული მუსათეული
21.45 აბა გამოიცანი კადრი
22.40 მუსიკა
23.00 უცნობი
00.00 ფილმი ბრავო „ფსკერზე"
01.45 ფილმი ღამურა „მორიელთა მეფე"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ტელესპექტაკლი „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა"
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი „შტორმის შემდეგ"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „შიშის ქალაქი"
10.20 მხ.ფ. „ულის ოქრო"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „დიდი, მსუქანი მატყუარა"
22.30 მხ.ფ. „მამილო და სხვები"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი
15.00 მხ. ფილმი „განგსტერები"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „სახიფათო ჩაძირვა"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „განკიცხულნი"

### მეცხრე არხი

0.00 მხ. ფილმი „ნულოვანი თავი"
11.45, 17.30, 20.30, 21.20, 21.45, 23.35 მუსიკა
12.00 ქართ. მხ. ფილმი „ხარება და გოგია"
14.15 მულტფილმი „პატარა დედოფალი"
15.05 მხ. ფილმი „დედამიწა მიწის წული"
16.30 დოკ. სერიალი „ველური ბუნება"
17.40 მხ. სერიალი „ზურგის ქარი"
18.30 მულტფილმი „მეფის ასული შეჰერეზადა"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 81-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
20.50 რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი"
21.30 „მსოფლიო კულტურის საგანძური". „ათენის აკროპოლისი. საბერძნეთი"
22.00 მხ.ფ. „შერგარი"
23.55 მხ.ფ. „მგზნებარე გონება"

### VII არხი

09.10 „აჩიკუდა"
09.25 „სახლიდან გაუსვლელად"
10.05 მხ.ფ. - „მეექვსე"
11.50 მელოდია
12.05 „სახლიდან გაუსვლელად"
12.35 ტელესერიალი - „გრაფ მონტე კრისტო"
13.20 კომპიუტერული ტექნიკა
14.00 „პაემანი" - მიხეილ ცაგარელი (გამეორებით)
15.00 ნახატი ფილმი - „ალადინი"
15.40 მობილურები
18.05 „ლა-ლა-ლა"
19.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.40 „აჩიკუდა"
20.20 „სახლიდან გაუსვლელად"
21.00 „პაემანი" - ბესო ბერულაშვილი
22.00 „სახლიდან გაუსვლელად"
22.25 „პაემანი" - ალექსანდრე იაშვილი
23.25 მობილურები
00.05 მხ.ფ. - „ჩემი მშვენიერი ლედი"
02.45 მელოდია.

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Комедия „Дорогая, я уменьшил детей"
11.55 Большие родители
12.25 „Ералаш"
12.40 Следствие ведет Колобков
13.15 Худ.фильм „300 спартанцев"
15.10 „Ералаш"
15.25 „Путешествия натуралиста"
16.15 „Серебряный шар"
17.00 Док.сериал „Живая природа". „Братья по крови"
18.00 „Большая стирка"
19.25 „Шутка за шуткой"
20.40 „Поле чудес"
22.00, 01.00 Время
22.35 Сериал „Убойная сила 4". „Последний причал"
23.45 „Спецназ". „Витязь в черной маске"
00.30 „Фабрика звезд"
01.15 Телеканал „Новый день". „Идолы"
02.10 Телеканал „Новый день". Новогодняя „Формула власти"

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45 Комедия „Операция „Ы" и другие приключения Шурика"
11.35 „В „Городке"
11.45, 18.20 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Худ.фильм „Влюблен по собственному желанию"
13.55 „ХА". Маленькие комедии
14.10 „Экспертиза"
14.30 Вести-Москва. Неделя в городе
15.20 „Что хочет женщина"
16.20 Комедия „Зигзаг удачи"
18.50 „Дорожный патруль"
19.05 Вести-Спорт
19.20, 21.35 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Воровка. Счастье напрокат"
20.50 „Спокойной ночи, малыши!"
21.50 Комедия „Гений"
00.55 „Дежурный по стране". М.Жванецкий
01.45 Худ.фильм „Патриот"
03.25 „Дорожный патруль"

### НТВ РТР

09.40 Утро на НТВ
10.10 „Один за всех"
11.00 „Сегодня утром"
11.30 „Намедни-2002"
12.40 „Модель сверхчеловека"
13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
13.05 Комедия „Чародеи", 1 с.
14.35 „Вы будете смеяться!"
15.05 „Женский взгляд" О.Пушкиной
15.40 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Люблю ходить по магазинам". Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Комедия „Где находится нофелет?"
20.35 Комедия „О'Кей"
22.35 „Бои без правил"
23.00 „Сегодня вечером"
23.35 Сериал „Гражданин начальник"
00.45 „Гордон. Сексуальная жизнь божьих коровок"
01.45 Сериал „Бессмертный"